

კლიერეპო ჯვართ კაზისაო,
დაგვიცეპ და დაგვიფარე ჩვეს.




ჯვარი კაზისა

2

საქართველოს საკატრიკო

1992



აგზოვნე უფალო, ერი შენი, და
აკურთხე სამკვიდრებელი შენი.
ქლევს ჯვართა ბარბაროზთა ზე-
და ღვთივდაცულსა ერსა ჩვენსა
მოანიჭე და სავარკველსა ქვეშე
მისსა დაიცევ, რათა ვიტყო-
დეთ-უფალო, დიდება შენდა.
ამინ!

ჯვარი ვაჭისა

სრულიად საქართველოს საკათრიარქო

2

1992

ღანიკაძე უფიქრისა და უნებარის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-კათრიარქის, ილია II ღვაწლითა და ღმრვა-კურთხევით

შინაარსი

ღმრთისებათაქველბა

ბრიბოლ ნოსალი თქუმილი მკურთხეთი აღღრმისათუხ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა.	3
ქდიშერ ჭელიძე წმიდა იუსტინე.	6
ფმიღა მუსტინე ფილოსოფოსი და მარტვილი. სიტყვა ულინთა მიმართ.	16
ძადაბაბანი	
არქიმანდრიტი რაშაელი. ხატი „საქართუვლის ეკლესიის ღიღება“	21
პაძა-უშაქვილა. საღიღმარხოღ.	28
ფმიღა ბასილი დიდის ფარიღაქვიღან. სამოსატის ეპისკოპოს უესვეს.	31
ფარსულიღან	
ეპისკოპოსთა მიმართ.	32
ქკლესია და ოჯახი	
ბოჩა ოღიშვილიძე. აღიზარდენ შეიღნი ჩუენნი „სწავლითა და მოძღვრებითა უფლისაითა“.	35
ქრი და ქკლესია	
ღელა ჯაშარიძე. საეკლესიო კალენდარი.	41
ბიბლია და ქართული ქულტურა	
ქქმთიმე ქოქლაბაჯაშვილი. მარტვილის ღღესასწაულისათვის.	47
ბრიბოლ გულია. „შენ ხარ უფალი ღმერთი და შენ გარემოაქციე გული ერისა აის მართლუქენ“.	55
ბიბლიურ ცნებათა საქიბაელი.	65



საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე
პაპისკოპოსი ზოსიმე (უიოჰვილი)

რედაქტორი
მღვდელი ლავრენტი გუზიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ბრიგოლ გულია

რედაქციის მისამართი:
სრულიად საქართველოს საპატრიარქო
თბილისი, ერეკლეს მოედანი №1
ტელ. 98-26-34

JVARI VAZISA
(The Cross of Vine)
Georgian Patriarchate
Tbilisi 1, Erekle's square
T. 98-26-34

ДЖВАРИ ВАЗИСА
(Крест из лавы виноградной)
Грузинская патриархия
Тбилиси, пл. Ираклия №1
Т. 98-26-34.

გადაცა წარმოებას 17. 06. 92 წ.
ზელმწერილია დასაბეჭდად 24. 07. 92 წ.
ქაღალდის ზომა 60X90 1/8

შეკვეთა 1043
ტირაჟი 5000

სახელმწიფოებრივი ფასი

ეურნალი დასაბეჭდად მომზადდა გამომცემლობა „მარინში“
თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. №14.
დაბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში
თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. №14.

თქუმული კჳურართით აღღგოვისათვის უფლისა ჩუენისა იესუ
ქრისტესა⁸

ხოლო საიდუმლოა ჯუარისა და ძალი და სიღრმე მისი, რომლისა იგი მიერ სრულ იქმნა ჯუარცმა მაცხოვრისა და აღესრულა ვნება იგი მისი ცხოველსმყოფელი. რომელმან-მე სიტყუამან გამოთქუას, რამეთუ არათუ არა იყენეს სხუანიცა ბევრეული სახენი სიკუდილისანი, რომელთა მიერ სრულიქმნებოდა ცხოვრებისა ჩუენისათვის სიკუდილისა იგი განგებულებამ უფლისა. არამედ მათ ყოველთა წილ ესე წარმოიჩინა მის მიერ, რომელმან იგი კელმწიფებით და ნებისთ თვისით განაჩინა ვნება თვისი და თქუა, ვითარმედ „ჯერ-არს ძისა კაცისა“ და არა თქუა, ვითარმედ ესე და ესე რამთმე ქმნეს ძემან კაცისამან, რამთა არა მოიგონო, ვითარმედ ლიტონად და მარტივად თქუა ყოფადი იგი, არამედ გამოუთქუმელითა რამთმე განგებულებითა, ვითარცა თანაწარუვალი და საჭიროა და უცილობელად აღსრულებადი ესრეთ, მოასწავა სიტყუათა მათ მიერ თვისთა და თქუა, ვითარმედ „ჯერ-არს ძისა კაცისა ფრიად ვნებად, და შუერაცხყოფად და ჯუარცმად და მესამესა დღესა აღდგომად.

გულისქმა-ყავ უკუე სიტყვსა ამის ძალი, ვითარმედ ჯერ-არს და ესრეთ გულისქმა-ჰყო, ვითარმედ უკუეთუმცა არა ქმნიდ იყო, მამა არასამე ჯერ-იყო, არამედ უკერო. და რამ-მე არს საიდუმლოისა ამის ძალი, ვითარ ეპკონებ სხუამ ვერვის ძალუც გამოწულივით ამის საიდუმლოისა გამოცხადებად, გარნა ზოლო დიდსა პავლეს, რომელი-იგი სამ ცამდე აღიწია და გამოუთქუმელთა მათ სატყუათა სმენად ღირს იქმნა. და ვითარცა-იგი ეფესელთა ეპისტოლესა შინა ზოგს რამმე გამოაჩინა სიღრმე მისი და თქუა, ვითარმედ „რამთა შუემლოთ წარწვენად ყოველთა თანა წმიდათა“. თუ რამ არს სიერცე და სიგრძე, სიმაღლე და სიღრმე ცნობად გარდარეულსა მას სიყუარულსა მეცნიერებისა ქრისტესსა, რამთა აღივსნეთ ყოველთავე საესებითა ღრმთისამათა. რამეთუ საღმრთომან მან თუალმან მოციქულისამან არა უქმად, არცა ლიტონად განიცადა მაღალი იგი სახე ჯუარისა, არამედ ამის მიერ ცხადად საანჯმნო ყო. ვითარმედ ყოველნივე უმეტრებისა სიზრქენი ღმრთიებრწყინვალედ განეთხინეს თუალთაგან მისთა და განწმდილად და ელვარედ თავადისა მის ჭეშმარიტებისა მიმართ განემარტნეს სახედველნი თვისნი და მას განიცდიდა.

ვინაცა გულისქმა-ყო, ვითარმედ სახე ესე ოთხთა კიდეთა მიერ და საშუკალისა შენაწვერებისა განყოფილი მის ზედა დამშკუალულისა მის ყოვლით კერძო მიმწდომსა ძალსა და განგებასა მოასწავებს, და ამის მაღლისათვის თითოეულსა კიდესა განთვსებულთა კმითა სახელსდებს, და სიღრმედ უწესს საშუკალითგან და დამ[არ]თ და სიმაღლედ აღმართ აღმატებულსა მას კერძოსა. და სიერცედ და სიგრძედ შენადგამათათგან იმიერ და ამიერ განმარტებულთა მათ მწუერვალთა. და ამით სახეთა მიერ ვითარ მე ვპკონებ ამას მოასწავებს, ვითარმედ არა ზამ არს არსთაგანი, რომელიმცა არა იპყრობოდა საღმრთოისა მის მიერ ბუნებისა, ესე იგი არს: ზესკნელნი და ქუესკნელნი, და იმიერ და ამიერ კიდით-კიდემდე განვრცლებულნი. და ამას დამატკიცებს სახე იგი ზემომოსწავებული. რამეთუ სიმაღლისა მიერ გიწუენებს შენ ზესკნელსა და სიღრმისა მიერ ქუესკნელსა, და სიგრძისა მიერ და სიერცისა კიდით-კიდემდე განმარტებასა საღმრთოისა მის ძლიერებისასა, რომელი-იგი ყოველთავე არსთა იპყრობს და განავებს კელმწიფედ.

ხოლო იყავნ სულსაცა შინა შენსა ღმრთისათვის ქმნილი გულისზრახვამ თქუმულთა ამით ჭეშმარიტებისა დამატკიცებელ. აღიხილენ უკუე ზეცად თუალნი გონებისა შენისანი და ქუესკნელთა სიღრმე გონებითა შენითა განიცადე და ეგრეთვე კიდით-კიდემდე ყოველთა აგებულებისა განჰფინე გონება შენი და განიზრახე თუ რამამ არს ძლიერება იგი, რომელი იპყრობს ამას ყოველსა, ვითარცა საკვრველთა რამთმე მტკიცითა და დაუკსნელითა და ესრეთ იხილო თავით თვისთ გონებასა შინა შენსა სახე საღმრთოისა მის ძლიერებისა ჯუარისა მიერ გამოსახული ზესკნელით ქუესკნელად მიწვეწული და კიდით-კიდემდე განმარტებული. [ამა]ს სახესა დიდმანცა დავით სიტყუათა მიერ თვისთა შეასხა გალობამ და თქუა, ვითარმედ „ვიდრე მივიდე სულისა შენისაგან და პირისა შენისაგან ვიდრე-მე ვივლტოდი. აღ-თუ-გჳდე ცად. აჰა, სიმაღლე, შთათუეკვე ჯოჯონეთად: აჰა, სიღრმე; აღ-თუ ვიპყრნე ფრთენი ჩემნი განთიად, რომელ-არს აღმოსავალი მზისამ: აჰა, სიერცე და დავემკვდრო მე დასასრულსა ზღვსასა“, რამეთუ ესრეთ სახელ სდებს დასავალსა: და აჰა, სიგრძე. ჰხედავა, თუ ვითარ გამოზატავს თქუმულთა ამით მიერ სახესა ჯუარისასა და იტყვს, ვითარმედ შენ ხარ, რომელი ყოვლით კერძო მისწუთები და ყოველთავე სიმტკიცე ექმნები და ყოველთავე კიდეთა თავისა მიმართ

4
თვისსა შეამტკიცებ. ზეცას შენ ხარ და ქუესკნელთა შენვე ხარ, და ერთკერძო კელი შენი განმარტებულ არს და მეორესა კერძოსა იპყრობს მარჯუენე შენი.

და ამისთვის დიდიცა მოციქული პავლე იტყოდა, ვითარმედ „რაჟამს აღივსენ ყოველნი სარწმუნოებითა და მეციერებითა ღმრთისათა, სახელი იგი, რომელი ზეშთა არს ყოველთა სახელთა, თაყუანისიცივეს ყოველთა მიერ“. ესე იგი არს, ვითარმედ სახელისა მიმართ იესუ ქრისტესისა, ყოველი მუხლი - მოდრკეს ზეცისათა და ქუეყანისათა, და ქუესკნელთა. ამათ უკუე სიტყუათა მიერ კუალად სახედ ჯუარისა განჰყოფს თაყუანისციქმასა ქრისტესსა, რამეთუ ზესკნელნი ნაწილნი ზემო კერძოთა მით ნაწილთა ჯუარისათა სრულჰყოფენ თაყუანისციქმასა მას მეუფისასა, ხოლო ქუეყნისანი საშუეალითა, რომელ არიან ფრთენი, ხოლო ქუესკნელისანი ქუენა კერძო სიღრმედ შთამავალითა მით კერძოთა.

და ვითარ სიტყუას ჩემსა ჰნებავეს, ესე არს იოტა იგი სახარებასა შინა მოსწავებული, რქითურთ, ცათა და ქუეყნისა უმტკიცესი და ყოველთავე არსთა აგებულებისა უმყარესი, ვითარცა იტყვს უფალი, ვითარმედ „ცანი და ქუეყანაა წარკდენ“ და კუალად მოციქული, ვითარმედ „წარმავალ არს ხატი ამის სოფლისაჲ, ხოლო იოტაჲ ერთი, გინა ერთი რქაჲ შჯულისაგან და წინააღმდეგუეულთა არა წარკდეს“. მართლჲაზიდულსა მას ასოსა წერილთასა იოტად ეწოდების, ხოლო ზედა კერძო წარზიდულსა მას მგუარდელ და იგურდიე რქად სახელ ედების. და ესე სახე, უკუეთუ გენებოს, მენაუთაგანცა ისწავო, რამეთუ შეშაჲ იგი, რომელი აფრისა ძელსა იგურდიე დამოეიდების, რომელსაცა-იგი ზედა აფრაჲ განემარტების, რქად უწოდენ. ვითარცა-იგი სახეცა მისი მოასწავებს და ვითარ მე ვპონებ ამის მიერ, ესევეთარსა ძალსა მოასწავებს სიტყუაჲ იგი სახარებისაჲ, ვითარმედ იგი არს, რომლისა მიერ ყოველნივე არსნი დაემტკიცენ და რომელი-იგი თავისა მიერ თვისსა სამარადისოდ იპყრობს მათ. რომელი-იგი თვისსა მას ძლიერებასა, ყოველთა არსთა განმგებელსა, ვითარცა იგავითა რამთჲე და სარკითა სახისა მიერ ჯუარისა წარმოინინებს, რომლისათვისცა იტყოდა, ვითარმედ ჯერ-არს ძისა კაცისაჲსა არათუ მარტივად და ლიტონად სიკუდილი, არამედ ჯუარცუმად, რამთა დაფარულთა მცნობელთა და სულითა მხილველთა ექმნეს ჯუარი ღმრთისმეტყუელ და ყოვლადძლიერი კელმწიფებაჲ მის ზედა ჯუარცუქულისაჲ და ყოვლით კერძო ყოველთა არსთა განგებაჲ სახითა თვისთა ღმრთისმეტყუელის და ქადაგოს.

ნუ დავიდუმებთ, ძმანო შეუნიერსა მასცა მზარხვალსა იოსებს არიმათიელსა, რომელმან უნრწნელი იგი და წმიდაჲ გუამი უფლისაჲ ნიჭად მიიღო და სინდონთა

წმიდითა შეხვა იგი და წმიდასა საფლავსა დადვა იგი. ვინაჲცა შეუნიერისა მის მზარხვალისა საქმე შჯუალად ჩნდა, დავიმარხოთ რამთა ჩუენცა ეგრეთვე ვიქმოდით და განვიზარხვიდეთ. რამთა რაჟამს მოვილოთ წმიდაჲ იგი და პატიოსანი საიდუმლოჲ კორცთა [ღმრთისათაჲ], არა მწიკუელეუანისა გონებისა სინდონითა შევხვით იგი, არცა საესესა ძუალებითა. მკუდართათა და ყოველითა არაწმიდებითა დაყროლებულსა საფლავსა გულისასა დაგჰფელთ იგი, არამედ ვითარცა იტყვს მოციქული „თითოეულმან თავი თვისი გამოიცადენ, რამთა არა დასაშუეელ ექმნეს მადლი იგი უღირსებით შემწყნარებელსა მისსა.“

არამედ ვიდრეღა-ვე ვიტყოდე, მომეკუნა მე ბრწყინვალებაჲ იგი ელვარისა მის ანგელოზისაჲ და ნათლისა იგი სამოსელი მისი, და სიხარულითა და მხიარულებითა აღივსო სული ჩემი, და ჰკრთების გული ჩემი ძრვისა მისგან ტბილისა. რომელმან მძიმე იგი ლოდი კაცობრივისა მისგან სამარისა გარდააგორკა, რომლისა მიერ განედების ყოველთა კარი და ბჭე აღდგომისაჲ.

მივისწრაფით უკუე ჩუენცა ხილვად საკრველისა მის სასწაულისა. რამეთუ აჲ ესერა გარდაკდა შაბათი იგი, და ნუცამცა ვიქმნებით უდარეს დედათაჲსა, და ნუცამცა შემედგომად მათსა შევემთხუევით უფალსა. და იყავნ კელთაცა ჩუენთა სულნელები სულნელთა მათ წილ. რომელნი დედათა ეტკრთნეს. ესე იგი არს სარწმუნოებაჲ და წმიდაჲ გონებაჲ, რომელნი ესე არიან ქრისტეს სულნელება.

და ნულარამცა ვეძიებთ ამა [ცხოველ]სა მას მკუდართა თანა, [...ოდ] ესრეთ ეძიებდენ მას, გან[იშორებს] მათ უფალი და ეტყვს, ვითარმედ ნუ შუმ[ო] მეხები მე, არამედ რაჟამს აღვიდე მამისა ჩემისასა, მაშინღა ჯერ-არს შენდა შეხება ჩემი. ესე იგი არს, რაჟამს არ[ღ]არა გამ[ოსახვიდე] სარწმუნოებასა შინა შენსა ზრქელსა და კორციელსა და მონებრივსა სახესა ჩემსა, არამედ დიდებითა მამისათა დიდებულსა და ხატსა შინა ღმრთეებისასა მყოფსა და [ღმერთს] ა და სიტყუასა თაყუანის-სცემდე და არა ხატსა მონისასა.

ვისიინოთ უკუე თუ რასა გუანარებენ ჩუენ დედანი, რომელნი მძლე ექმნენ მამათა სარწმუნოებითა და პირველ მათსა მივიდეს და [კეთილად] და ჯეროვნად არუენეს სიმკნე ესე, რამთა მადლისა ამის სახიერებისა დასაბამითა ბოროტთა დასაბამი იგი მწუხარებაჲ უჩინო ყონ. და რაჲ არს სახარებაჲ იგი დედათაჲ. ჰუმმარტივად არაჲ კაცთაგან, არცა კაცთა მიერ, არამედ იესუ ქრისტეს მიერ, რამეთუ იტყვან, ვითარმედ ისმინეთ ჩუენი, და რომელი ესე გუამცნო უფალმან რამთა მოგითხროთ

თქუენ, რომელთა ეგე ძმად თვსად გიწოდა და თქუა, ვითარმედ აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა.

ეჰა კეთილი ესე და საღმრთოე სახარებაჲ, რამეთუ რომელი იგი ჩუენთვის იქმნა მსგავს ჩუენდა, რამთა თვსებითა მით ჩუენითა ძმად თვსად გამოგუაჩინნეს ჩუენ. მიჰგუარა კაცი თავისა მიერ თვსისა ჭეშმარიტსა მას მამასა, რამთა მის მიერ ყოველნივე ტომნი მისნი მისთანა მოიზიდნეს და რამთა არღარა საყუედრელ იყვნენ მონებისათვის ბუნებით არაღმერთთა მათ, რაჟამს იგი კუალად ეგნენ მონებასა ცხოველისა და ჭეშმარიტისა ღმრთისასა. და არცაღა განგადებულ და უცხო მამულისა სამკედრებელისა ღმრთისა, რომელნი იგი ძესა შვილებითა [მით] ემბაზისაჲთა შეუდგენ. რომელმან იგი ახლისა მის მიერ დაბადებულისა მრავალთა შორის ძმათა კორცთა მიერ თავი თვისი პირმშოდ გამოაჩინა და

ყოველივე კაცთა ბუნებაჲ, რომელთა იგი ეზიარა შეზაფებითა კორცთა თვსთაჲთა, მისსა მოიზიდა და განაღმრთო.

ხოლო ვინამთგან უწინარეს პასექისა უცომოსა მას პუ[რსა] სანუკვარად აქუნდა მწარე იგი ველისყრდელი, ვიხილოთ თუ შემდგომად აღდგომისა ვითარითა სანუკვარი დატკების პური. არა ზედავა ნადირობასა მას პეტრესსა პურსა და გოლსა თაფლისასა კელთა შინა უფლისათა. აწ უკუე გულისკმა-ჟავ და გონიერად განიცადე თუ სიმწარე ესე ამის ცხორებისაჲ და ჭირი და ღუაწლი მოლუაწებისაჲ ვითარსა სიტკბობასა მოგატყუებს შენ საუკუნომსა მის ცხორებისასა.

ვინამცა მოვედით და აღვდგეთ ჩუენცა ნადირობისაგან სიტყუათაჲსა და ამიერთგან პურისა მის მიმართ საღმრთომსა მიერბიოდით, რომელსა იგი დაატკობს თაფლი და გოლეული კეთილისა მის სასობისაჲ ქრისტე

ამონარიდი კორნელი კეკელიძის სახელობის ქართულ
ხელნაწერთა ინსტიტუტის შ-55 ხელნაწერიდან (XI-XII სს.)
მღვდელი ლავრენტი ბუზიაშვილის მიერ.



II ს-ის ბერძენ ღვთისმეტყველთა შორის ერთ-ერთი უსაჩინოესია იუსტინე მარტვილი. რომელიც დაიბადა პალესტინაში, სიქემში, ამაჟამად ფლავია ნეაპოლისში. წარმართულ ოჯახში; იუსტინე თავად მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ ეძიებდა იგი ჭეშმარიტებას სხვადასხვა ფილოსოფიურ სკოლებში და როგორ ეზიარა შემდეგში ქრისტიანულ მოძღვრებას; ასე გვაუწყებს იგი: „მეც, რომელსაც მსგავსადვე მსურდა შევხვედროდი ვინმე ფილოსოფოსს, თავდაპირველად („კატა არხას“) მივუბარე ერთ სტოიკოსს და დავყავი მასთან საკმაო ხანი. მაგრამ რადგანაც ღვთის შესახებ მისგან არაფერი შემმატებია (არც თვით იცოდა რაიმე და არც საჭიროდ თვლიდა ამგვარ სწავლებას), დავტოვე იგი და სხვას მივაშურე. რომელსაც პერიპატეტიკოსად უხმობდნენ. და რომელიც გამჭრიახი ჩანდა („დრიმიუს“, პგ. VI. სვ. 477). პირველ დღეებში დამახანა მან, შემდეგ კი მომთხოვა ფასზე შევთანხმებულიყავით, რათა უსარგებლოდ არ ჩავლილიყო ჩვენი ურთიერთობა; ამის გამო ისიც დავტოვე, რადგანაც ფილოსოფოსად აღარ ჩავთვალე. ჩემი სული კვლავ მოწყურებული იყო გაეგო, თუ რა არის არსი და ღირსება ფილოსოფიისა („ტო იდიონ კაი ტო ექსაირეტონ ტეს ფილოსოფიას“), ამიტომაც მივედი უმეტესად სახელოვან პითაგორელთან, კაცთან, რომელიც დიდად იქადდა თავისი სიბრძნით. როდესაც გავესაუბრე მას და სურვილი გამიჩნდა გავმხდარიყავი მისი მსმენელი („აკროატეს“) და თანამყოფი („სენუსიასტეს“), ასე მომიგო: „რამდენად ხარ დაუფლებული მუსიკას, ასტრონომიას და გეომეტრიას? ან იქნებ ფიქრობ რომ შეძლებ რაიმე გაიგო მათ შესახებ, რომლებიც ნეტარებას შეერთნენ („ტონ ეის ევდამონიან“), თუკი ამ საგნებს არ შეისწავლი უპირველესად, რომლებიც სულს გრძნობებისაგან განაშორებენ და გონისეულთა შეცნობის უნარს შეუმზადებენ მას (სიტყვ. „გონისეულთათვის ვარგისად შეამზადებენ მას), რომ იხილოს სულმა თვითმშვენიერი და თვითკეთილი. ამის შემდეგ ფრიად აქო მან ეს საგნები და მათი აუცილებლობა ცხადყო, შემდეგ კი, როდესაც ვაღიარე, რომ არაფერი ვიცოდი მათ შესახებ, უკან გამომიშვა... როდესაც საგონებელში ვიყავი ჩავარდნილი, გადავწყვიტე პლატონელებსაც შევხვედროდი, რამეთუ ფრიად სახელოვანნი იყვნენ. ერთ გონიერ კაცთან, პლატონელთა შორის გამოჩენილთან, რომელიც ახლახანს დასახლდა ჩვენს ქალაქში, საკმაო ხანს ვიწვრთნებოდი, წარვემატებოდი კიდევ და ყოველდღიურად უფროდაუფრო მეტს ვიძენდი. დიდად სათნო-მიჩნდა უსხეულოთა შემეცნება („ჰე ტონ ასომატონ ნოესის“) და იდეათა ჭვრეტამ ააფრთოვანა ჩემი გონება („ჰე თეორია ტონ იდეონ ანეპტერუ მოი ტენ ფრონესინ“), ისე რომ, ცოტა ხანში ბრძენად დავსახე ჩემი თავი და ვიმედოვნებდი, რომ ამგვარი სისულელით („ბლაკია“) მყის ვიხილავდი ღმერთს, რადგანაც სწორედ ესაა მიზანი პლატონური ფილოსოფიისა („ტუტო გარ ტო ტელოს ტეს პლატონიკეს ფილოსოფიას“) (იხ. პგ. VI, სვ. 478).

ამგვარი გზის გავლის შემდეგ, ერთხელ წმ. იუსტინე განმარტოებულ ადგილას, ზღვის მახლობლად წააწყდება ვიღაც მოხუცს, რომელიც დაარწმუნებს მას, რომ ჭეშმარიტების შესახებ მხოლოდ წინასწარმეტყველთა სიტყვები გვაუწყებენ. სწორედ მაშინ გაიგებს იუსტინე პირველად, რომ ყოფილან ფილოსოფოსებზე გაცილებით ადრე „ნეტარი და მართალი კაცები, ღვთისმოყვარენი და საღვთო სულით ამეტყველებულნი, რომლებმაც წინასწარ გვაუწყეს ყოველივე ის, რაც ამაჟამად ხდება; მათ უწოდებენ „წინასწარმეტყველთ“. (მხოლოდ მათ უწოდნენ ჭეშმარიტება; არათუ განდიდებას შეეპყრო ისინი, არამედ მხოლოდ ის გამოთქვეს, რაც ესმათ და იხილეს, რადგანაც სულიწმიდით იყვნენ სავსენი.) მათი ნაწერები დღესაც არსებობს და მკითხველს დიდ სარგებელს

1 პერიპატეტიკოსი ანუ ქართულად „მოხეირნე“, როგორც ცნობილია, არისტოტელეს ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენელს უწოდებოდა.

ანიჭებს როგორც დასაბამთა შესახებ, ასევე აღსასრულთა შესახებაც („კაი პერი არხონ კაი პერი ტელუს“). მათი ცოდნა და რწმენა ხამს ფილოსოფოსისათვის. არგუმენტებით როდი შეუთხზავთ მათ სიტყვები, არამედ ზეალმატებიან ისინი ყოველგვარ მტკიცებას და ღირსმორწმუნედ ეწამებიან ჭეშმარიტებას. ყოველივე, რაც მოხდა და ხდება, გვაიძულებს, რომ დავეთანხმოთ მათ მიერ ნათქვამს. ... მათ ადიდეს ღმერთი, შემოქმედი და მამა ყოველივესი, და მისი ძე ქრისტე გვიქადაგეს... ილოცე, რომ შენც უწინარეს ყოვლისა გაგეხსნეს კარი ნათლისა, რაც ყველას მიერ სახილველი და შესაცნობი როდია, არამედ მხოლოდ მათთვის, რომლებსაც თვით ღმერთი და ქრისტე მისი მიმადლებს გონიერებას“ (VI. სვ. 492).

წმ. იუსტინე დასძენს: „ესა და კიდევ მრავალი მაუწყა მან, რისი თქმაც ამჟამად უადგილოა, შემდეგ კი წავიდა და დამიბარა, რომ გამომეძია მისი ნათქვამი. აღარასოდეს მინახავს იგი“ („კაი უკეტი აუტონ ეიდონ“).

ასე გაქრისტიანდა იუსტინე. როგორც თვით გვაუწყებს, „მეის აღნთო ცეცხლი ჩემს სულში, მომიცვა ტრფილბამ („ეროს“) წინასწარმეტყველთა და, აგრეთვე, იმ კაცთა მიმართ, რომლებიც ქრისტეს მოყვარენი არიან. ჩემს თავში ავწონ-დავწონე („დიალოგიძომენოს“) მისი სიტყვები და მხოლოდ ეს ვპოვე უცთომელ და სულისმარგებელ („სკმფოროს“) ფილოსოფიად. ასე და ამგვარად ვარ ფილოსოფოსი. მსურს, რომ ყველა ის, ვინც ჩემებრ აღევხნება, არ განუდგეს მაცხოვრის სიტყვებს“ (VI. სვ. 492).

სწორედ ჭეშმარიტების წვდომის სურვილმა, აგრეთვე მარტვილთა სულიერმა გაუტეხელობამ, ჭეშმარიტებისათვის მათმა თავდადებად უწინამძღვრა იუსტინეს ქრისტიანობისაკენ. იუსტინე გვაუწყებს: „როდესაც ვიხარებდი პლატონურ სწავლათა მიერ, მესმა ცილისწამებანი ქრისტიანთა შესახებ და ვიხილე ისინი უშიშარნი სიკვდილისა და ყოველივე სხვა სატანჯველის წინაშე. მაშინ ვიფიქრე, რომ შეუძლებელი ჩანდა ბოროტებასა და განცხრომაში ეცხოვრათ მათ. შევბისმოყვარეთაგან ანდა აღვირახსნილთაგან... ვინ ყოფილა ისეთი, ვინც შეგებებია სიკვდილს (სიტყვ. „მისალმებია სიკვდილს“ — „თანატონ ასპაქესთაი“), რაც გამოაკლებდა მათ განცხრომათაგან“ (სვ. 464).

ამ გზით წმ. იუსტინემ არა მხოლოდ ქრისტიანული რწმენა შეიძინა, არამედ ჭეშმარიტების მოწინააღმდეგე ბოროტი ძალების ბუნებაც საცნაურყო: „როდესაც შევიცან ბოროტ დემონთა მიერ ქრისტიანთა საღვთო მოძღვრებაზე გარსმობვეული უკეთურება, რათა გზას აეცდინათ სხვა აღაძმიანები... დავცინოდი მათ ცრუმეტყველებას და მრავალთა აზრებს. ვაღიარებ, რომ ვლოცულობდი და ძალუძად ვიღწვოდი, რომ ქრისტიანი ვყოფილიყავი.“ ქრისტიანად გახდომის შემდეგ, რაც აღბათ, ქალაქ ეფესოში მოხდა², იუსტინემ მიზნად დაისახა ქრისტიანობის დაცვა და ფილოსოფოსის მანტიით მოსილი მოგზაურობას შეუდგა. იუსტინე რომში მივიდა ანტონინუს პიუსის ჟამს (138-161) და იქ თავისი სკოლა დააარსა. მისი მოწაფე იყო აპოლოგისტი ტატიანე.) აქვე შეხვდა იუსტინე მოწინააღმდეგე ფილოსოფოსს ცინიკოს კრესცენს.

ჩვენამდე მოღწეულია იუსტინეს მოწამებრივი აღსასრულის ამსახველი სანდო აქტები, რასაც ქვემოთ ვაქვეყნებთ. წმ. იუსტინე ეწამა 165 წ.

წმ. იუსტინე ეკლესიის ისტორიაში ცნობილია, როგორც აურაცხელი საღვთისმეტყველო შრომის ავტორი. სამწუხაროდ, მათგან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ სამმა, რომელთაგან ორი წარმოადგენს ქრისტიანული სარწმუნოების „აპოლოგიას“, მესამე კი დიალოგური ფორმისაა და ასეთ სათაურს ატარებს: „სიტყვისება იუდეველი ტრიფონისადმი“. რაც შეეხება ქვემოთ წარმოდგენილ თხზულებას: „სიტყვა ელინთა მიმართ“, იგი მკვლევართა ნაწილის მიერ, სტილური ასპექტით, იუსტინეს შრომად არ არის მიჩნეული, თუმცა საეკლესიო ტრადიცია და უადრესი გამოცემები (მათ შორის ჟ. მინის გამოცემა, საიდანაც ვთარგმნეთ იგი; იხ. პგ. VI) ამ ძეგლს უყოყმანოდ განუკუთვნებენ წმ. იუსტინეს.

შემორჩენილი შრომები ქრისტიანობის დიდი აპოლოგეტიკისა უმნიშვნელოვანესი წყაროა მეორე საუკუნის საეკლესიო ღვთისმეტყველების შესასწავლად. აღნიშნული შრომები ყურადღებას იქცევს მრავალი ასპექტით. შევეხებით ზოგ მათგანს.

1. ღვთის შესახებ წმ. იუსტინეს მოძღვრება:

წმ. იუსტინე ღმერთს, უპირველესად, დაუსაბამოდ აღიარებს და „გამოუთქმელად“ („არრეტოს“) სახელდებს მას:

„ყოველთა მამას, უშობელს სახელდება არა აქვს; თუკი რაიმე სახელი ეწოდება მას, მაშინ სახელის მდებელი მასზე უხუცესი („პრესბუტეროს) უნდა იყოს. „მამა“, „ღმერთი“, „შემოქმედი“, „უფალი“, „მეუფე“, ეს ყველაფერი სახელები როდია, არამედ ქველმოქმედებათა და საქმეთა შესაბამისი წოდებანი („პროსერესეის“). მხოლოდ მისი ძე არის ჭეშმარიტად წოდებული ძედ, სიტყვა უწინარესი ქმნილებათა, თანამყოფი და შობილი. რაჟამს დასაბამში მის მიერ ყოველივე შექმნა და განამშვენა მან. „ქრისტეა“ იგი, რადგანაც იცხო მან („ხრისტოს“ - „ცხებული“; „ხრიძო“ - ცხება; ე. ჭ.) და მის მიერ ყოველივე შეამკო ღმერთმა. იგივე სახელი შეიცავს, აგრეთვე, შეუცნობ შინაარსს („ონომა კაი აუტო პერიეხონ აგნოსტონ სემასია“). მსგავსადვე, წოდება „ღმერთი“ სახელი არ არის, არამედ გამოუთქმელი საქმის შესახებ ადამიანის ბუნებაში აღმოცენებული (სიტყვ. „შთანერგილი“ - „ემფუტოს“) აზრი, ხოლო „იესუ“ არის სახელი და აღმნიშვნელი კაცისა და მაცხოვრისა“ (სვ. 453).

იუსტინეს სწავლებით უმჯობესი სახელი, რომელიც შეიძლება ეწოდოს მას, არის „მამა“, რადგანაც „შემოქმედი“, ამავე დროს, არის ყოველივეს მამა.)

წმ. იუსტინეს აზრით, მამა ღმერთი მკვიდრობს თავის უზენაეს წიადში. მას არ ეთვისება სამყოფელის მიტოვება, მოძრაობა და სხვა.

„როდესაც ღმერთი ამბობს: „ამაღლდა უფალი აბრაჰამისაგან“ (შესაქ. XVII, 22), ან კიდევ: „ეტყოდა უფალი მოსეს“, ანდა: „გარდამოვიდა უფალი ხილვად ქალაქისა და გოდლისა, რომელი აღაშენეს ძეთა კაცთასა“ (შესაქ. XI, 5), ან: „და დაკმა უფალმან ღმერთმან გარეგნით მისსა კილობანი“ (შესაქ. VII, 16), ნუ იფიქრებთ, თითქოს თავად უშობელი ღმერთი ჩამოდის ანდა ადის რაიმე ადგილიდან. გამოუთქმელი მამა და ყოველთა უფალი არც საითმე მიიწევს, არც მიდის, არც იძინებს, არც ღვება, არამედ თავის სამკვიდრებელში, სადაც იმყოფება, ჰგეის, მახვილად ხედავს და მახვილად ისმენს, არათუ თვალთა და ყურთა მიერ, არამედ ენით უთქმელი ძალით; ყოველივეს ხედავს, ყოველივეს შეიცნობს და ვერავინ ჩვენთაგან ვერ დაემალება მას; არცთუ იძრვის იგი, რომელსაც ვერ დაიტევს ადგილი, ვერც მთელი სამყარო, რომელიც იყო სამყაროს ქმნამდე. ხოლო ამგვარი ვინმე როგორ მიუგებს სიტყვას ვინმეს ანდა როგორ იხილავს მას ვინმე, ან კიდევ როგორ გამოჩნდება იგი დედამიწის უმნიშვნელო ნაწილში, მაშინ როცა სინას მთაზე მისგან მოვლინებულის სიდიადეც კი ვერ იხილა ერმა და ვერც მოსემ შეძლო შესულიყო მის მიერ აგებულ კარავში, ვიდრე არ აღივსო იგი საღვთო სიდიადით“ (სვ. 771-773).

ასევე, სხვაგან, „გამოსლვათა“ III თავის განმარტების უამს, იუსტინე შენიშნავს: „ვერავინ იკადრებს იმის თქმას, თუნდაც გონებაზე ზღუდული იყოს იგი, რომ ყოვლიერების შემოქმედმა და მამამ დატოვა ცის ზემოთ ყოველივე („ტა ჰჰერ ურანონ ჰაპანტა“, სვ. 612) და მიწის მცირე ნაწილში გამოჩნდა“.

მაგრამ თუკი ღმერთი ტრანსცენდენტურია და აღემატება ყოველ არსებას, აუცილებელია ღმერთსა და კაცს შორის უფსკრულზე ხიდის გაღება და ადამიანის ღმერთამდე აზიდვა. ამას აღასრულებს სიტყვა ღვთისა, ლოგოსი, რომელიც შუამავალია, შუამდგომელია შემოქმედსა და შექმნილს შორის. ღმერთი, მამა სამყაროსი, სწორედ მის მიერ უერთდება სამყაროს, მის მიერ

3 თემატური განხილვა საკითხებისა წარმოდგენილია ი. კასტინის ზემოდასახელებულ შრომაში, რასაც ვყვრდნობით ჩვენ. თავად წმ. იუსტინეს დამოწმებული სიტყვები ყველგან თარგმნილია ბერძნული ტექსტების გ. მინისეული გამოცემიდან (იხ. პატროლოგია გრეკა, ტ. VI).

ვლინდება. იგი. ამგვარად, სიტყვა ღვთისა არის გზა მამისაკენ, მოძღვარი და წინამძღვარი კაცთა. ეს სიტყვა მამის წიაღში მკვიდრობს დაუსაბამოდ და დაუსაბამოდ იშვება მისგან, რომ შექმნას სამყარო. თავის „სიტყვისგებაში“ იუსტინე ლოგოსის შობას სახეობრივად ასე წარმოვედგენს:

„უწინარეს ყოველთა ქმნილებათა ღმერთმა შვა თავისი თავიდან დასაბამიერი, გონიერი ძალა, რომელიც სული წმიდის მიერ „უფლის დიდებად“ იწოდება, ან კიდევ „ძედ“, ან „სიბრძნედ“, ან „ანგელოზად“, ან „ღმერთად“, „უფლად“, ან „სიტყვად“, რომელმაც თავის თავს „მხედარმთავრადაც“ სახელდო, როდესაც კაცის სახით ეჩვენა ისუ ნავეს; ფლობს ის ყველა ან სახელს, რამეთუ მსახურებს მამისეულ ნებას და მამისეული ჯერჩინებით იშვება იგი, არა იმგვარად, როგორც ვხედავთ ჩვენგან ქმნილ სიტყვას, რომელსაც წარმოთქმის ჟამს „ვშობთ“... არამედ მსგავსად ცეცხლისა, რომლისაგანაც ალი იქმნება; აალებისას ცეცხლი შეძცივებას არ განიცდის და როგორც იგი რჩება უცვლელი, ასევე უცვლელი რჩება მისგან წარმოქმნილი ალი, რომელიც თუმცა ცხადრჩენილია, მისი სათავე მაინც არ მცირდება. შემოწმება მე „სიბრძნის“ სიტყვა, რომ ეს არის თვით ღმერთი, შობილი ყოველთა მამისაგან, „სიტყვა“, „სიბრძნე“, „ძალი“ და „დიდება“ მშობელისა, რომელიც ამბობს სოლომონის მიერ: „... უფალმა შექმნა მე დასაბამად გზათა მისთა. საქმეთა მისთათვის“ („სიბრძნე“ VIII, 21).

საგულისხმოა, რომ იუსტინეს სწავლებით ყოველი ადამიანი თავის გონებაში ფლობს ლოგოსის „თესლს“ (ტო სპერმა“), ე. ი. არა მხოლოდ „ძველი აღთქმის“ წინასწარმეტყველნი, არამედ წარმართი ფილოსოფოსებიც შეიცავდნენ ლოგოსის „თესლს“. იუსტინე ასახელებს ჰერაკლიტეს, სოკრატეს და სტოელ ფილოსოფოსს მუსონიუსს, რომლებიც, მისი მითითებით, ცხოვრობდნენ ღვთის სიტყვის, ლოგოსის განწესებათა მიხედვით და ეს მოაზროვნეები არსებითად წინა ქრისტიანები იყვნენ:

„გვისწავლია, რომ ქრისტე არის პირმშო („პროტოტოკოს“) ღვთისა და როგორც უკვე აღვნიშნეთ, „სიტყვაც“ არის ის, რომელსაც კაცთა მთელი მოდგმა ეზიარება. ისინი, ვინც ამ სიტყვის მიხედვით ცხოვრობენ, ქრისტიანები არიან, თუმცა უღმერთობად რაცხენ მათ როგორც სოკრატეს, ჰერაკლიტესა და მათ მსგავსებს ელინთა შორის, აბრაამს, ანანიას, აზარიას, მისაელს, ელიასა და მრავალ სხვას ბარბაროსთა შორის, რომელთა საქმეთა და სახელთა აღრიცხვა დიდ დროს მოითხოვს და ამიტომ გვერდს ვუვლით,“ (აპოლოგია 1,46).

იუსტინე, ამ აზრით, ანტიკურ ფილოსოფიაში ქრისტიანულ მარცვალს ჭვრეტს, მაგრამ ეს მარცვალი საცნაურია, საწვდომია სწორედ მაცხოვრებელი ჭეშმარიტების შუქზე და არა თავისთავად, არა საკუთრივ ანტიკური ფილოსოფიის თვალსაზრისით:

„არათუ უცხოა პლატონის სწავლება ქრისტესაგან, არამედ მთლად მსგავსი არ არის, ისევე როგორც სხვათა სწავლებანი, — სტოიკოსთა, პოეტთა, მწერალთა. თითოეული მათგანი ნაწილობრივ ჭვრეტდა მას, რაც ეთვისება საღვთო და სპერმატულ სიტყვას“, შემდეგ კი გამოთქვამდა შესაფერისად (სიტყვ. „კარგად“)... და რაც სხვა დანარჩენთან ერთად კარგად თქვეს მათ, ჩვენ გვეკუთვნის, ქრისტიანებს, რადგანაც ღმერთთან (მამაღმერთთან, — ე.ჭ.) ერთად თავყვანს ვცემთ და გვიყვარს უშობელი და გამოუთქმელი ღვთის სიტყვა, რომელიც ჩვენს გამო კაცი გახდა და შეაძლებინა ბუნდოვნად განჭვრეტა არსთა; ხოლო სხვა არის რაიმეს თესლი და, ძალისამებრ, ბოძებული მსგავსება და სხვა არის (თესლი), რომლის მადლითაც მასვე ვეზიარებით და ვემსგავსებით“ (აპოლოგია 2,13).

ცოტა ზემოთ წმ. იუსტინე შენიშნავს:

„რაც კი ფილოსოფოსებმა და კანონმდებლებმა კარგად თქვეს და აღმოაჩინეს, ყოველივე ეს სიტყვის ნაწილობრივი შეცნობითა და განჭვრეტით იქმნა; ხოლო რადგანაც მათ სრულად ვერ შეიცნეს ყოველივე ის, რაც სიტყვისაა, რომელიც არის ქრისტე, ამიტომ ხშირად

4 ეს ფრაზა, რაც არასუსტია გვიანდადგენილი დოგმატური ტერმინოლოგიის მიხედვით, აქ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მამისათვის მარადიულად სათნოა მარადიული შობა მისა

5 მღრ. „აპო მერუს ტუ სპერმატიკუ თეუ ლოუ ტო სუნენეს“ (სვ. 465)

ურთიერთსაწინააღმდეგოც კი წარმოთქვამს. ისინი, რომლებიც ქრისტემდე ცხოვრობდნენ კაცთა შორის და რომლებმაც სცადეს გონების ძალით („ლოგო პეირათენტეს“, 460) განეჭვრიტათ და გაეცხადებინათ საგნები („ტა პრაგმატა“), როგორც უღვთონი და უსარგებლონი სამსჯავროზე წარადგინეს. ამ მხრივ ყველაზე უფრო მეტად მგზნებარე კაცს, სოკრატეს იმგვარი ბრალი დასდეს, როგორსაც ჩვენ გვდებენ, რადგანაც სოკრატეზე თქვეს, რომ მან ახალი ღმერთები („დაიმონია“), შემოიტანა, ხოლო ქალაქის მიერ ღმერთებად პატივდებულნი უარყო (სიტყვ. „არ ჩათვალა“). მან უგვან ღმერთთა უკუგდება ასწავლა ხალხს... და გონებრივი ძიების გზით („დია ლოგუ ძეტესესოს“, სვ. 461) შეუცნობელი ღვთის შეცნობისაკენ („პროს თეუ აგნოსტუ... ეპიგნოსინ“) წარმართა ისინი. ასე უთხრა მათ: „ყოველთა მამისა და შემოქმედის პოვნა ადვილი არ არის, არცთუ პოვნისის ყველასათვის გაცხადებაა უსაფრთხო“. ეს ქმნა ჩვენმა ქრისტემ თავისი ძალით, ხოლო სოკრატეს არავინ ერწმუნა და იგი ამ მოძღვრების გამო მოკვდა. **ქრისტე, რომელიც ნაწილობრივ** („აპო მერუს“) **შეიცნო სოკრატემ** (ხოლო ქრისტე იყო და არის სიტყვა, ყველაფერში მყოფი, რომელმაც წინასწარმეტყველთა პირით წინდაწინ გვაუწყა სამომავლოდ აღსრულებადი, შემდეგ კი თვითვე თანამდგომელი გვექმნა და გვასწავლა ეს ყოველივე), არა მხოლოდ ფილოსოფოსთა და მესიტყვეთათვის („ფილოლოგოი“) გახდა სარწმუნო, არამედ ხელოსნებისათვისაც და ყოველად უმეტართათვის, რომლებმაც უგულვებელყვეს დიდება, შიში, სიკვდილი, რადგანაც (ქრისტე) არის ძალი გამოუთქმელი მამისა („ღვანამის ესტი ტუ არრეტუ პატროს“) და არა ჭურჭელი კაცობრივი სიტყვისა“ (სვ. 461).

(ამგვარად, იუსტინე მარტვილი გვასწავლის, რომ წარმართულ ფილოსოფიაშიც არის ჭეშმარიტების რამ მარცვალი.) აქვე თავს იჩენს ცნობილი აზრი, რომ ანტიკური ლიტერატურა შეიცავს ნასესხობებს „ძველი აღთქმიდან“ (მდრ. აპოლოგია 1,44).

(იუსტინეს დასკვნა ის არის, რომ მაცხოვრებელი ჭეშმარიტება მხოლოდ ქრისტიანთა ხვედრია, რადგანაც მაცხოვარი, რომელიც მათ გამოუჩნდა, თავად არის სრული ჭეშმარიტება, სრული ნათელი.)

2. წმ. იუსტინეს მარიოლოგია

(წმ. იუსტინე პირველი ავტორია, რომელიც პავლე მრციქულისეულ პარალელს იესო ქრისტესა და ადამს შორის უმატებს ყოველდღშიდა მარიამისა და ევას შეპირისპირებას:)

„როდესაც „ძედ“ ვამბობთ (ქრისტეს), იმას გვეულისხმობთ რომ უწინარეს ყოველი შესაქმნისა გამოვიდა იგი მამისაგან მისი ძალითა და ნებით (იგივე არის „სიბრძნე“, „დღე“, „აღმოსავლეთი“, „მახვილი“, „ქვა“, „კვერთხი“, „იაკობი“, „ისრაელი“ და კიდევ სხვა სახელები, რასაც კი უწოდებენ მას წინასწარმეტყველური სიტყვები). ქალწულისაგან განკაცდა იგი, რომ იმავე გზით დაეწყო მას, რა გზითაც გველისმიერ ურჩებას მიეცა დასაბამი, რადგანაც უხრწნელი ქალწული იყო ევა, რომელმაც მუცლად-ილო სიტყვა გველისა და ურჩება და სიკვდილი შვა, ხოლო ქალწულმა მარიამმა რწმენა და მადლი შეიწინარა რაჟამს ახარებდა მას გაბრიელ ანგელოზი: „სული უფლისა⁶, მოვიდეს შენ ზედა და ძალი მადლისა გფარვიდეს შენ“ (ლ. 1,35): და რადგანაც მისგან შობილი სიწმიდე არის ძე ღვთისა, ამიტომ, ასე მიუგო მან ანგელოზს: „მეყავნ მე სიტყვსაებრ შენისა“ (ლ. 1,38). მარიამისაგან იშვა იგი, რომლის შესახებაც, როგორც გაგაცხადეთ, გვაუწყებდა წერილი. მის მიერ განაქარვებს ღმერთი გველს, მის მსგავს ანგელოზებსა და ადამიანებს, ხოლო მათ, რომლებმაც მოინანიეს ცოდვები და ერწმუნენ ქრისტეს, სიკვდილისაგან გამოსხნას ანიჭებს იგი“ (სვ. 712; „სიტყვისგება“, თავი 100).

3. წმ. იუსტინეს ანგელოლოგია და ღმერთოლოგია

იუსტინე, ასევე, ერთ-ერთი პირველი ქრისტიანი ავტორია, რომელიც ანგელოზთა თაყვანისცემის შესახებ გვაუწყებს:

„... ამიტომაც უღმერთობს გვიწოდებენ; ვაღიარებთ, რომ მართლაც უღმერთონი ვართ ამგვარ ცრუ ღმერთთა მიმართ, მაგრამ არა — უჭეშმარიტებისადმი, სიმართლის, სიწმიდისა და ყველა სათნოების მამისადმი, ბოროტისაგან შეუზავებელი ღვთისადმი. ვეთაყვანებით და თაყვანსცემთ მას და მისგან გამოსულ ძეს, რომელმაც გვასწავლა ეს ყოველივე, აგრეთვე, მის თანმხლებ და მისდამი მიმსგავსებულ კეთილ ანგელოზთა მხედრობას და წინასწარმეტყველურ სულს („პნევმა ტო პროფეტიკონ“); სიტყვითა და ჭეშმარიტებით პატივს მივაგებთ მათ; ყველას, ვისაც სურს სწავლა, რაც თვით ვისწავლეთ, უშურველად გადავცემთ“ (აპოლ. 1,6; VI სვ. 336-337).

(ანგელოზები, იუსტინეს თქმით, ზეციდან ზრუნავენ კაცთათვის: „ღმერთმა, რომელმაც შექმნა მთელი კოსმოსი და დედამიწაზე კაცს დაუმორჩილა ყოველივე, ხოლო ზეციური განწესებანი („ტა ურანია სტონეია“) ნაყოფთა აღმოცენებისა და ჟამთა ცვლისათვის შეამკო და ისინიც კაცთათვის შექმნა) მანვე განაჩინა ამგვარი საღვთო რჯულდება, რომლის ძალითაც ადამიანთა და, საერთოდ, ცისქვეშეთის გამგებლობა მათთვის განწესებულ ანგელოზებს ებოძა“ (აპოლ. 11,5; VI სვ. 452).

(საგულისხმოა, რომ წმ. იუსტინე ანგელოზებს, მათი სულიერების მიუხედავად, გარკვეული რამ სხეულის მქონედ წარმოგვიდგენს: „ისინი, რომლებიც ანგელოზები იყვნენ ჭეშმარიტად, ზეცაშიც იღებენ საზრდელს, თუმცა არა იმგვარივეს, როგორსაც ჩვენ, ადამიანები. მანანას შესახებ, რომლითაც თქვენ (იუსტინე მიმართავს ებრაელ ტრიფონს, ე. წ.) მაშები გამოიკვებნენ უდაბნოში, წერილი ამბობს, რომ მათ „ანგელოზთა პური ჭამეს“. მე კი ვიტყვოდი, რომ როდესაც სიტყვა ამბობს: „ჭამეს“, იმგვარად ამბობს ამას, როგორც ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა ცეცხლის შესახებ, რომ იგი ყოველივეს „ჭამს“, თუმცა ამით იმას როდი ვგულისხმობთ, რომ კბილებითა და ყბების ღეჭვით ჭამენ ისინი (ანგელოზები). ასე რომ, აქაც არაფერი იქნება გაუგებარი, თუკი მცირედ მაინც განვისწავლებით სახისმეტყველებაში („ტროპოლოგია“) (VI სვ. 605, სიტყვისგება, 57).

(შეხედულება ანგელოზთა სხეულებრიობის შესახებ საფუძველია ანგელოზთა დაცემის იუსტინესეული განმარტებისა. მისი უწყებით, ანგელოზებმა სცოდნეს მაშინ, როდესაც მათ ქალებთან ხორციელი კავშირი დაამყარეს: „ანგელოზებმა დაარღვიეს ეს (საღვთო) რჯულდება, დამდაბლდნენ ქალებთან თანაზიარობამდე და შვეს შვილები, რომლებიც არიან ე.წ. ღემონები“ „ხსნებული ღემონები, იუსტინეს აზრით, მარადიულ ცეცხლში დაისჯებიან ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს. იგი გვაუწყებს:)

(ჩვენს შორის ბოროტ ღემონთა პირველსათავედ გველი ითვლება, იგივე სატანა და ეშმაკი („დიაბოლოს“) ... რომელსაც მოელის ცეცხლში შთანთქმა მის ლეგიონთა და თანმხლებ კაცებთან ერთად. მათი დაუსრულებელი და საუკუნო სასჯელის შესახებ წინდაწინ გვაუწყა ქრისტემ. ხოლო ამგვარი რამ ახლავე იმიტომ არ იქმნება, რომ აყოვნებს ღმერთი კაცთა გამო, რადგანაც წინდაწინ უწყის, რომ ზოგიერთები უნდა ცხონდნენ სინანულის გზით, ხოლო ზოგიერთები ჯერ კიდევ უნდა იშვნენ“ (1 აპოლ. 28).

(ასე რომ, მეორედ მოსვლამდე ღემონებს კვლავ ძალუძთ აცთუნონ ადამიანები.) ქრისტეს განკაცების შემდეგ ისინი უფრო მეტად გულმოდგინეობენ, რომ დააბრკოლონ ადამიანის ღვთისაკენ მიქცევა (იხ. აპოლოგია 1,26, 54, 57, 62). მათი იარაღია ერეტიკული სწავლებანი. მწვალებლები ქადაგებენ არა მამასა და ძეს, არამედ სხვა ღმერთს. (ღემონებმა ანუ ეშმაკებმა დააბრმავეს ებრაელები და აღძრეს ისინი ლოგოსის, იესუ ქრისტეს ჯვარზე საცემელად, მაგრამ რადგანაც უწყიან, რომ მაცხოვარმა მოწაფეები მიავლინა წარმართებთან მათ მოსაქცევად, მთელი ძალით წინ აღუდგებიან ჭეშმარიტების გავრცელებას, თუმცა სახელი იესუ ქრისტესი თრგუნავს და იმორჩილებს მათ) (იხ. „სიტყვისგება“, 30).

4. დასაბამიერი ცოდვა და განღმერთობა

7 შდრ. მისივე, აპოლოგია 1,5; ანგელოზთა და ქალთა თანაზიარების შესახებ აზრი ქრისტეანულ მწერლობაში შემოვიდა ფილონის (იხ. მისი „გიგანტების შესახებ“) და იოსებ ფლავიოსის (იხ. მისი „იუდეველთა სიძველენი“) შრომებიდან; იხ. პგ. V, სვ. 452, შენ, შენ. 89. აი, ფლავიოსის სიტყვები: „ამიერ განარისხეს ღმერთი მათთან, რამეთუ მრავალთა ანგელოზთა ღმრთისათა, დედაკაცისადა შეყოფილთა, მაგინებელნი შვენს ყრბანი და ყოვლითა კეთილისა შეურაცხისმოფენი“ (იხ. იოსებ ფლავიოსი, მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი, 1, გამოც. ნ. მელიქიშვილმა, თბ. 1987, გვ. 97). წმ. იუსტინეს ეთანხმება წმ. თეოფილე ანტიოქიელი, ათნაგორა, ნეტარი კლიმენტი ალექსანდრიელი. სხვაგვარია წმ. ათანასე ალექსანდრიელსა და წმ. იოანე ოქროპირის განმარტებანი.

წმ. იუსტინეს სწავლებით, ყოველ ადამიანურ არსებას ძალუძს განღმერთობა. ამგვარი მაღლი მათ მოენიჭათ შესაქმის დასაბამში, მაგრამ პირველმშობელთა შეცოდების გამო სიკვდილი გაჩნდა. ქრისტეს განკაცებამ დაგვისახა გზა ღმერთყოფისაკენ. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა „სიტყვისგების“ 124-ე თავი.

„და რადგანაც ვიხილე, რომ შეკრთნენ ისინი, როდესაც ვთქვი: „ჩვენ ღვთის შვილები ვართ“, დავასწარი მათ შეკითხვას და დავძინე: „ისმინეთ, კაცნო, რას ამბობს სულიწმიდა ამ ხალხის შესახებ: „ძენი მაღლისანი არიან ისინი“ და მათ კრებულში წარმოდგება თვით ქრისტე, რომ განსაჯოს მან კაცთა ყოველი ტომი... როგორც გსურთ, ისე განმარტეთ ფსალმუნი⁸. ასედაც ცხადია, რომ ადამიანები ღირსჩენილნი იყვნენ ღმერთებად განდომისა“ („... ჰოტი თეოი კატექსიონტაი გენესთაი“, სვ. 765), რომ ყველას ძალუძდა და პატივდებული იყო მაღლის შვილობისა, მაგრამ განისჯებიან და დაისჯებიან ისინი, მსგავსად ადამისა და ევასი, თავიანთი თავისა გამო (სიტყ. „მიხედვით“)⁹ (სვ. 765; „სიტყვისგება“ 124).

5. ნათლისღება და ზიარება

წმ. იუსტინეს მიერ აღწერილი ნათლობა და ევქარისტია, რაც პირველი აპოლოგიის ბოლო ნაწილში გვხვდება, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ნათლისღების შესახებ იგი ვაუწყებს:

„განგმირტავთ, თუ რა სახით განვუკუთვნებთ ჩვენს თავს ღმერთს, რომლებიც განვახლდით ქრისტეს მიერ, რადგანაც ამგვარი განმარტების გარეშე უკეთურებაში ჩავვარდებით. რომლებიც ირწმუნებენ და დაიჯერებენ, რომ ჩვენეული სიტყვები და სწავლებანი ჭეშმარიტია, იმასაც აღვეთქვამენ, რომ ძალუძთ ამგვარად ცხოვრება, შემდეგ კი განისწავლებიან ლოცვაში და მარხულნი ვედრებასაც აღავლენენ ღვთისადმი, რომ მიეტევოთ ადრინდელი შეცოდებანი; მათთან ერთად ვილოცავთ და ვიმარხავთ ჩვენც. ამის შემდეგ მოგვყავს ისინი, სადაც წყალაა. აქ ახლად იშვებიან ისინი იმგვარივე ახალშობით, როგორითაც ახლად ვიშვით თვით ჩვენ: სახელითა ყოველთა მამისა და მეუფისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესუ ქრისტესი და სულისა წმიდისა განბანვას აღასრულებენ წყალში, რადგანაც თვით ქრისტემ თქვა: „უკეთუ ახლად არ იშვებით, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეთელში“ (შდრ. იოანე 3,5). ხოლო ის, რომ შეუძლებელი არის ერთგვის შობილთათვის მშობელთა მუცელში შესვლა, ცხადია ყველასთვის. როგორც ადრე დავწერეთ, ესაა წინასწარმეტყველის მიერ არის თქმული, თუ რა სახით დააღწევენ თავს შეცოდებებს ცოდვილნი და მონანულნი. ამგვარად ითქვა: „განიბანებით, წმიდა იქმნებით, მოსპენით უკეთურებანი სულთაგან თქვენთა, ისწავეთ კეთილისა ქმნა. უსაჯეთ ობოლსა და განამართლეთ ქურივი და მოვედით და შევიტყუნეთ, – იტყვს უფალი, – და უკუეთუ იყვნენ ცოდვანი თქვენნი, ვითარცა ძოწეულნი მეწამულნი, ვითარცა თოვლი განვასპეტაკო. უკუეთუ არა ისმინოთ ჩემი, მახვლმან შეგტამნეს თქვენ, რამეთუ პირი უფლისაა იტყოდა ამას“ (ეს. 1,16-20). ამის შესახებ მოციქულთაგან გვისწავლია ამგვარი სიტყვა: უმეცარნი ვარ ჩვენი პირველი შობისა, რადგანაც იძულებით ვიშვით თხევადი თესლისაგან, როდესაც ურთიერთშეეზავა ჩვენი მშობლები და დავიბადეთ ცუდი ჩვევებისა და უკეთური სწრაფების წიაღში. ამიტომ იძულებისა და უმეცრების შვილნი რომ არ ვიყოთ, არამედ ნებისა და ცოდნისა („პროაირესეოს კაი ეპისტემეს“, სვ. 421) და რომ მოგვეტევოს ჩვენი ადრეული შეცოდებანი, წყალში მყოფ ახლადშობის მოსურნეზე, რომელმაც მონანია ადრეული შეცოდებანი, მოუხმობენ ყოველთა მამისა და მეუფე ღვთის სახელს. მხოლოდ ამას წარმოთქვამენ ისინი, როდესაც განსაბანი მიჰყავთ ემბაზთან (რადგაც ვერავინ იტყვის გამოუთქმელი ღვთის სახელს, ხოლო თუ ვინმე კადნიერად იფიქრებს, რომ ეს შესაძლებელია, დამღუპველი სიშლეგით იქნება განცოდებული). განბანვას ეწოდება „განათლება“ (ფოტისმო), რადგანაც ვინც ყოველივე ზემოთქმულში განისწავლება, გონება გაუნათლდება მას.

8 იგულისხმება ფსალმუნი 81

9 გახაება, რომ იგულისხმება მაღლი ღმერთყოფა

მოსანათლი პირი განიბანება, აგრეთვე, სახელითა იესუ ქრისტესითა, ჯვარცმულისა პონტოელი პილატეს ჟამს და სახელითა სულიწმიდისა, რომელმაც წინასწარმეტყველთა მიერ გვიქადაგა იესუს შესახებ ყოველივე“ (სვ. 421; „სიტყვისგება“, I, 61).

ამგვარია ნათლისღების იუსტინესეული აღწერილობა. რაც შეეხება ევქარისტიას, მის შესახებ ხსენებულ აპოლოგიაში ორგზის გვაქვს უწყება. პირველი უწყება ეხება ახალმონათლულთა ლიტურგიას, ხოლო მეორე საკვირაო მსახურების აღწერას შეიცავს. ამ დღეს, კვირას ლიტურგია იწყება კანონიკურ სახარებათა საკითხავით (სახარებები იუსტინეს მიერ წოდებულია, როგორც „მოციქულთა ჩანაწერები“, სიტყვ. „მოსახსენებლები“) ანდა წინასწარმეტყველთა წიგნებით. საკითხავს მოსდევს ქადაგება, რის შემდეგაც მრევლი ლოცვას ადავლენს ქრისტიანთათვის და მთელი კაცობრიობისათვის. ლოცვის დასასრულს მრევლის ყველა წევრი ურთიერთშორის აღასრულებს „მშვიდობის ამბორს“. ამის შემდეგ მოძღვართან მიაქვთ პური, ღვინო და წყალი. მოძღვარი მათზე ადავლენს წმიდამყოფელ ლოცვას. დიაკონები საუფლო ძღვენს განუყოფენ მრევლის წევრებს და უგზავნიან მათ, რომლებიც ვერ დაესწრნენ ჟამისწირვას. იუსტინე გარკვევით ამბობს, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი პური და ჩვეულებრივი სასმელი, არამედ ხორცი და სისხლი იესუ ქრისტესი. ამას ადასტურებს სახარება. იუსტინეს მოაქვს თავად მაცხოვრის სიტყვები და ცხადყოფს, რომ ევქარისტია პური და ღვინო იკურთხება და წმიდა-იქმნება იმგვარი ლოცვით, რომელიც შეიცავს მაცხოვრის ზემოაღნიშნულ სიტყვებს. საყურადღებოა, რომ ჟამისწირვის პირველ აღწერილობაში, რომელიც უშუალოდ მოსდევს ნათლობას, წმ. იუსტინე არ ახსენებს საკითხავს საღვთო წერილიდან და მოძღვრის ქადაგებას. როგორც ჩანს, მათი გამოტოვება იმით უნდა აიხსნას, რომ ევქარისტია წინ უძღოდა ნათლობას. აი, უშუალოდ იუსტინეს სიტყვები:

„ხოლო ის პირი, ვინც რწმენა მიიღო და მოგვემხრო ჩვენ, ამგვარად განბანვის შემდეგ მიეგვავს მის ძმებად წოდებულთა კრებულში; იქ ზიარად ადავსრულებთ მხურვალე ლოცვას ჩვენს გამო, აგრეთვე, მისთვის, ვინც ნათელილო და ყოველი კაცისათვის, რომ ჭეშმარიტებაში განსწავლულები საქმეთა მიერ გამოვჩნდეთ, როგორც კეთილი მოქალაქენი და მცნებათა ღირსეულად დამცველნი, რაც საუკუნო ხსნას მოგვმადლებს. ლოცვათა დასრულების შემდეგ ამბორისყოფით მოვიკითხავთ ურთიერთს. ამის შემდეგ ძმათა წინამძღვართან („ხო პრესტოტი“, სვ. 428) მოაქვთ პური, აგრეთვე, სასმისი წყლითა და ღვინით („არტოს, კაი პოტერიონ ჰვდატოს კაი კრამატოს“), ხოლო იგი (წინამძღვარი) მიიღებს მათ და ქებადიდებას ადავლენს ყოველთა მამისადმი სახელითა ძისა და წმიდისა სულისა, აგრეთვე, ფრიად სამადლობელს („ევხარისტია“) წარმოთქვამს იმის გამო, რომ ამგვარ (სიკეთეთა) ღირსად გამოჩნდა¹⁰. როდესაც იგი სრულყოფს ლოცვებსა და სამადლობელს (ტენ ევხარისტიან“), მთელი იქ მყოფი ერი გალობით წარმოთქვამს („ეპეფეემეი ლეგონ“): „ამინ!“ ხოლო „ამინ“ებრაულ ენაზე ნიშნავს: „იყავნ“ (გენოიტო). როდესაც სამადლობელს ადავლენს წინამძღვარი და მთელი ერი გალობას სრულყოფს („ეპეფეემესანტოს“), ისინი, ვინც ჩვენს შორის დიაკონებად იწოდებიან, იქ მყოფთაგან ყველას („ჰეკასტო ტონ პარონტონ“) აზიარებენ პურს, ღვინოსა და წყალს, რომლებზეც ევქარისტია აღსრულდა („ევხარისტეთენ“), და მათ, რომლებიც იქ არ არიან, ეგზავნებათ („კაი ტოის უ პარუსინ აპოფერუსი“).

აი, ამ საზრდელს („ტროფე“) ვუწოდებთ ჩვენ „ევქარისტიას“, რომელსაც არ შეიძლება ეზიაროს ვინმე გარდა იმისა, რომელსაც სწამს, რომ ჭეშმარიტია ჩვენმიერი სწავლებანი, რომელიც განიბანა ცოდვათმიტევებისა და ახალშობის ემბაზში და რომელიც იმგვარად ცხოვრობს, როგორც ეს ქრისტესაგან გადმოგვეცა. არათუ, როგორც ჩვეულებრივ პურსა და სასმელს, მივიღებთ მათ, არამედ ისევე, როგორც ღვთის ნებით ხორცმესხმულმა იესუ ქრისტემ, მაცხოვარმა ჩვენმა, ჩვენდა სახსნელად მიიღო სისხლი და ხორცი, ასევე ეს საზრდელიც, რომელზეც მის (ქრისტეს) მიერ წარმოთქმული ლოცვის სიტყვით აღსრულდა ევქარისტია („ევხარისტეთისან ტროფენ“) და

10 „სამადლობელი“ ანუ „ევქარისტია“ („ევხარისტია“) წარმოთქმის იმ უდიდესი მადლის გამო, რასაც უფლის სისხლთან და ხორცთან ზიარება გვანიჭებს. აღრუელ ავტორთაგან იუსტინესთან ერთად ორივენიც შენიშნავს: „პური, რომელსაც მადლობითა და ბოძებულთა გამო ადავლენილი ლოცვით ვჭამთ, ლოცვის მიერ გარდაიქმნება წმიდა ხორცად, რომელიც წმიდაყოფს მათ, რომლებიც საღი განზრახვით მიიღებენ მას“ (პგ. V, სვ. 428).

რომელმაც სახეცვლის შედეგად უნდა ასაზრდოოს ჩვენი სისხლი და ხორცი იგი, როგორც გვისწავლია, არის ხორცშესხმული იესუს სისხლი და ხორცი, მოციქულები თავიანთ „მოსახსენებლებში“ („აპოკალიფსისი“), რომლებსაც ეწოდება „სახარებები“ ამგვარად გადმოგვცემენ იესუს მიერ მათთვის ნამცნებს: „და მოილო პური, ჰმადლობდა და თქუა: ამას ჰყოფდით მოსახსენებლად ჩემდა. ესე არს ხორცი ჩემი და ეგრევე მოილო სასუმელი, ჰმადლობდა და თქუა: ესე არს სისხლი ჩემი“ (ლუკა XXII, 19; მათე XXVI, 28) და მხოლოდ მათ აზიარა („კაი მონის ავტოის მეტადუნაი“, სვ. 429). ამას მიბაძეს უკეთურმა დემონებმა, რომლებმაც მითრას მისტერიებს გადასცეს მისი აღსრულება, რადგანაც გეცოდინებათ ანდა შეგიძლიათ გაიგოთ, რომ მათ მიერაც პური და სასმისი დაიება საზიარებელ პირზე მსხვერპლშეწირვის აღსრულების ჟამს, რასაც თან ერთვის რაღაც სიტყვებიც“ (წმ. იუსტინე, „აპოლოგია“, პგ. VI, სვ. 429).

იმავე „აპოლოგიის“ 67-ე თავში აღწერილია ჩვეულებრივი საკვირაო ჟამისწირვა. იუსტინე განმარტავს, თუ რატომ შეირჩა ეს დღე რეგულარული ლიტურგიისათვის. ეს დღე განსაკუთრებით კურთხეულია, რადგანაც ამ დღეს აღსდგა ქრისტე მკვდრეთით. იუსტინე გვაუწყებს:

„იმ დღეს, რომელიც ყველა ქალაქისა და სოფლის მკვიდრის მიერ „მზის დღედ“ იწოდება¹¹, კვლავ ხდება შეკრება იმავე ადგილას და იკითხება მოციქულთა მოსახსენებლები, აგრეთვე, წინასწარმეტყველთა ნაწერები, რამდენადაც ამას ჟამი დაიტევს. როდესაც მკითხველი დადუმდება, წინამძღვარი ქადაგებს. შემდეგ ყველანი ვდგებით ერთად და აღვაკლენთ ლოცვას. როგორც უკვე ვთქვი, ლოცვის დამთავრების შემდეგ მიიტანება („პროსფერუტაი“) პური, ღვინო და წყალი. წინამძღვარი, მსგავსადვე, ძალისამებრ აღვაკლენს ლოცვასა და სამადლობელს, ხოლო ერი ტკბილხმოვანად წარმოთქვამს: „ამინ“. შემდეგ აღსრულდება მომადლებულ ძღვენთა თითოეულისათვის („ჰეკასტო“) განაწილება და ზიარყოფა მათი („ჰე დიადოსის კაი ჰე მეტალეფისი“), ხოლო რომლებიც იქ არ არიან, დიაკონთა მიერ ეგზავნებათ („კაი ტოის უ პარუსი დია ტონ დიაკონონ ჰემპეტაი“). ვინც მდიდარია, თუკი ისურვებს, თავის (ქონებას), რასაც იხებებს, გასცემს ხოლო რაც შეიკრიბება („ტო სკლევგომენონ“), წინამძღვართან დაუნჯდება („ტო პროესტოტი აპოტიოტაი“), რითაც იგი შეეწევა („ეპიკურეი“) ობლებს და ქვრივებს, აგრეთვე მათ, რომლებიც ავადმყოფობის გამო თუ სხვა რამ მიზეზით დააკლდნენ (შესაწირავს), აგრეთვე, ბორკილებში მყოფთ, უცხო მგზავრებს, ანუ, მარტივად, შემწეობას ანიჭებს ყველა შეჭირვებულს. ხოლო მზის დღეს იმიტომ ვიკრიბებით ყველა ერთად, რომ ის არის პირველი დღე, როდესაც ღმერთმა მოაქცია წყვილი და ნივთიერება და შექმნა სამყარო, ასევე, იესუ ქრისტე, მაცხოვარი ჩვენი ამავე დღეს აღსდგა მკვდრეთით. კრონოსის დღის წინ ჯვარს აცვეს იგი, ხოლო კრონოსის დღის შემდეგ, რომელიც არის მზის დღე, გამოუჩნდა იგი მოციქულებსა და მოწაფეებს და ასწავლა ეს ყველაფერი, რასაც თქვენ გადმოგვცემთ შესასწავლად“ (პგ. VI, სვ. 432).

სიტყვისგების 41-ე თავში ვკითხულობთ:

„სამინდოს“ („ტეს სემიდალეოს“) შესაწირავი („პროსფორა“), ჰოი კაცნო, რაც კეთრისაგან განწმენდილთა გამო შესაწირავად გაიცა, გეტყოდით, რომ სახე იყო ევქარისტის პურისა („ტუპონ ენ ტუ არტუ ტეს ევხარისტისას“, სვ. 564), რომელიც იესუ ქრისტემ, უფალმა ჩვენმა მოგვანიჭა იმ ვნების მოსახსენებლად, რითაც ივნო მან ჩვენი სულების განსაწმენდად ყოველგვარი უკეთურებისაგან, რათა ვმადლობდეთ („ევხარისტუმენ“) ღმერთს. ერთი მხრივ, იმიტომ, რომ მთელი სამყარო შექმნა ადამიანისათვის, ხოლო მეორე მხრივ იმის გამო, რომ გაგვათავისუფლა ბოროტებისაგან, რაშიც ჩვენ ვიმყოფებოდით და სრული დამხობით დაამხო მან მთავრობანი და ხელმწიფებანი, რაჟამს მისი (ღვთის) ნებით ვნებული გახდა იგი (ქრისტე). ამიტომ თქვენს მიერ მაშინ შეწირულ მსხვერპლთა („პროსფერომენონ თვისიონ“, სვ. 564) გამო ამბობს ღმერთი: „არ არის ნება ჩემი თქვენს შორის, ამბობს უფალი, და თქვენს მსხვერპლთ (ტას თვისას“) არ შევიწყნარებ თქვენი ხელიდან, რამეთუ მზის აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე წარმართთა შორის

11 როგორც ცნობილია, კვირა დღეს წარმართები „მზის დღედ“ სახელდებდნენ. წმ. იუსტინე მარტილის დროს, 11 ს-ში, ცხადია რომის იმპერიის მოსახლეობა წარმართული იყო.

განდიდა ჩემი სახელი და ყოველ ადგილას გუნდრუკს სწირავენ ჩემს სახელს და მსხვერპლს წმიდას („თესია კათარა“), რამეთუ დიდა სახელი ჩემი წარმართთა შორის, ამბობს უფალი, ხოლო თქვენ ბილწავთ მას“ (მალაქ. 1, 10-12). აქ წინდაწინ იტყვის (უფალი) წარმართების ანუ ჩვენს მიერ ყველა ადგილას მისდამი შეწირულ მსხვერპლთა შესახებ, ანდა, რაც იგივეა, ევქარისტის პურისა და მსგავსადვე ევქარისტის სასმისის გამო, თანაც დასძენს, რომ ჩვენ განვადიდებთ მის სახელს, თქვენ კი (იუსტინე მიმართავს ებრაელ ტრიფონს, ე. ჭ.) შებილწავთ“ („სიტყვისგება“, 41; სვ. 564).

ციტირებულ ნაწყვეტში ევქარისტია გაიგივებულია იმ „მსხვერპლთან“ („თესია“), რაზეც წინასწარმეტყველებს მალაქია.

„სიტყვისგების“ 117-ე თავში ვკითხულობთ:

„რომ მხოლოდ ღირსეულ პირთა მიერ ქმნილი ლოცვები და ევქარისტებია სრული და ღვთისათვის სათნო მსხვერპლი, ამას მეც ვამბობ“ (სვ. 745). ასევე 1 აპოლოგიის 13-ე თავი გვაუწყებს:

„ერთადერთ მისთვის ღირსეულ პატივად ეს გვისწავლია, რომ მის მიერ ქმნილი საზრდო ცეცხლში კი არ შთავნთქათ¹², არამედ ჩვენსავე თავს და სხვებსაც, რომლებსაც უჭირთ, ვუძღვნათ ისინი, ხოლო მას ვმადლობდეთ და სიტყვიერ თავყანსა და საგალობლებს აღვუვლენდეთ (სვ. 345).

წმ. იუსტინე უარყოფს ნივთიერ მსხვერპლშეწირვას, რასაც იქმოდნენ ებრაელები და წარმართები, ხოლო ზიარება ანუ ევქარისტია მისთვის, ცხადია, მხოლოდ სულიერ, გონიერ მსხვერპლს ნიშნავს. ესაა ე. წ. „ლოგიკე თესია“. ევქარისტის, როგორც სულიერი მსხვერპლის ანუ „ლოგიკე თესია“-ს არსი ისაა, რომ თავად ლოგოსი, სიტყვა ღვთისა გვევლინება მსხვერპლად. სულიერი მსხვერპლისა და ევქარისტის გაიგივება იუსტინეს შემდეგ სრულად მსჭვალავს ქრისტიანულ ეგზეგეტიკას.

6. ესქატოლოგიური თვალთახედვა

ამ მხრივ იუსტინე, როგორც ჩანს, იზიარებდა მილენარისტთა მოძღვრებას ათასწლეულის შესახებ. იგი აღნიშნავს: „ხოლო მე და ყველამ მათ, რომლებიც აგრეთვე მართლმთააზროვნე („ორთოგნომონეს“) ქრისტიანები არიან, ვიცით, რომ იქნება ხორციით აღდგომა და როგორც აღიარებენ ებრაელები, ესაია და სხვა წინასწარმეტყველნი, ათასი წელი (ვიქნებით) აშენებულ, შეკრულ და გავრცობილ იერუსალიმში... ჩვენს შორის ერთმა კაცმა, სახელად იოანემ, ქრისტეს ერთერთმა მოციქულმა მასზე აღსრულებულ „გამოცხადებაში“ იწინასწარმეტყველა, რომ ქრისტეს მორწმუნენი ათას წელს დაჰყოფდნენ იერუსალიმში, ამის შემდეგ კი მოხდებოდა საყოველთაო („კათოლიკე“) და, მოკლედ რომ ვთქვათ („სენელონტი ფანაი“), ერთსულოვანი („ჰომოთემალონი“) საუკუნო აღდგომა ყველასთან ერთად და განკითხვა მათი“ (სვ. 669).

საგულისხმოა, რომ თვით იუსტინეს აღიარებით, ყველა ქრისტიანი არ იზიარებდა ამ აზრს: „მაგრამ მიგანიშნებ იმასაც, რომ ქრისტიანთაგან მრავალი, რომელთა მოძღვრება წმიდაა და საღვთო, არ ცნობს ამას („ტუტო მე გნორიძეინ“, სვ. 664).

იუსტინეს აზრით, გარდაცვლილთა სულები თავდაპირველად ჯოჯოხეთში ჩადიან და იქ იმყოფებიან ქვეყნის აღსასრულამდე. გამონაკლისია მხოლოდ მარტვილები. მათი სულები მყის ზეცად მადლდებიან. მაგრამ ჯოჯოხეთშიც, კეთილთა სულები გამიჯნულია უკეთურთაგან. ისინი იზარებენ სამომავლო მარადიული ხსნის მოლოდინით, ხოლო უკეთურთა სულები მოსალოდნელი სასჯელის გამო იტანჯებიან.

აი, ასე წარმოგვიდგება შეჯამებულად და ზედაპირულად წმ. იუსტინეს ღვთისმეტყველება, რაც გადმოცემულია მის ზემოხსენებულ შრომებში. ვფიქრობთ, ეს შრომები უთუოდ უნდა ითარგმნოს ქართულად, რადგანაც მსჭვალავს მათ სამოციქულო ეპოქის სიახლე და მჭვრეტელობითი სიღრმე. ქვემოთ თარგმანიც, ალბათ, ერთადერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ძველბერძნული აპოლოგეტიკის ქართულად ამეტყველების გზაზე.

წმ. იუსტინე ფილოსოფოსი და მარტვილი

სიტყვა ელინთა მიმართ

1. ნუ იფიქრებთ, პოი კაცნო ელინნო, თითქოს უგუნურად და განუსჯელად განვეშორე თქვენს ადამ-წესებს. ვერარა ვპოვე მათში წმიდა და ღვთისათვის სათნო, რადგანაც იმ თქვენს პოეტთა თხზულებები სიცოფესა და სიბილწეს იმარხავს. თუნდაც რომ თქვენს შორის უმეტესად წარჩინებულსა და განსწავლულს მიმართოს ვინმემ, კაცთა შორის უსაცოდავესი აღმოჩნდება იგი. ამბობენ, რომ უპირველესად აგამემნონმა გაწირა მსხვერპლად თავისი ასული, ხოლო შეეწეოდა მას ძმის მეტისმეტი გარყვნილება, ცოფი და აულაგმავი გულისთქმა. ამავე აგამემნონმა მთელი ელადა შეძრა, რომ გამოეხსნა კეთროვანი მწყემსის მიერ მოტაცებული ელენე. როდესაც ომი შეწყდა და ტყვეები წაასხეს, აგამემნონმა ჯერ დაატყვევა ქრიზიდა, შემდეგ კი ბრიზიდას გამო მტრად მოეკიდა იგი თეტიდას ძეს. თვით პელიდმა ნახტომით წაიღვლო მდინარე, ტროა დაამხო და სძლია ჰექტორს, ხოლო პოლიქსენე, თქვენი გმირი, რომელიც მონა იყო, მკვდარი ამაზონის მიერ იძლია, შემდეგ კი ღვთივშემზადებულ საჭურველთაგან განძარცვული და საქორწინო სამოსით მორთული სასიყვარულო მსხვერპლად შეიწირა აპოლონის ტაძარში. ითაკელი ლაერტის ძემ ბოროტებით მოიხვეჭა სახელი. არ იყო მასში კეთილი ზრახვა. ეს გაცხადდა სწორედ მაშინ, როდესაც გემით ჩაუარა მან სირენების კუნძულს და ყურები დაიციო, რადგანაც აღარ ძალუძდა მათი სმენა. ტელამონიდი აიანტი, რომელიც შვილტყავიან საკს ატარებდა, და რომელიც დამარცხდა ოდისევსის საჭურველთათვის ამტყდარ ჩხუბში, ამის გამო ციფმა შეიპყრო.

არ მსურს ამგვართა სწავლა, არ ვეშურები ამგვარ სათნოებას, არ ვერწმუნები ჰომეროსის ზღაპრებს. მთელი პოემის არსი ქალია. სწორედ ისაა „ილიადას“ და „ოდისეას“ თავი და ბოლო.

2. ჰომეროსის შემდეგ ჰესიოდემ დაწერა საქმეთა და ღლეთა შესახებ, მაგრამ ვინ ერწმუნება მის მოჩმახულ თეოგონიას? ამბობენ, რომ კრონოსმა, ურანოსის ძემ დაამხო მამის გამგებლობა, ხელთიპყრა სკიპტრა და რადგანაც ემინიდა, რომ მასაც მსგავსი რამ არ შემთხვეოდა, შვილთა შეჭმა ამჯობინა, თუმცა კურეტებმა მაინც იხერხეს, მოიტაცეს და გადამალეს ზევსი, რომელმაც შემდეგ ბორკილები დაადო მამას და ძმათა შორის გაყოფის უამს, როგორც თქმულია, თვით მან ეთერი დაისაკუთრა, პოსეიდონს ზღვის სიღრმე არგუნა წილად, პლუტონს ჰადესი. შემდეგ, პლუტონმა კორე მოიტაცა, ხოლო დემეტრა უდაბნოში დაეხეტებოდა და შვილს დაეძებდა. ეს ზღაპარი უფრო მკვეთრად წარმოაჩინა (სიტყვ. „სიმაღლემდე აიყვანა“) ელევსინის ცეცხლმა. პოსეიდონმა შერცხვენა მოაწია წყალწადებულ ძელანიპეზე, რაუამს ბოროტად ისარგებლა მან ნერეიდების რიცხვმრავალი გუნდით (მათ სახელებს რომ ჩამოვყვით, მეტად გაგვიგრძელდება სიტყვა). ზევსი, რომელიც მრუში იყო ფრიად, ანტიოპეს სატირად გამოუჩნდა, დანაეს — ოქროდ, ვეროპას — ხარად, ლედას — ფრთოსანად. სემელესადმი ზევსის ტრფობამ გაამჟღავნა, ერთი მხრივ, ამ უკანასკნელის გარყვნილება, მეორე მხრივ, სემელეს მოშურნეობა. ამბობენ, რომ ზევსმა ცად აიტაცა და ღვინის მწედდ განაწესა ფრიგიელი განიმედი.

აი, ამგვარი საქმეები აღასრულეს კრონიდელებმა. თქვენს შორის სახელგანთქმულმა ლეტოს ძემ, აპოლონმა, ვინც მისნობა ასწავლა ადამიანებს, თვით ამხილა საკუთარი ცრუმეტყველება. დაფნესაც გაედევნა იგი, მაგრამ ვერ შეიპყრო. და თუმცა უწყოდა მან მისი მოსიყვარულე იაკინთეს სიკვდილი, არ გააფრთხილა იგი. აღარაფერს

ვიტყვი ათენას მამრობაზე, დიონისეს მდებრობაზე და აფროდიტეს მეძავობაზე. წაუკითხეთ ზევსს, კაცნო ელინნო, მცნება მამისმკვლელთა წინააღმდეგ, აგრეთვე განაჩენი მრუშობისათვის და გმობა ყრმათმოსურნეობისა. ასწავლეთ ათენასა და არტემიდას საქმე ქალისა, ხოლო დიონისეს — კაცთა საქმე. რა ღირსებაა, თუკი დიაცი საჭურველით აღიჭურვება, ხოლო კაცი საკრავებით, გვირგვინებით, ქალური სამოსელით შეიმკვება და ქალთა ჯვროსთან ერთად ორგებს მიეცემა?

3. სამ ღამეში ჩაისახა პერაკლე, ასპარეზობათა მოთავედ ქებული, ზევსის შვილი, რომელმაც მოკლა ლომი, მრავალკისრიანი ჰიდრა, გააფრთხული გარეული ტახი, კაცისმჭამელი ფრინველები; რომელმაც სამთავიანი ძაღლი ჰადესიდან ამოიყვანა, გაწმინდა ავეიასის თავლა, მოკლა ხარები და ირემი, ნესტობიდან ცეცხლის მფრქვეველნი, თავთავებისაგან ოქროს ნაყოფი გამოიღო, შხამიან გველს სული გააცხებინა, ხოლო ვიღაც აქელონის გულისათვის მოკლა სტუმრის მკვლელი ბუსირისი. მთაც გადავლო მან ნახტომით, რომ ეპოვა წყალი, რისი ჩხრიალიც შორით ესმოდა.

ის, ვინც ამგვარ საქმეთა აღსრულება შეძლო, ჩვილივით ატროკდა სატირების საკრავთა ხმაზე და იძლია იგი ქალის სიყვარულით (ეს ქალი დამცინავად გვემდა მას უკანალზე, ის კი ტბებოდა ამით). ბოლოს, როდესაც ვეღარ შეძლო მან ნესოსის პერანგის გახდა, თვითვე დაუნთო თავის თავს კოცონი და ასე აღესრულა.

განიშორის ღვარძლი ჰეფესტომ და ნუ იქნება მოშურნე, თუკი მას, როგორც უხუცესსა და თანაც კოჭლს, სიძულვილი ხვდება წილად, არესს კი, უმრწემესსა და მშვენიერს, სიყვარული დაეხედება.

ასე იმხილება, კაცნო ელინნო, თქვენეულ ღმერთთა გარეყვნილება, თქვენეულ გმირთა უკაცურობა, როგორც ამას ცხადყოფს სწორედ თქვენი დრამატული ისტორიები — ატრევსის

შეცოდებანი, თიესტეს საწოლთაღრევა, პელოპიდების მძულვარებანი, დანაოსის სისხლიანი შურისძიება, უშვილოდ დარჩენა და სიმთვრალე ეგვიპტოსისა, და ბოლოს თიესტეს სერობა, — ერინიების მიერ შემზადებული. რაც შეეხება პროკნეს, იგი დღემდე დაფრინავს და კვნესის, ხოლო მისი ათენელი დაი ენამოკვეთილი სტვენს. რაღა უნდა ითქვას თვალდათხრილი ოიდიპოსის შესახებ, ანდა მის მიერ ლაიოსის მოკვლისა და დედის შერთვის გამო, ან კიდევ მის ძმათა და შვილთა ურთიერთდახოცვის თაობაზე?

4. მძულს, აგრეთვე, თქვენეული ზეიმები, უზომო სიუხვე, ნატიფი საკრავები, რომლებიც ცოფიანი როკვისაკენ უხმობენ ხალხს, აგრეთვე, უსარგებლო მირონტცხებანი და გვირგვინთმობანი. უკეთურებათა ესოდენ სიმრავლეში ფარავთ თქვენს სირცხვილს, ხოლო თქვენს ნაბახუსევ გონებას სიბილწე ავსებს, რადგანაც გჩვევიათ უწმიდური და ცოფიანი თანააღრევა.

ამასაც გეტყვით: რად ურისხდები, ჰოი ელინო, შენს შვილს, თუკი იგი, ზევსის მსგავსად, ხაფანგს გიგებს შენ და ოჯახს გიქცევს? რისთვის რაცხ მას მტრად, თუკი მის მსგავსს თავყანსა სცემ? რად ჰყვედრი შენს ცოლს სიძვით ცხოვრებას, თუკი აფროდიტეს ტაძრებს უშენებ? ეს ყველაფერი სხვას რომ ეთქვა, ოდენ ლიტონი ცილისწამება იქნებოდა და არა სიმართლე, მაგრამ სწორედ თქვენი პოეტები უმღერიან ამგვარ საქმეებს, სწორედ თქვენი გადმოცემები გაჰყვირიან მათ შესახებ.

5. აწ კი მოდით, კაცნო ელინნო, ეზიარეთ სწორუპოვარ სიბრძნეს, დაემოწაფეთ საღვთო სიტყვას, შეემეცნეთ უხრწნელ მეუფეს და შეიცანით ვინ არიან თქვენი გმირები, რომლებიც ერში სიკვდილს თესავენ, რამეთუ მეუფე ჩვენი არ სათნოობს ხორციელ ძალას, არც სახეთა ნაკვეთილობას, არცთუ ცუდმედიდ გვარიშვილობას, არამედ — მხოლოდ განწმენდილ სულს, სისპეტაკეში დავანებულს, ვინც საღვთო სიტყვის საუკუნო

წინამძღვრობით აღასრულებს უფლის მცნებებს, ღვთიურ საქმეებს, რაჟამს სულამდე განივრცობა ძალი სიტყვისა.

ჰოი, საყვირო მშვიდობისაო ამბოხისმოყვარე სულისა! ჰოი, საშინელ ვნებათა მათებელო! ჰოი, მოძღვრებაო, სულისმიერი ცეცხლის დამშრეტო!

ვერ იქმან ამას ვერც პოეტები, ვერც ფილოსოფოსები, ვერც ხელოვანი რიტორები. მარტოოდენ ძალი სიტყვისა, მოძღვარი ჩვენი, უკვდავყოფს მოკვდავთ, ღმერთყოფს წარმავალთ, მიწიდან ზეაუძღვება მათ ოლიმპოზე აღმატებულ სავანეთაკენ.

მოდით და ისწავლეთ! იქმენით ჩემებრი, რამეთუ მეც თქვენებრი ვიყავ. შემიწყნარეს მათ მე, — საღვთო მოძღვრებამ და ძალმოსილებამ სიტყვისა. მსგავსად კეთილი შემლოცველისა („ეპაოიდოს აგათოს“ — incantator peritus), რომელიც ჯერ ხვრელიდან ამოიყვანს გველს, შემდეგ კი განდევნის ამ საშინელ ქვეწარმავალს. ასევე სიტყვაც სულის სიღრმეთაგან განაგდებს გრძნობათა საშინელ ვნებებს, უპირველესად კი გულისთქმას, რაც ასაზრდოებს ყოველგვარ საშინელებას: მტრობას, განხეთქილებას, შურს, განყოფას და სხვა ამგვარს. როდესაც განიდევნება გულისთქმა, დამშვიდდება და დაწყნარდება სული. თავს დაიხსნის იგი კისერზე შემოხვეულ სიავეთაგან და შემოქმედისაკენ წარემართება, რადგანაც მართებს მას კვლავ იქ დამკვიდრდეს, საიდანაც განდგა, საიდანაც იქმნა იმგვარი, როგორიც არის.

წამება იუსტინესი და მისი მეგობრებისა

იმ დროს, როდესაც ურჯულოები კერპთაყვანისცემის დასაცავად იბრძოდნენ, ხოლო ღვთისმოსიში ქრისტიანთა წინააღმდეგ ყოველ ქალაქსა და სოფელს დაეგზავნა უღვთო ბრძანება, რომ იძულებით ეთაყვანებინათ ისინი ფუჭი კერპებისათვის, სწორედ მაშინ შეიპყრეს ეს წმიდა კაცები და მიჰგვარეს რომის მთავარს, სახელად რუსტიკოსს. როდესაც სამსჯავროს

წინაშე წარადგინეს ისინი, რუსტიკოს მთავარმა იუსტინეს უთხრა: „უპირველესად, ერწმუნე ღმერთებს და დაემორჩილე მეფეებს“. იუსტინემ მიუგო: „კარგია და უყვედრებელია რწმენა იმისა, რაც გვამცნო მაცხოვარმა ჩვენმა იესუ ქრისტემ“. რუსტიკოს მთავარმა ჰკითხა: „რა სწავლება გაქვს მიღებული?“ მიუგო იუსტინემ: „ყველა მოძღვრების სწავლა ვცადე, მაგრამ თანავეწამები ქრისტიანთა ჭეშმარიტ სიტყვებს, რაც არ ესათნობა გონებაცთომილთ“. რუსტიკოს მთავარმა თქვა: „შენ კი ნუთუ სათნო-გიჟს ეს სიტყვები, ყოვლად უხადრუკო?“ იუსტინემ უთხრა: „ჭეშმარიტად! რამეთუ ქრისტიანთა თანამღევი ვარ მართლმოდღვრების გზით („მეტა ორთუ დოგმატოს“). რუსტიკოს მთავარმა ჰკითხა: „რა მოძღვრებაა იგი?“ მიუგო იუსტინემ: „ის, რომ თაყვანს ვცემთ ქრისტიანთა ღმერთს და ერთ ღმერთად ვრაცხთ მას; რომელიც არის დასაბამიდან („ექს არხეს“) შემოქმედი და დამბადებელი ყველა ქმნილებისა, ხილულისა და უხილავისა; (თაყვანს ვცემთ) ღვთის ძეს, უფალს იესუ ქრისტეს, რომლის შესახებ ქადაგებდნენ წინასწარმეტყველნი, რომელიც კვლავ მოეველინება ადამიანთა მოდგმას, რომელიც არის მქადაგებელი მაცხოვარებისა და მოძღვარი ღირსეულ მოწაფეთა, მე კი, რომელიც კაცი ვარ, მხოლოდ მცირე რაიმეს თუ ვიტყვი მისი უსასრულო ღმრთეების („ჰე აპეიროს თეოტეს“) შესახებ. ვაღიარებ, რომ იგია წინასწარმეტყველური რამ ძალი. სწორედ მის შესახებ იყო წინდაწინ ქადაგებული, რომელსაც აწ ღვთის ძედ ვამბობ, რადგანაც ვიცი, რომ ზეცით იყო წინასწარმეტყველთა ქადაგებაც, რაც გვაუწყებდა კაცთა შორის მის მოვლინებას“.

ჰკითხა რუსტიკოს მთავარმა: „სად იკრიბებით?“ მიუგო იუსტინემ: „იქ, სადაც თითოეული ამჯობინებს და ძალა შესწევს. ალბათ გგონია, რომ ერთსა და იმავე ადგილას ვიკრიბებით ყველანი. არა, ჭეშმარიტად, რადგანაც ქრისტიანთა ღმერთი ადგილით არ

არის შემოსაზღვრული, არამედ უხილაია იგი და აღავსებს ცასა და მიწას. ამიტომ ყველგან თაყვანს სცემენ და აღიღებენ მას მორწმუნენი“.

რუსტიკოს მთავარმა თქვა: „მითხარი, თვით შენ სად ხვდები და სად კრებ შენს მოწაფეებს?“ იუსტინემ მიუგო: „დიდი ხანია ჩემი სამყოფელი არის ვინმე მარტინოს ტიმოტინონის აბანოსთან. რომაელთა ქალაქში მეორედ მოვედი და სხვა შესაკრებელი, გარდა იმისა, რაც ვთქვი, არ ვიცი და თუკი ვინმე ისურვებდა ჩემს პოვნას, ვაზიარებდი (ეკონიუნ) მას ჭეშმარიტების სიტყვას“. რუსტიკოსმა ჰკითხა: „ასე რომ, ამიერიდან ქრისტიანი ხარ?“ მიუგო იუსტინემ: „ჭეშმარიტად!“ რუსტიკოს მთავარმა ხარიტონს ჰკითხა: „თქვი ხარიტონ, შენც ქრისტიანი ხარ?“ უთხრა ხარიტონმა: „ღვთის ბრძანებით ქრისტიანი ვარ“. რუსტიკოს მთავარმა ხარიტონს ჰკითხა: „შენ რას აღმოიტყვი ხარიტონ?“ ხარიტომ მიუგო: „ქრისტეს მადლით ქრისტიანი ვარ“. უთხრა რუსტიკოსმა ეველპისტოსს: „შენ კი ვინ ხარ?“ ეველპისტოსმა, კეისრის მონამ, მიუგო: „მეც ქრისტიანი ვარ, ქრისტეს მიერ განთავისუფლებული და ამიტომ ქრისტეს მადლით ზიარებულ-ვარ იმავე სასოებასთან“.

რუსტიკოს მთავარმა ჰიერაქსს ჰკითხა: „შენც ქრისტიანი ხარ?“ „ქრისტიანი ვარ, რადგანაც იმავე ღმერთს ვსასოებ და თაყვანს ვცემ“. რუსტიკოს მთავარმა თქვა: „იუსტინემ გვით თქვენ ქრისტიანებად?“ ჰიერაქსმა თქვა: „ვიყავი ქრისტიანი და ვიქნები კიდევ“. წამოდგა პეონი და თქვა: „მეც ქრისტიანი ვარ“. რუსტიკოს მთავარმა თქვა: „ვინ არის, ვინც ამგვარი რამ გასწავლა შენ?“ პეონმა უთხრა: „მშობელთაგან შევიძინე ეს კეთილი აღსარება“. ეველპისტოსმა თქვა: „ტკბილად ვისმენდი იუსტინეს სიტყვებს, თუმცა მეც მშობელთაგან ვარ ქრისტიანი“. თქვა რუსტიკოს მთავარმა: „სად არიან შენი მშობლები?“ ეველპისტოსმა თქვა: „კაბადოკიაში“. (რუსტიკოსმა უთხრა ჰიერაქსს: „შენი მშობლები სად არიან?“ მან მიუგო და უთხრა: „ჭეშმარიტი ჩემი მამა არის

ქრისტე, ხოლო დედა — რწმენა მისდამი!) რაც შეეხება ამქვეყნიურ მშობლებს, ისინი აღესრულნენ, მე კი ფრიგიის იკონიიდან წამომიყვანეს და აქ მოვედი“. რუსტიკოს მთავარმა ჰკითხა ლიბერიანოსს: „შენ რას იტყვი, ნუთუ შენც უღვთო ხარ?“ ლიბერიანოსმა მიუგო: „მეც ქრისტიანი ვარ, ხოლო ვსასოებ და თაყვანს ვცემ მხოლოსა და ჭეშმარიტსა ღმერთსა“.

ასე უთხრა მთავარმა იუსტინეს: „ისმინე შენ, რომელიც მჭევრმეტყველად ჩანხარ („პოლეგომენოს ლოგიოს“) და რომელსაც ჭეშმარიტი გგონია ამგვარი სიტყვები, ნუთუ გწამს, რომ გვეძული და თავმოკვეთილი ზეცად ამაღლდები?“ მიუგო იუსტინემ: „ვსასოებ, რომ მივიღებ უფლის მცნებათა მიხედვით, თუკი დავითმენ ყოველსავე ამას. ისიც ვიცი, რომ ყველა, ვინც ამგვარად ცხოვრობს, იმარხავს იგი საღვთო მადლს ვიდრე აღსასრულამდე მთელი ქვეყნიერებისა“. თქვა რუსტიკოს მთავარმა: „ასე რომ, გგონია, ზეცად ამაღლებული საზღაურს მიიღებ?“ მიუგო იუსტინემ: „არათუ გგონია, არამედ ვიცი და მწამს“. თქვა რუსტიკოს მთავარმა: „ახლა კი მივიდეთ და ვქმნათ საქმე, რაც გვევალება და რაც საშურია. შემოკრებით და ერთსულოვნად სწირეთ ღმერთებს“. თქვა იუსტინემ: „ბონიერთაგან არავინ განვაჭრის ღვთისმოსაობას უღვთოებაზე“. თქვა რუსტიკოს მთავარმა: „თუ არ დამყვებით, განისჯებით უწყალოდ“. მიუგო იუსტინემ: „უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესათვის დასჯილნი ლოცვის მიერ ვცხოვრდებით, რადგანაც ეს სასჯელი იქნება ხსნა ჩვენი და თავისუფლება წინაშე საშინელისა და ყოვლადმშვენიერისა საყდრისა („ბემა“) უფლისა ჩვენისა და მაცხოვრისა“. ასევე თქვეს სხვა მარტვილებმაც: „რაც გსურს, ისა ქმენ, ჩვენ კი ქრისტიანები წართ და კერპებს არ ვწირავთ“.

ხმა-ყო რუსტიკოს მთავარმა და თქვა: „ვინც არ ისურვებს შეწიროს ღმერთებს და დამორჩილდეს თვითმპყრობლის ბრძანებას, იგვეძოს და თავი მოეკვეთოს, რომ საკუთარი

თავით ზღონ მათ თანახმად რჯულისა“. წმიდა მოწამეებმა აღიღეს ღმერთი და გავიდნენ ჩვეულ ადგილას, სადაც მათ თავი მოკვეთეს; ასე აღესრულნენ ისინი მოწამეობრივად მაცხოვრის აღსარების გამო. ვიდაც

მორწმუნეებმა ფარულად წაიღეს მათი ცხედრები და ჯეროვან ადგილას დაასვენეს თანაშეწევნითა მადლისა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი, რომლისა გემართებს დიდება უკუნიითი უკუნისამდე, ამინ!



საკუირველი და დიდებული, რომელი იხილა დღეს ნათესავმან კაცთამან სიმდაბლით მჯდომარე კიცუსა ზედა ზეცისა მეუფეა და ყრმანი ებრაელთანი შტოებითა წინა მოგეგებოდეს და სიხარულით შეგასხმიდეს: ოსანა, მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაითა, რომელმან მოგუანიჭა ჩვენ მოტევება ცოდვათაა ჯუართა და სისხლითა თუისითა. ვითარცა მხოლოა მრავალ-მოწყალე ხარ.

მოსლვასა მას შენსა დიდებით, რაჟამს დაიდგნე საყდარნი და დასჯდე განკითხვად, შემიწყალე მე.

ქალაგუგაბი

არქიმანდრიტი რაფაელი

ხატი „საქართველოს ეკლესიის დიდება“

XIX საუკუნის დასასრულს საქართველოს სულიერ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. ცნობილმა აგიოგრაფმა და ხატმწერმა მიხეილ-გობრონ საბინაშვილმა უძველესი ქართული ხატების, ფრესკებისა და მინიატურების საფუძველზე, რომლებსაც იგი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე გულდასმით სწავლობდა, შექმნა ხატი „ქართული ეკლესიის, დიდება“, რომელიც ემსგავსება ქართული აგიოგრაფიის დიდებულ კრებულს.

საბინაშვილი ღრმად რელიგიური ადამიანი იყო. იგი ბავშვობიდანვე დადიოდა ეკლესია-მონასტრების, წმიდა ადგილების მოსახსნაზე, თავად სულიერ ღვაწლში მყოფი დიდხანს ცხოვრობდა ბერებთან და უკვე სიცოცხლის ბოლოს, როგორც წმიდათაწმიდა პოემას, როგორც ჰიმნს ქართული ეკლესიისა, წერს ამ დიდებულ ხატს. აქ იგი ხატის დასაზღვრულ სივრცეში წმიდანების: მოწამეებისა და ღირსი მამების, მეფეებისა და მეომრების, ეპისკოპოსებისა და ბერების სახეებით განასახოვნებს საქართველოს სულიერ ისტორიას. ამ ხატზე, როგორც მანათობელ ველზე, ირეკლება თავად სული მორწმუნე ერისა. ამ ხატთან ლოცვით მღუმარებაში ისმის ძველ ქართული ეკლესიის გულისა.

საბინაშვილი ცნობილია, როგორც გამოჩენილი აგიოგრაფი და ისტორიკოსი. მან შეაგროვა და ერთ კრებულად გამოსცა ქართველ წმიდანთა ცხოვრება ქართულ და რუსულ ენებზე. ამ წიგნში იგი ყოველი წმიდანის ცხოვრებას თავისი შედგენილი ლოცვით ასრულებს. ძველ ხატებსა და ფრესკებს საბინაშვილი სწავლობდა არა როგორც მხატვარი, არამედ იგი მათ ლოცვით მჭვრეტელობაში და მისტიკურ განცდაში გაიზრება, ამიტომაც მისი ხატი გამოირჩევა გამოუთქმელი შინაგანი კომპოზიციური ჰარმონიით, ისტორიული სიმართლითა და მაღალი სულიერებით.

მართლმადიდებლური ხატი – ეს ღვთის გამოცხადებაა, ესაა ღვთისმშობლის წმიდანთა რეალური მყოფობა, ესაა ეიზუალურ პლანში სულიერი სამყაროს გამოვლენა, ესაა ღვთიურ ძალთა და ენერჯიათა ველი, ესაა ზეცური ეკლესიისა და მიწიერი ეკლესიის გამოცხადება, ესაა მისტიკური სარკველი ზეცისა, საიდანაც ღვთისმშობლის უხილავი ნათელი იღვრება. ამდენად, ხატი „საქართველოს ეკლესიის დიდება“ არა თავად საბინაშვილის მიღწევაა, რამდენადაც იგია ღვთივ ბოძებული საჩუქარი მთელი

ქართული ეკლესიისათვის. ხატის მისტიკური შემქმნელები კი მასზე გამოსახული წმიდანები და ღირსი მამები არიან.

საქართველოს მატთანე „ქართლის ცხოვრება“, სვეტიცხოვლის ტაძარი და ხატი „საქართველოს ეკლესიის დიდება“ სხვადასხვა მნიშვნელობის მოვლენებია, მაგრამ არის რაღაც საერთო მათ შორის. თვითოველმა თავის თავში გამოსახა ქართული ეკლესიის ისტორია: ერთმა პერგამენტზე, მეორემ – ქვაში, მესამემ კი საღებავებით.

ხატის ზედა ნაწილში გამოსახულია იესო ქრისტე საკურთხებელად გაშლილი ხელებით, როგორც ამალეების ხატზე. ქრისტედან მომდინარე სინათლის სხივები ანათებს ორ სფეროს, ცას და ღვთაშიწას, და მათ ურთიერთგანმსჭვალადს ხდის, აერთებს რა მათ ღვთიური ღოგოსის ერთ ეკლესიად, როგორც ინსნება, როგორც სიცოცხლე და ნათელი. ქრისტეს მარჯვნივ ღვთისმშობელია გამოსახული, ხელში ომოფორით – ვიწრო, გრძელი თავსაბურავით, რასაც იუდეველი ასულები ატარებდნენ. ღვთისმშობელი მანათობელ ომოფორს აფარებს ქართულ ეკლესიას, ისევე, როგორც ოდესღაც გადააფარა იგი ელაქერნის ტაძარში მლოცველებს, მტრებით გარშემორტყმულ კონსტანტინოპოლში.

გამოცემით ივერია ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. მაცხოვრის ამალეების შემდეგ მოციქულები სიონის მთაზე შეიკრიბნენ, რათა გადაეწყვიტათ, ვინ სად წასულიყო. ქალწულმა მარიამმა მოისურვა მონაწილეობა მიეღო მოციქულებრივ ქადაგებაში და ამისთვის მას ივერია ხვდა წილად; ღვთაღვთისა გასამგზავრებად გაემზადა, მაგრამ უფალმა ისურვა მისი იერუსალიმში დარჩენა და აღუთქვა, რომ მისი წილხვედრი ქვეყანა მომავალში გაბრწყინდებოდა. ღვთისმშობელმა უხმო მოციქულებს ანდრიას და სვიმონს და გადასცა მათ თავისი ხელთუქმნელი ხატი საქართველოს საკურთხებლად. ამის შესახებ ცნობები შემონახულია ქართულ და რუსულ მატთანეებში, ნიკონ ჩერნიგოველის ნაწერებში. საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა უწოდა ბოლო დროის უდიდესმა წმიდანმა სერაფიმ საროელმა, რომელსაც სიცოცხლეში მრავალჯერ გამოეცხადა ღვთიური ღვდოფალი.

დანიელ წინასწარმეტყველის წიგნში აღწერილია ღვთის ტახტთან გამართული ანგელოზთა საიდუმლო ბრძოლა. ერთ ანგელოზს სიმბოლურად ჰქვია სპარსელი თავადი, მეორეს — ბერძენი თავადი; მთავარანგელოზი გაბრიელი წინააღმდეგა მათ.

წმიდა წერილის ეგზეგეტიკი განმარტავს, რომ ზეციური ეკლესია მონაწილეა მსოფლიოს ხალხთა ცხოვრების წარმართვის ღვთიურ განგებულებაში, ყოველ ხალხსა და ტომს თავისი მფარველი ანგელოზი ჰყავს და სიმბოლურად ანგელოზთა ბრძოლა ესაა მათი ლოცვა დედამიწაზე მცხოვრები ერებისათვის. ამ შემთხვევაში ოუდეველთა მფარველი მთავარანგელოზი გაბრიელი ლოცულობდა, რათა მალე დამთავრებულიყო მათთვის ბაბილონის ტყვეობა, დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში და აღედგინათ იერუსალიმის ტაძარი. სპარსელთა მფარველი ანგელოზი ლოცულობდა, რომ გაგრძელებულიყო ოუდეველთა ტყვეობა, რომ მათი მეშვეობით სპარსელები მისულიყვნენ ქუშიმარტ რწმენასთან. ორივე ანგელოზი ლოცულობდა ხალხის გადასარჩენად, ამიტომ მათი ლოცვა კეთილშობილური ბრძოლა იყო, ეს იყო გამონატულება მათი დიდი სიყვარულისა თავიანთი ხალხის მიმართ.

საქართველოს მფარველი ანგელოზი თვით ზეციური დედოფალია. ეს უდიდესი წყალობაა, მაგრამ ქვეყნიურ ცხოვრებაში ესაა ღვთის მოწოდება გმირობისა და მსხვერპლშეწირვისაკენ. ღვთის სიყვარული განისაზღვრება განსაცდელებით, რომლის შესახებაც უფალმა უთხრა მოციქულებს: „სამელს, რომელსაც ესგამ, თქვენც შესგამთ“. ღვთისმშობლის ცხოვრება იყო ღვთისადმი უსიტყვო სამსახური, იყო ჯვარი და წამება; იყო სულიერი გოლგოთა. ქართული ეკლესიის ისტორიული გზა — მოწამეობრივი გზაა. ესაა გზა მრავალსაუკუნოვანი ბრძოლვისა მართლმადიდებლობისათვის კერპთაყვანისმცემლურ და მუსულმანურ სამყაროსთან. საქართველოს ისტორია წიგნია წამებულთა სისხლითა და წმიდა მამათა ცრემლით ნაწერი, განათებული მეწამული ხანძრის ალებითა და თვალისმომჭრელი, ელვარე ბრძოლებით. იყო დრო, როცა საქართველო წარმოადგენდა „კუნძულს აბოოქრებულ უცხოორჯულოვან ზღვაში, რომელიც ხმაურითა და ღრიალით ეხეთქებოდა მის-ნაპირებს და მისი მთასავით უზარმაზარი, სისხლით აქაფებული ზვირთები ზედ ასკდებოდნენ მას. თითქოს გარდაუკალად საქართველო სრულად უნდა შთანთქმულიყო მძვინვარე მორევში, მაგრამ ზეციური დედოფლის მოწყალება არ ტოვებდა მას და მისი მაღლიანი ომოფორი იფარავდა ქართულ ეკლესიას.

უდიდესი იმპერიები ჰუნების, ხაზარების, მონღოლებისა აღიგანენ პირისაგან მიწისა. მრავალი ხალხის სახელი ქვაზე შემორჩენილი რამდენიმე წარწერით ან შემთხვევით ნაპოვნი მონეტით თუ გვსმენია, სხვანი კი ისე წავიდნენ, ისტორიის ხეულებში, კვალიც არ დაუტოვებიათ. საქართველომ კი აირეკლა საუკუნეთა ქარცეცხლი და დაიცვა როგორც გული თავისი — სახელი ქრისტესი და როგორც სული თავისი — მართლმადიდებლობა.

ქალწული მარიამი — საოცარი ყვავილია ყოველგვარი სათნოებისა, მაგრამ განსაკუთრებით ბრწყინავს იგი მოთმინებით, სიწმიდითა და სიყვარულით. თუ ქრისტიანები ამ სამ სათნოებას არ გაცვლიან სხვა მოჩვენებით კეთილდღეობებზე, მაშინ მისი სხივმფენი მოსასხამი, როგორც ანგელოზის ფრთები, დაიფარავს ქართულ ეკლესიას ყოველგვარი განსაცდელისაგან.

ღვთისმშობლის გვერდით გამოსახულია წმიდა მოწამე გიორგი კაბადოკიელი, მოციქულთა სწორი ნინოს ნათესავი. იგი ბრწყინვალე მხედართმთავარი იყო და გამორჩეულად უყვარდა იმპერატორს, მაგრამ მან ამქვეყნიურ დიდებას ქრისტესთვის ტანჯვა ამჯობინა. ის მოკვდა ისე, როგორც მეომარს შეჭფერის. აქ ბრძოლა იყო სულიერი, სადაც მისი სიკვდილი იქცა მის გამარჯვებად. ზშირად ხატებზე წმინდა გიორგის ცხენზე ამხედრებულს გამოსახავენ. ის შუბით გმირავს ურჩხულს. ურჩხული სიმბოლოა დემონისა, სიმბოლოა წარმართობისა, სიმბოლოა ბოროტებისა და ცოდვისა. წმიდა გიორგის თავიანთსცემა საქართველოში მოციქულთა სწორი ნინოს ქადაგების დროიდან გაგრძელდა და სულ მალე იგი ქართველი ხალხის უსაყვარლეს წმიდანად იქცა.

ესო ქრისტესა და ღვთისმშობლის შემდეგ წმიდა გიორგის ყველაზე ზშირად მოუხმობენ ლოცვებში, განსაკუთრებით კი საქართველოს მთიან რაიონებში. მის სახელზეა აგებული ყველაზე მეტი ტაძარი და სამლოცველო, ვიდრე სხვა რომელიმე წმიდანისა: ქართულ ეკლესიაში დაწესებულია განსაკუთრებული დღე წმინდა გიორგის წამებისა და ურმის თვალზე დაკვრის მოსახსენებლად. უძველესი დროიდან წმინდა გიორგის გამოსახავდნენ საბრძოლო დროშებზე. ის ამშვენებდა ქართველ მეფეთა, ბაგრატიონთა საგვარეულო გერბს.

ცხენზე ამხედრებული წმიდა გიორგი ჰკლავს ურჩხულს, ეს სახე უშიშარი მეომრისა, მებრძოლთა ზეციური მფარველისა, ოდითგანვე ახლობელი გახდა ქართველებისათვის, რომელთაც ზშირად უხდებოდათ ბრძოლა საშინელ და მრავალრიცხოვან მტერთან.

მაცხოვრის მარცხნივ დგანან მოციქულები ანდრია პირველწოდებული და მატათა. ანდრია პირველწოდებული პირველია მოციქულთაგან, ვინც ქრისტეს გაჰყვა. მან

სახარება იქადაგა ბიზანტიაში — მეგარის კოლონიაში, კოლხეთში, იბერიაში, ჩრდილო კავკასიაში, ყირიმში და სკვითიაში და დაასრულა თავისი მოციქულებრივი ზეზ ბერძნულ ქალაქ პატრში, სადაც იგი ჯვარს აცვეს.

მოციქული მატათა არჩეულ იქნა 12 მოციქულთა შორის წილის ყრით იუდა ისკარიოტელის ნაცვლად. მან იქადაგა აფხაზეთში, ქრისტეს რჯულზე მოაქცია სვანები, შემდეგ დაბრუნდა იერუსალიმში და სტეფანე პირველმოწამის სვედრი გაიზიარა, სინედრონიმა მას ქვით ჩაქოლვა მიუსაჯა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში იქადაგეს სხვა მოციქულებმა სიმონ კანანელმა, რომლის საფლავი ანაკოფიაშია (ახალი ათონი); ბართლომემ, რომელმაც ქადაგებით შემოიარა საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი; ხოლო ზოგიერთი ცნობით ეთიოპიაში გამგზავრების წინ კოლხეთში იმყოფებოდა მათე მახარებელი. მოციქულები ქმნიდნენ პირველ ქრისტიანულ თემებს, აკურთხებდნენ მათთვის ეპისკოპოსებს და პრესვიტერებს. მათი ქადაგება მსგავსი იყო ამომავალი მზის სხივებისა, რომელთაც ოქროსფრად გაუნათებიათ მთის მწვერვალები, ხოლო დაბლობები კი ჯერ ისევ ბნელ ნისლეში დარჩენილა.

ხატის კომპოზიციურ ცენტრს სვეტი ცხოველი წარმოადგენს, რომლის ძირში წვეს სიდონია მკერდში ჩაკრული ქრისტეს კვართით. ცხოველმყოფელი სვეტის გარშემო მლოცველი გამომეტყველებით დგანან ქართველი წმიდანები. მათ ერთად თავმოყრილ, სულიერი სწრაფვით აღსავსე სახეებს სვეტი ცხოველიდან და უფლის კვართისგან გამომავალი თბილი, ჩუმი ნათელი მოჰფენია. როგორც სამოთხის ყვაილნი, როგორც ანთებული ლამპარნი, როგორც ძვირფასი ქვები ზეციური იერუსალიმისა, როგორც მირონის ღარები გადმოსული მაცხოვრის კვართისგან, როგორც ღვთისმშობლის ხელით დაწნული უჭუნობი გვირგვინი, ვით კავკასიის მთების შროშანი და ქართული ვარდები, როგორც ვარსკვლავნი ზეცილიდან მიწად ჩამოსულნი, როგორც კვლეხის საუნჯეში დაცული ლალები და აღმასები, როგორც ქვეყნიური ანგელოზები დგანან სიდონიას საფლავთან წამებულები, ღირსი მამები, აღმსარებელნი, წმიდანნი, დაყუდებულნი, მეუღაბნოვნნი, ქრისტესთვის ხალოსნი, მესვეტნი და მართალნი, დგანან — სიმაგრენი, ფარი, დიდება და ბრწყინვალეობა ქართული ეკლესიისა. უფლის კვართზე გარშემორტყმულ წმიდანთა ეს დასი ჰგავს ქართულ ეკლესიაზე დადგმულ ოქროს სამეფო გვირგვინს.

პირველი წმიდანი ქართული ეკლესიისა არის ნეტარი სიდონია, მცხეთელი ებრაელი რაბინი ელიოზის და. მას არ უნახავს ქრისტე, მაგრამ როცა შეიტყო, ირწმუნა იგი, როგორც მესია და მხსნელი ქვეყნისა, ირწმუნა მთელი

ძალით და თავისი გულის სიყვარულით. და როცა მისი ძმა სხვა მორწმუნეებთან ერთად გამგზავრა იერუსალიმში, ქრისტეს ჯვარცმის წელს, სიდონია ევედრებოდა მას, ჩამოეტანა მცხეთაში, როგორც უდიდესი კურთხევა, რაიმე ნივთი მაცხოვრისა. ელიოზმა შეასრულა დის თხოვნა; იგი ესწრებოდა მაცხოვრის ჯვარცმას. ერთ-ერთი ჯვარცმელი მეომრისაგან იყიდა ქრისტეს კვართი და როგორც უდიდესი განძი ჩამოიტანა იგი მცხეთაში. სიდონია ძმას მცხეთის კარიბჭესთან დახვდა. ელიოზმა უამბო, რაც მოხდა გოლგოთაზე და გადასცა კვართი. სიდონიამ გულში ჩაიკრა პერანგი და დიდი მწუხარებისაგან მაცხოვრის ჯვარცმის გამო, და იმ დიდი ძალისაგან, რომელიც კვართიდან მოედინებოდა, სული განუტყვა. მთელი ქალაქი შეიკრიბა გარდაცვლილი ასულის ცხედართან.

ამის შესახებ მეფე ადრეკამც გაიგო. მან მოინდომა კვართის აღება, რათა თავად შემოსილიყო, მაგრამ ვერანაირი ძალით ვერ შესძლო მკვდარი ასულის მკვლავების გახსნა. იგი დაკრძალეს სამეფო ბაღში კვართთან ერთად. ამ ადგილზე დიდი კვიპაროსი ამოვიდა, რომელმაც ფესვებით დაფარა სიდონიას საფლავი. ეს კვიპაროსი სამი ასწლეულის მანძილზე, როგორც ბეჭედი, იდგა სიდონიას საფლავზე. მცხეთის მცხოვრებლებმა შეამჩნიეს, რომ ავადმყოფი ჩიტები მოფრინავდნენ ხესთან, სხდებოდნენ ტოტებზე, კენკავდნენ წიწვებს და გამოჯანმრთელებულები მიფრინავდნენ უკან. გარეული ცხოველებიც მოდიოდნენ და ისინიც სჭამდნენ ჩამოცვენილ წიწვებს. გავიდა საუკუნეები, ხალხს დაავიწყდა ქრისტეს კვართი და სიდონიას საფლავი, მაგრამ თვით კვიპაროსი კი თავყვანისიცემებოდა.

საკრალურ პლანში უფლის კვართი, როგორც სამეფო სამყოფელში, ისე ინახება სვეტიცხოვლის ტაძარში. ის შეიძლება შეედაროს სულიერ მზეს, უხილავი სხივების მამუქებელს მიწის წიაღიდან, ანდა მიწისქვეშა წყაროს, უხილავად მკვებავს ყვაილთა და მცენარეთა ფესვებისა. ეს ის კვართია, რომელიც ყოველდღე წმიდა ღვთისმშობლის ხელითა ნაქსოვი და გეთსამანიის ბაღიდან გოლგოთამდე მავალი მაცხოვრის სისხლითაა გამოთარი. ამ სიწმიდის გამო იწოდება მცხეთა მეორე იერუსალიმად. სვეტიცხოვლის ტაძრის შიგნით სამლოცველოა აშენებული, ფორმით იგი წააგავს იმ სამლოცველოს, რომელიც იმპერატორმა კონსტანტინემ ააგო მაცხოვრის საფლავზე იერუსალიმის აღდგომის ტაძარში; იერუსალიმიდან მცხეთაში ჩამოტანილმა კვართმა სულიერად გადაჯაჭვა პალესტინა და საქართველო, აღდგომის ტაძარი და სვეტიცხოველი; თავისი მისტიკური მნიშვნელობით მაცხოვრის კვართი ეს სულიერი ცვცხლოვანების მქონე სვეტია ცამდე აწვდილი, უფრო

საოცარი, ვიდრე ის, რომელიც წინ უძღოდა მოსეს და სინას, უდაბნოში მიმავალ ხალხს, რომელთაც უნდა გაეგოთ მტრულად განწყობილი ტომები, რათა მიეღწიათ ალთქმულ ქვეყანამდე. სვეტიცხოველი, ეს ადგილია, სადაც ანგელოზები ემუდებინან დედამიწაზე, ხოლო სული მლოცველებისა ზეტას აღწევს. სახარებაში აღწერილია ფაქტი, თუ როგორ შეაზო ხელი მაცხოვრის კვართს უკურნებელი სენით შეპყრობილმა ქალმა და უმაღლესი განიკურნა ავადმყოფობისაგან. უფლისაგან განკურნებას დღესაც ღებულობენ ისინი, ვინც რწმენითა და სასოებით მიდიან მასთან.

განულო-საუკუნეობა
 მონებს, გაეთხარათ სიღონას საფლავე და მოეტყუათ კვართი უფლისა. მაგრამ საფლავიდან ცეცხლის ალი ამოვარდა, ისევე, როგორც იულიანე განდგომილის დროს, რომელმაც მოინდომა, ღვთის ნების საწინააღმდეგოდ, სოლომონის მიერ აგებული ტაძრის აღდგენა. საფლავიდან ამოვარდნილმა ცეცხლმა დასწვა მონები, ხოლო სულთანის მეუღლე დაბრმავდა, როგორც მოციქულ პავლეს მიერ შერისხული მოგვი.

სვეტიცხოვლის ტაძარი, სადაც მაცხოვრის კვართი ინახება, ქართული ეკლესიის გულია, ქვასა და გრანიტში ჩაჭედვლილი. სიტყვა „სიღონია“ ფინიკურ ენაზე „თევზს“ ნიშნავს. თევზი სიმბოლოა ქრისტიანისა, რადგან წყალში ნათლობისას ადამიანი იღებს მარადიულ ცხოვრებას.

სიღონია გახდა პირველი ქრისტიანი საქართველოში. მან უნახავად მთელი სულით შეიფარა ქრისტე და თავისი გონებით გაჰყვა მას, როგორც მარიამ მაგდალინელი. როცა სიღონიამ მაცხოვრის ჯვარცმის ამბავი შეიტყო, სიყვარული ტანჯვად და ტკივილად ექცა, იგი უსულოდ დაეცა მიწაზე, როგორც მონადირის ისრით გულგანგმირული ირემი. მისი მკერდი უფლის კვართის წმიდა ტახტად შეიქმნა. ასე, ძველ ეკლესიაში საპყრობილეში წამებულების მკერდზე დატყვევებული ქრისტიანები ლიტურგიას ატარებდნენ. არსებობს გადმოცემა, რომ მეორედ მოსვლის დროს სიღონია კვართით ხელში გამოვა მაცხოვრის შესახვედრად, მისი მარადიული სიყვარულის დასტურად.

სვეტიცხოველი – ეს ის მისტიკური ცენტრია, სადაც თავს იყრის და საიდანაც გამოდის მანათობელი სხივები-რადიუსები, რომლებიც აერთებენ ამ ტაძარს საქართველოს ყველა მონასტერთან და ეკლესიასთან. სიღონია მცველია ამ ტაძრის კარიბჭისა, რომელიც მხოლოდ ღირსეულთათვის აღებს წმიდა ეკლესიის სიერტყეს, წმიდათაწმინდას აებს უხილავი სულიერი ნათლით და მაცხოვრის კვართის მაღლით, როგორც უკვდავების წყაროთი აღავსებს ყველას, ვინც სასოებით

შედის მცხეთის ტაძარში. კვართი უფლისა, მაცხოვრის სისხლით გამთბარი – ეს ქვაკუთხედაა ქართული ეკლესიისა, მისი მანათობელი გვირგვინია.

II საუკუნე საქართველოში ქრისტიანეთა რბევით აღინიშნა. მაგრამ რბევა კაკასიის ქვეყნებში, რომის იმპერიისა და ირანისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენდა ამ ქვეყნების სახელმწიფო პოლიტიკის არსს, იგი უფრო შემთხვევითი და ვიწრო ხასიათისა იყო;

ქართული ეკლესიის პირველი ცნობილი წამებული გახდა 17 თავადი, თავიანთი სტრატეგის, ხოლო შემდეგ სულიერი მამის სუქიას გამო, სუქიელებად წოდებულნი. ეს ქართველი თავადები არტაქსარ მეფის ჯარში მსახურობდნენ და სამეფო კარზე საპატიო ადგილი ეკავათ. კაკასიის მთებში ისინი მონათლეს მოციქულ ფადეს მოწაფეებმა და მათ ფარულად დაიწყეს მოღვაწეობრივი ცხოვრება. ბრწყინვალე სამოსის ქვეშ ძაბეს ატარებდნენ; ღამით კი ერთად იკრიბებოდნენ სალოცავად. აღანის ამაღლასთან ერთად ისინი სომხეთში ჩავიდნენ. ქალაქური ცხოვრება ამძიმებდა მათ, ისე როგორც მტანჯველი მონობა და გადაწყვეტეს იონე ნათლისმცემელისა და ილია წინასწარმეტყველის მსგავსად მეუღანოეონი გამზდარიყვნენ. მათ ფარულად მიატოვეს სასახლე, როგორც პატიმრებმა ციხე, თავისი თავადური სამოსი მათხოვრის ტანსაცმელზე გაცვალეს და ღამით გავიდნენ დედაქალაქის კარიბჭიდან, ისევე როგორც ლოტი განწირული ქალაქიდან, ისე რომ უკან არ მოუხედავთ. რატომ თქვეს მათ უარი სიმდიდრესა და დიდებაზე? დე, ამაზე მთის იმ არწივმა უპასუხოს, რომელმაც გაარღვია მოქროვილი გალია, სადაც მას მამღრისად აჭმევდნენ, ახლა კი ფრთებით აპობს ლაჟვარდოვანი ცის ოკეანეს და ღრუბლების მიღმა სიერციდან ჭიანჭველების სადგომებად ეჩვენება ქალაქების დიდებული სასახლეები და სოფლები. არწივისა და განდევლისთვის სამშობლო-ცა და კლდის ნაპრალებია.

სუქია და მისი სულიერი ძმები ეფფრატის სათავეებთან, მიუვალ ქვიან მთაზე დასახლდნენ. ღუმილსა და გაუნწყვეტელ ლოცვაში გადიოდა მათი სიცოცხლე. უდაბნო მათთვის ტაძრად იქცა, ტაძრის კედლები იყო გადმოკიდებული კლდეები, რომლებიც მაღლა ზეტას სწვდებოდა და უფსკრულებად იხსნებოდა მათ ფეხქვეშ. ვარსკვლავები მათთვის ანთებული სანთლები იყო, უძირო ცა კი ტაძრის გუმბათი, რომელიც მზის ამოსვლისას და ჩასვლისას ცეცხლოვანი ფერებით იფერებოდა. ისინი იკვებებოდნენ, როგორც მთის არჩენი ფესვებითა და ბალახეულით და სვამდნენ წვიმის შემდეგ კლდეთა ნაპრალებში ჩამდგარ წყალს. ზაფხულის სიცხისა და ზამთრის სიცივისაგან სხეული გაუშავდათ და თმებით დაეფარათ, როგორც ცხოველებს, გამოშრალი კანი

ძელებს მიეკრო, მაგრამ მათი სული, გაწმენილი ცოდვისა და ვნებისაგან, ანათებდა როგორც სინათლის სხივები. მათი გმირული ცხოვრება, რომელიც მხოლოდ უტყვევებდა უდაბნომ იცოდა, დასასრულს უახლოვდებოდა.

სპარსი უფლისწული ბარამი თავის მსახურებთან ერთად სუქიასა და მის ძმებს მოუვალ კლდეებში შეხვდა. მან უბრძანა მეუღლებს განდგომოდნენ ქრისტეს რჯულს და დაბრუნებულყვენენ დედაქალაქში, მათ კი უპასუხეს: „ჩვენ უკვე მკვდარნი ვართ ამ ქვეყნისათვის, ჩვენი ცხოვრება კი ქრისტეა“. სარდალმა გასცა ბრძანება, რათა დაებათ ისინი და ნელ ცეცხლზე დაეწვათ. განდევნილები სიკვდილის წინ ისრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლის ფსალმუნს გალობდნენ. მთა, სადაც მათ ამქვეყნიურობიდან თავი შეაფარეს, როგორც ირმებმა მტაცებელთაგან, იქცა მათი ძელებისა და ფერფლის საერთო საფლავად.

II და III საუკუნეებში ქრისტიანობა კვლავ ვრცელდებოდა საქართველოში. წმიდა მოწამე კლიმენტის მოწაფეთა შორის იყვნენ კოლხები და იბერიელები. ცნობილია საეპისკოპოსოები პონტოსა და კოლხეთში. აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო ძაზღიზმი — ზარატუსტრას მოძღვრება, რომელსაც სვეულებრივ ცეცხლთაყვანისმცემლობას უწოდებდნენ, ხოლო დასავლეთ საქართველოში — ელინური კრპთაყვანისმცემლობა, განსაკუთრებით ჰეკატეს კულტი, რომელიც იყო სიკვდილისა და მაგიის ქალღმერთი. მას გამოსახავდნენ მთავრის ან ქალის სახით, რომელსაც ეკვლები ჰქონდა შემოხვეული. ქრისტიანული დასახლებები თავისებურად მოსჩანდნენ ამ სულიერ უდაბნოში.

დადგა დრო, როცა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა თავისი წარგზავნილის, წმიდა ნინოს მეშვეობით მოაქცია ავერთა ქვეყანა. მან მოციქულად აკურთხა წმიდა ასული. ღვთაღვთისამ გამოარჩია მონაზონი, რომელმაც ბავშვობიდან უძღვნა თავი უფალს და მისგან მოუვლინა საქართველოს დიდი მოციქული.

წმიდა ნინო წარმოშობით კაბადოკიიდან იყო. ქვეყნიდან, რომელმაც უდიდესი წმიდანები მისცა მსოფლიოს. არსებობს ცნობები, რომ იგი ენათესავებოდა წმიდა გიორგის. წმიდა ნინო თავისი ძმის ღირსეული და შეიქმნა.

წმიდა ნინომ მთელი ცხოვრება მოღვაწეობრივად განვლო. ეს იყო უსისხლო მოწამეობა და შეუპოვარი ბრძოლა ჯოჯოხეთურ ძალებთან. ისევე, როგორც წმიდა გიორგიმ განგმირა შუბით ურჩისული და სიკვდილისაგან იხსნა ლიბანის მეფის ასული, ასევე წმიდა ნინომ ღვთისმშობლისაგან კურთხეული ჯვრით ხელში გაიმარჯვა კერპთაყვანისმცემლობაზე, დასცა კერპები და ურჩისულის ხახიდან იხსნა ქართლი და კახეთი.

არსებობს გარკვეული კავშირი ადამიანსა და მის სახელს შორის. ერთნი განმარტავენ „ნინოს“ როგორც ასირიულ სახელს „ნინ“, რაც ნიშნავს „ნაყოფიერს“ მეორენი — „ნონ“-ას, რაც ბერძნულად „მონაზონს“, „მეუღაბნოს“ ნიშნავს. ეს ორივე განმარტება ავსებს ერთმანეთს და ახალი აზრით ტვირთავს სახელს „ნინო“. ქალწული გახდა ქრისტეს საცოლე და სულიერი დედა მთელი ქვეყნისა. კაბადოკია განთქმული იყო მეუღაბნობითა და ბერებით, უდაბნოს გამოქვაბულებში არსებული მონასტრები იფარავდნენ ქრისტიანებს დევნის პერიოდებში. ბავშვობიდანვე წმინდა ნინოს სული სანთელივით იწვოდა ღვთისადმი ანთებული ანგელოზებრივი-სიყვარულით. ყმაწვილობა მან იერუსალიმში გაატარა. ის ჰკავდა საოცარ პაღმას, რომელიც წყაროსთვალთან იზრდებოდა, რაც იყო იერუსალიმის სიწმიდენი. იზრდებოდა, როგორც ოდესღაც ქალწული მარიამი. წმიდა ნინო ცხოვრობდა ტამართან და ხალხმრავალ, აღმოსავლურ ქალაქში თავს ისე გრძნობდა, როგორც უდაბნოში. ბრბოს გუგუნის, ცხოვრების ბღავილი, ქუჩის მოვაჭრეთა და მეაქლემეთა შემაძილები, საქორწილო სიმღერები და სამგლოვიარო პროცესიები, ლეგიონერთა იარაღის ჟღარუნის, ქალაქის ხმაური, მსგავსად ზვირთციმისა, ასკდებოდა და იფანტებოდა ტამარის კედლებთან.

ტამარის უხილავ ნათელსა და საიდუმლო მღუმარებაში წმიდა ნინო მარადიულობის ხმას ისმენდა. აღმზრდელმა ნიაფორამ უამბო მას უფლის კვართის იერუსალიმიდან მცხეთაში გადატანის ამბავი. წმიდა ნინომ მოინდომა წასულიყო იმ ქვეყანაში, სადაც იყო კვართი უფლისა, ეპოვა სიღონიას საფლავი, თაყვანიცა ქრისტეს სამოსისათვის და ექადაგა სახარება საქართველოს მკვიდრთათვის. უფალი ხილვაში ეცხადებოდა წმიდა ნინოს და მან აკურთხა იგი მოციქულებრივი ღვაწლისთვის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა კი გადასცა მას ჯვარი ვაზისა.

ვაზი ქართული ეკლესიის სიმბოლოა. ეს შესანიშნავი ყლორტი მალე გაიზარდა, გამრავლდა და დიდძალი ნაყოფი გამოიღო. სიმაღლით მან კავკასიის მთების მწვერვალებამდე მიაღწია, ხოლო მისი ხევიანი მთელს საქართველოს გადაეფარა.

ეზრას უწერია: „ყველა მცენარეთაგან უფალმა ვაზის ყლორტი ამოირჩია“. ვაზი სახარებისეული სწავლების სიმბოლო არის. მისტიკოსებისათვის კი მისი სახება უფლისადმი სიყვარულის გამოხატულებაა, რაც ადამიანის გულს სულიერი სიხარულით ადავსებს.

თბილისში, სიონის საკათედრო ტამარში ინახება ჯვარი ვაზისა შვედური წმიდა ნინოს თმებით. დროთა განმავლობაში ტოტები დაიხარა, როგორც ჩიტის

დაშვებული ფრთები, თითქოს იმ სიძიძისაგან, რაც საუკუნეების მანძილზე აწვა ქართულ ეკლესიას კერპთაყვანისმცემლობასა და ისლამთან, ჯვრის ხილულ და უხილავ მტრებთან ბრძოლაში.

წმიდა ნინო სიკვდილს პირისპირ სომხეთში შეხვდა, როცა მეფე თრდატის მსახურებმა ხმლებით აკუნეს მისი სულიერი დები: რიფსიმე, გაიანე და კიდევ ორი ქალწული, რომელთაც უფლისათვის განეკუთვნათ თავი, მაგრამ მას ნაცვლად მოწამებობრივი გვირგვინისა, განუშადა სხვა, ბრწყინვალე გვირგვინი მოციქულობისა. როცა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ყრმა იესოსთან ერთად ჰეროდეს გამორიდებული ეგვიპტეში ჩავიდა, მეფისის ტაძარში კერპები ეცემოდნენ, თითქოს მიწა ირყეოდა მათ ფერხთ ქვეშ. და ახლაც, ქართლის დედაქალაქ მცხეთაში წმიდა ნინოს ღოცვით იმსხვერუდნენ კერპები მაუწყებლად აქ წარმართობის დაცემისა.

წმიდა ნინო დასახლდა სამეფო ბაღში, ტოტებისაგან მოწულ ქოხში. აქ არაფერი არ იყო, გარდა ერთი საგებელისა, რომელზეც ღოცულობდა და ეძინა წმიდა ნინოს. მასთან მოდიოდნენ მცხეთისა და მეზობელი სოფლების მცხოვრებლები, რათა მოესმინათ მისი ქადაგება იესო ქრისტეზე, ეთხოვათ ღოცვა-კურთხევა და მიეღოთ მისგან სულიერი დახმარება. მასთან მოჰყავდათ ავადმყოფები და იგი ჰკურნავდა მათ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიერ ნაკურთხი ჯვრით. ჯვარს არ იცილებდა წმიდა ნინო, ისევე, როგორც მეომარი არ იცილებს ომში მახვილს. მძიმე ავადმყოფები, უკეთური სულით შეპყრობილები, მომაკვდავები იკურნებოდნენ წმიდა ნინოს ქოხთან.

საუკუნეებმა განვლო და არ დარჩენილა მეფის სასახლის კვალი მცხეთაში. დრომ ყოველივე წარხოცა. მოციქულთაწინაწინ ნინოს სადგომი კი დარჩა უწმიდეს ადგილად ქრისტიანეთათვის. აქ მოდიოდნენ მორწმუნენი წმიდანის სიციცხლეში და მოდიან მისი სიკვდილის შემდგომ. ბერძნულ ქრონიკებში წმიდა ნინო ტყვედ იხსენიება. ის იყო ტყვე, ოღონდ არა კაცთა, არამედ ტყვე იყო ქრისტეს სიყვარულისა. ძველად ასეთი წესი ყოფილა: როცა პატრონი მონას ყიდულობდა, იგი მას თმას ჰკვეცდა და თავისთან ინახავდა, ეს თმა მტკიცება იყო იმისა, რომ ეს ადამიანი ნამდვილად მას ეკუთვნოდა. ეს ჩვეულება სიმბოლურად ასახულია ნათლისღებისა და ბერად აღკვეცის საიდუმლოებაში. წმიდა ნინომ ღვთისმშობლისაგან გადმოცემულ ჯვარს თავისი თმა შემოახვია, ნიშნად იმისა, რომ უარს ამბობს საკუთარ თავზე და სიციცხლეს უძღვნიდა უფლის მსახურებას. ტყვექმნილმა ქრისტეს სიყვარულით ახარა საქართველოს მარადიული სიკვდილის ტყვეობიდან გათავისუფლება. ისევე, როგორც ჯვაროსნები მკერდზე და ფარზე

გამოსახული ჯვრით მიდიოდნენ აზიისაკენ უფლის საფლავის დასახსნელად, ასევე წმიდა ნინო ღვთისმშობლის ჯვრით ხელში მოდიოდა იბერიისაკენ. მოდიოდა, რათა ჯოჯოხეთის ძალებთან ბრძოლაში გაეთავისუფლებინა არმაზისა და ზადენისაგან, კერპთაყვანისმცემლობის სამლოცველოებისა და ბომონებისაგან ადგილი, სადაც ყველა ქრისტიანის უდიდესი სიწმიდე, მაცხოვრის კვართი ინახებოდა, მოდიოდა, რათა მიეტა სულიერი თავისუფლება და ნათელი იბერიის ხალხისათვის.

ყოველწლიურად მეტი და მეტი ქართველი იკრიბებოდა ქრისტეს ჯვრის ქვეშ. მეფე მირიანი მტანჯველ კითხვას შეეპყრო: როგორ მოქცეულიყო შემდეგ? დარჩებოდა ქართლი წარმართულ ქვეყნად, ირანის მოკავშირედ თუ ბიზანტიის მსგავსად მიიღებდა ქრისტიანობას? მეფე ჰკავდა მხედარს, შეჩერებულს გზაჯვარედინზე. მირიანმა იცოდა წმიდა ნინოს ღვთაებრივი ძალისა და სასწაულებრივი უნარის შესახებ. გულით ქრისტიანობისაკენ მიიღებოდა, მაგრამ წარმართული სამყარო ჯერ კიდევ იჭერდა თავისი ენებებით, ჩვეული რელიგიური წარმოდგენებითა და მაგიური რიტუალებით.

სპარსეთის მეფემ თავისი ძე მირიანი ქურუმთა და პოეტთა წრეში აღზარდა, რომლებიც ირანის სიდიადესა და მის გმირებს უმღეროდნენ, ახლა კი უკვე ქართველთა მეფე მირიანს უნდა გადაეწყვიტა თავისი ახალი სამშობლოს ბედი, სამშობლოსი, რომელიც არაერთხელ ხმლით დაუცავს. მაგრამ მაშინ მას სპარსეთის შაჰი ეხმარებოდა. ცეცხლთაყვანისმცემელი ქურუმები არმაზისა და მითრას განრისხებებს წინასწარმეტყველდნენ, მათი მუქარა გვამებით მოფენილ ბრძოლის ველზე მორიალვ ყვა-ყორანთა ხმას ჰკავდა.

ქრისტიანობის მიღება ირანის მხრიდან საშიშროებას შეუქმნიდა ქვეყანას. მეფე უკვე ფიქრობდა ეწამებინა წმიდა ნინო და განედევნა ქრისტიანები, მაგრამ შინაგანი ხმა სინდისისა მოსვენებას უკარგავდა. მძიმედ დაფიქრებული იგი მთებში სანადიროდ გაემართა, რათა განმარტობულიყო. წარმართული სამყარო უკვე აგონიაში იმყოფებოდა, როგორც ველური ცხოველი სიკვდილის პირას განსაკუთრებით დაუნდობელი და სასტიკია, ასევე ეს სამყარო მზად იყო ჩამხრჩვალყო თავისივე მსხვერპლის სისხლში, მაგრამ ღვთის განგებამ არ დაუშვა, რომ მეფე მირიანი გამხდარიყო დიოკლიტიანე საქართველოსათვის, ზეციური ნიშნით იგი მოიქცა ქრისტესკენ.

თავისი შემდგომი სიციცხლე მეფე მირიანმა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასა და ეკლესიათა აგებას მიუძღვნა. არსებობს გადმოცემა, რომ მეფემ მოიარა იერუსალიმი და შესვლა იმპერატორ

კონსტანტინესაც. იმპერატორმა მირიანს უბოძა მიწის ნაკვეთი იერუსალიმში, ის ადგილი, სადაც უძველეს დროში იდგა ხე, რომლისაგანაც შემდეგ მაცხოვრის ჯვარი გააკეთეს. აქ აიგო ივერთა მონასტერი. ამ მონასტერში ბერებმა პირველად თარგმნეს ქართულ ენაზე ბიბლიის ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ეკლესიისათვის.

ბიბლია ქართულად ითარგმნა იქ, სადაც წინასწარმეტყველები აუწყებდნენ ხალხს უფლის ნებას, სადაც ხდებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები მსოფლიოს სულიერ ისტორიაში, სადაც ქრიტემ დააწესა ექვარისტია, სადაც ჯვარს ეცვა და აღდგა, სადაც

სულიწმიდა გადმოვიდა მოციქულებზე, სადაც ჰაერიც კი ინახავდა მიწაფეებთან და ზეციურ მამასთან მოსაუბრე ქრისტეს ხმის ხმოვანებას, ხოლო მიწა – მის ფეხთა ნაკვალევს. ჯვრის მონასტერში თარგმნილი ბიბლია – ეს ჩაუქრობელი აღია ანთებული მაცხოვრის საფლავიდან, სიონის ბაზილიკიდან გამომავალი სინათლის სხივებია, სადაც მოციქულებზე სულიწმიდა გადმოვიდა. მონასტრის კედლები, როგორც კანკელი კი არ ფარავენ, არამედ უხსნიან ადამიანს დიდებული სამყაროს სიღრმეებსა და შორეთებს, ოღონდ ესაა სამყარო მარადიული არსებობისა და მარადიული სულიერი ემანაციისა.



მიეცით, ერნო, დიდებამ ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა, რაჟამს გესმას კმაი იგი სანატრელი. განაბრწყინენით სულთა ჩუენთა ლამპარნი, რათა ღირს-ვიქმნეთ ბრძენთა მათ თანა ქალწულთა შესლვად ქორწილსა მას სამეუფოსა.

იხილეთ უფალი, რამეთუ მოწყალე არს. მოვედით და შეუვრდეთ ცრემლითა ვიდრე განშჯამდე, რათა გუიკსნეს ჩუენ ცეცხლისა მისგან საშინელისა.

დიდებამ შენდა, დიდებამ შენდა, ქრისტე, ძეო ღმრთისაო, რომელი მოხუედ ვნებად ნეფსით კორცითა. მოგუიკსენენ ჩუენ მეორედ მოსლვასა შენსა, რაჟამს განარჩევდე ცოდვილთა მართალთაგან. გვევდრები, ღირს-მყავ მე მარჯუენით სამწყსოთა შენთა თანა.



ამ დალოცვილს დიდმარხვას, რომ საუბარი შეეძლოს, უთუოდ დიდს სამღურავს შეუთვლიდა და არც წყევლას დააკლებდა მარხვა ჭამიებს, რომელნიც უფრო ბლომად მოიძებნებიან ქალაქ ადგილებში, მანამ სოფლად. სოფელს ჯერ კიდევ ძველი სუნი მოსდის და მამაპაპათ ანდერძი არ დაუვიწყრია. ძველად ხომ ვიცით, მარხვას დიდის პატივის ცემით ეპყრობოდნ და ეხლაც ისევ დალოცვილი ლობიო, მახოხი, ღოღოს საჭამანდი და სხვანი მრავალნი მცენარეულნი საჭმელები არიან დიდ-მარხვის პატივსაცემლად დამზადებულნი. ქალაქ ადგილას — ყველა საზოგადოდ ჩვეულებისაგან აკრძალული საქმე ადვილად ჩასადენია კაცისაგან, ხოლო სოფელში ყველა მალე გაიგებს ავს საქმეს და ავის თვალითაც შეჰხედავენ. ამის გამო, სიმართლით უნდა ვსთქვათ, სოფელშიაც ბევრი ძალად წმინდანობს, თორემ გაგიხარიან, რომ ისინი, თუ თვალი იცდინეს და ერთი დასტური დასცა საზოგადოების შეხედულებამ, ყელს ჩაიპოხებენ. მე რომ ზოგ-ზოგი მსუნაგი დიაკვანი ვიცი, აბა ის რას არ წაატანს ხელს ღორის ლურთ-ლურთ ნატრებს, პატივი მარხვას და უკაცრავად მარხულებთან, ინდაურის კანჭს, დედლის გვერდებს, ჯამში ჩაბუებუებულს ბოზბაშს, რას არ ამოუჯდება გვერდში.

ვაჟა-ფშაველა

სადიდმარხვოდ

თქვენ გვინათ მარხვისა არ ეშინიან იმას? არა, ეშინიან, მაგრამ მუცლის ამოძახილი სთრუნავს ხმას შიშისა და კაწკაწი კბილთა აბათილებს ძალსა სულისასა. რა ვუყოთ, განა ლოცვა-წირვა კი ეხალისება? მაგრამ მოვალეა ილოცოს; მანამ მარხვა დადგებოდა, ილლიაში ჯობამოხრილი დასუნსულებდა სოფელში, ეგები რასმე სასმელ-საჭმელს, ან სანოვაგეს წავაწყდე და ერთი კარგად გამოვიბრუოვო და ეხლა, როცა დიდი მარხვა დადგა, თუ არ წავიდა საყდარში, ქისტის კვრით წაიყვანენ, გაისმის მწუსარე ხმა ზარისა და მიდის ისიც საყდარში წელმოწყვეტილი, ფეხებს ძლივს მიათრევს და დიდმარხვის ჯავრს ჟამნდავითნზე იყრის. გაგიხარიან, ის სხაპასხუპით გაუსვამს და ადგილ-ადგილ შეუმაღლებს ხმას შეტევით. ერთს-კი გაიგონებთ: „უფალო“ რომ წამოიძახებს გაჯავრებული და შემდეგ გესმით: მხოლოდ — ფალო, ფალო.... ფალო!.. სად არის კაცი და პატრონი უთხრას — „ფალო კი არა, უფალო, უფალო, დაგიდგეს, შე მსუნაგო, თვალი! წაიკითხე, როგორც წესი და რივია! გაგვაგებინე, რას გვასწავლის უფალი; სულ ბოზბაში და ღორის ლურთები ნე გაგონდება“;

აბა, რა სასოება უნდა აღუძრას ამან იქ, რომ გასათხოვარი ქალები სდგანან და ბიჭებისაკენ თვალეები მიუბრით!..

დიდ-მარხვისათვის და ლოცვა-წირვისათვის ისევ დალოცოს ღმერთმა მოხუცებულნი, რომელთაც პირი სამარისაკენ უქნიათ, ვნებანი დაჰხშობიათ და ახლა სულის მოგებაზე დამდგარან, რათა შეინანონ ყოველნი ცოდვანი თვისნი ნებსითნი და უნებლიეთნი და წარსდგნენ პირნათლად სამსჯავროსა მას ღვთისასა. ისინი თუ გამოისყიდიან დიაკვანისა და ახალგაზრდების ცოდვათა, თორემ სხვა არავინ...

დაიწყება აღსარების თქმა და მსუნაგი დიაკვანი ჩუმ-ჩუმად ყურს ადებს საყდრის კარებს, გავიგონო, შევიტყო რან საჭორაკუდაოვო...

კიდევ ბოდიშს ვითხოვ მარხვასთან და თქვენთანაც მარხულნი, მაგრამ რომ მარხვის საკადრისი არ არის ტყუილის საუბარი, ამიტომ მეც სიმართლეს მოგახსენებთ — მაშასადამე სიმართლისთვის ნურას უკაცრავად.

კუჭის მარხულობა, რაც არის, არის, ღმერთს გაუჩენია, თუ წმინდანთა დაუდგენიათ, ჩვენის სჯულის გვერდად უნდა ავასრულოთ. მაგრამ ამ თუ ვინმე გონების მარხულობასაც შემოიღებდა, ის კი, სწორად მოგახსენოთ, ჩასაქოლავი იქნებოდა და ყოველი ქრისტიანი მოვალეც გახდებოდა, პირველად იმას ეკარა ლოდი იმ ახირებულის კაცისათვის. მაგრამ რას ვამბობ? ჩვენში ხომ გონებას უფრო ამარხულებენ, მანამ კუჭსა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ორივეთი მარხულნი ვბრძანდებით: გონებითაც, კუჭითაც. თუმცა, ხანდახან, მართალია, ვიძახით და ვიმღერით:

„სანამ ცოცხალ ვარ, ესე ვიქ,
ვახარებ ჩემსა იასა,
მოგვედები-გაუხარდება
სამარის კარსა ჭიასა“-ო

მაგრამ მაინცდა მაინც მარხულნი ვართ კუჭითა და გონებითა, ვინ ვის უნდა სდრუზოს თავში ლოდი, ვინ ვინ დასაჯოს, ვისი ჯავრი ამოიყაროს, — ესლა თქვენ გაასამართლოთ!

საით გაიხედავთ, ვისი ჰნახავთ, რომ გონებით არ მარხულობდეს? უმრავლეს ნაწილს ჩვენის ერისას შემოუკვლია უმეტრების გალაგანი გარეშემო და აღარ უნდა იმ გალაგანს იქით გადაიხედოს. მცირე ნაწილი, რომელსაც ერთ დროს უსწავლია რამ, დღეს გონების მარხულობას მისცემია. გლეხკაცობა უფროსის სწავლას, ამიტომ, რომ მისი გემო არ იცის. გაიგო, ვინც იმის წრიდამ გამოსულმა ისწავლა რამ, ხალხს არ გამოადგა, არაფერი არგო, წაივია ისიც, გაიძლო კუჭი და დაიწყო, მიჰყო ხელი გონებით მარხულობას. კეთილშობილთ ისტორიულად მოპოვებული ძალა რა დაჰკარგეს, სხვაგან მოძებნეს ეს ძალა, რომ კიდევ რამე მნიშვნელობა ჰქონოდათ ხალხში და თვითონ სწავლასაც; რომელმაც ვითომ ჩამოჰყარა უფლება, მრუდე თვალთ შეხედეს, ამიტომაც ეჭვიანის თვალთ უცქერიან ჟურნალ-გაზეთებს და ხელში ასაღებად ეჯავრებათ: მაგების კითხვა ყარტა-ჟურტა ხალხის საქმეაო.

გონების მარხულობას სულის მარხულობაც მოხდეს, რასაკვირველია. სული დარჩენილია ობლად, უპატრონოდ, აღარაფერი არ აფრთოვანებს მას; დალობას აპირობს, ურწმუნოდ ხდება, უსაგნო, უხეირო, უკეთური, უგერგილო.

სული ტიროდა ბედკრული

ნიოხარს გონებაზედა:

„ერთხელ როგორ არ იფიქრებ
მაგ შენსა მონებაზედა.
თავი დასწავრე, მეც მჩაგრავ,
მიმეც ლაფსა და მწურესა,
წამწმინდე, გადამისროლე
ბნელს ჯოჯოხეთის ყურესა.
ძნელია, როცა ორივეს
პატრონი არა ჰყურებსა.

სული და გონება მარხულობს-მეთქი და ერთი რამ არა მარხულობს. ამიცან და რა არი? ჩვენსა რო ქანდარაა-ის არი სწორედ; დაილოცე ქანდარავ! შენ ენა გქვიან, ერთი შენ არა ჰმარხულობ ზოგზოგის პირში, თორემ ზოგის პირში რომ სამუდამოდ დაუვიწყარ სამარხულოდ ღმერთსა გამჩენსა მარხვისა და ხსნილისას, — დაუწყვიხარ, როგორც ტანტალი მშიერი და მწყურვალი შუა ზღვაში. შენს თავზედაც, როგორც იმ ღმერთთან შეჩვენებულის თავზედა, ჰკიდია პური და ღვინო, ყურძნის მტვერები. ეწვეები საჭმელად და მიგიბრბის ხელიდამ მალა, დაბლა წყალს ეწვეები სასმელად და ფეხებიდამ მიგიბრბის ისიც, გიფრთხება, არ გესმეინება. ვინა ხარ შენა და რა გქვიან სახელი? ბეჩავის კაცის ენა აი, რას იმღერს:

საცა მე ვცხვოვრობ, წყალი სდგას,
მტკივა, მემსჭვალვის გვერდები.
ესე სუსტი და უძლური
სუსტს პატრონს შევაბერდები.
ბევრი რამა მაქვს სათქმელი,
მაგრამ ველმარებ ისევა,
ძლიერ აშინებს ყანასა
კალიის გუნდის მოსევა.
ძნელია, როცა ქვეყნისა
გონება გადაირევა!
ჩემს პატრონს თავში ტვინი აქვს,
როგორც ლოდი და კაჟია,
ვინც იმას გასტეხს, ის არის,
აბა, ის არის ვაჟია,
თუმც კი ვერ გადაურჩება,
რომ არ გარდახდეს ბაჟია...
უბირის, ბეჩავის ენა
გასამტყუნარი რაშია?!

ღმერთმა დასწყევლოს ზოგის ენა, რომელიც არა მარხულობს და მოჰყვება ქვეყანაზე ტიუ ტიუს, ჰფქვავს, რაც ძალი და ღონე აქვს. მაგრამ ნუ ჰგონიათ, რომ პურსა ჰფქვავდეს. აბა, ვინ მოსთვლის, რას არა ჰფქვავს! აღარც მარხვისა სცხვენინან და აღარც კაცისა: მთას მთას მიაჯახებს და ზღვას ზღვასა, დედამიწას-ცასა. ტყუილად არ არის ნათქვამი: სანამ ხმალი მოვიდოდა, ენამ თავი მოსჭრაო. ამისთანა ენას ბევრი ვნება შეუძლიან, მაგრამ სარგებლობას ნურაფერს მოელით, ბევრს ამბობს იმდენს, იმდენს, რომ თავის თავს მოჰბეზრდება და ქვეყანას ხომ თავს აბეზრებს, რა თქმა უნდა! აი, ამისთანა ენაა დასატუსაღებელი და სათოკ-საბორკილე, მაგრამ სად არის, ვინ არის კაცი და პატრონი? თუ სადმე სამართალია, მარხვა, მარხულობა იმისთანა ენისათვის უნდა დაწესდეს და დაწესდეს ისე, რომ მუდამ კრიჭაში ედგეს და რამდენჯერაც გაინძრევა სისულელის, სიავის წამოსაროშად, იმდენი ნესტარი დაჰკრას, ან ნაკვერჩხალი დაადოს, რომ სდუმდეს და არა სწამლავდეს კაცთა გულსა და გონებას...

„შენ გეუბნები ამასა,
ენავ, ბილწო და მრუდეო,
რა ეშმაკად და ქაჯადა
ჩვენს შორის დაიბუდეო?!
მიკვირს, რად არ გწყინს სიავე,
არ გემწარება მწარეო?
ნეტავი დამახსნიან
შენგან ეს ჩემი მხარეო.

შენის ძალითა ბნელში მყოფთ
ბევრჯერ ვიწუნეთ მთვარეო,
ეხლა-კი დროა, მოვშორდე,
გასწი, შორს გაიარეო!

ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ამ შხამიანს ენას კრიჭაში არ ედგას მართალი და მადლიანი ენა. იგი წაპლეკავდა მთელს ქვეყანას. მაგრამ მადლიანი ენა თითს უქნევს: ჰა, ციც, დაუკრეფავში ნუ შესდინხარო!

ღიად, ცოტასაც არის ეს მართალი და პატიოსანი ენა ამარხულებს იმას და აფრთხილებს:

„ენა დალოცოს ზოგისა,
მართალს სთესს, მართლის მხენელია,
რაც კი რამ კაცსა ერგება,
სულ მუდამ იმის მოქმელია.
კაცს არ გაუთხრის ორმოსა,
პირს არ გაუყოფს სოფელსა,
არ აპატიებს საქციელს
თავის სამშობლოს მემობელსა.
ამისთვის უყვართ ჭკვიანთა,
უდღევრებლებენ მშობელსა.

მაგრამ მაგარი ის არის, რომ თურმე, როცა ენა ხმასაც ატკბილებს, ანუ უკეთრომ ვსთქვათ, ე.ი. ისე, როგორც ერთმა ჩვენმა მწერალმა სთქვა, ხმას „აფაფუკებს“, მაშინ თურმე ვნების მოტანაც შეუძლიან

(1891 წ.)



წმ. ბასილი დიდი

IV საუკუნის უდიდესი ქრისტიანი მამა, ბასილი დიდი, თავისი ცხოვრების მიწურულს, სნეული, საწოლს მიჯაჭვული, ქრისტესმიერ ძმას, ევსევი სამოსატელს გულისტკივილით სწერს მისი თანამედროვე ეკლესიის „უიმედო“ მდგომარეობაზე. საგულისხმოა, რომ ამგვარად მყოფი მამის გულისყური ეკლესიის ბედ-იღბალს დასტრიალებს. ქვემოთ მოგვყავს აღნიშნული წერილი.

წერილებიდან

სამოსატის პისპოპოს ევსევის

გაუთავებლად გრძელ ამბავს აღვწერდი, თანმიმდევრობით რომ ჩამომეთვალა ყველა მიზეზი, რაც აქამდე მამბრკოლებდა, მიუხედავად შენი ღვთისმოსაობისადმი დიდი ღტოლვისა. აღარას ვიტყვი ავადმყოფობაზე, ერთი-მეორეს რომ მოჰყვა, ზამთრის დროის მოუხერხებლობაზე, გაუთავებელ საქმეებზე, რამეთუ ცნობილია, რაზედაც აქამდე მოვახსენე შენს სრულყოფილებას. ახლა კი ერთადერთი იმედი, რაც მქონდა ამ ცხოვრებაში, — დედას ვგულისხმობ, — ესეც წამერთვა ჩემი ცოდვების გამო. ნუ გაგეცინება ჩემზე, ამ ასაკში ობლობას რომ ვუჩივი; პირიქით, მაპატიე, რომ მოთმინებით არ შემძიოლია ასეთ სულთან განშორება განვიცადო, რომლის ტოლიც ღირსებით, დარჩენილებში არ მეგულება. ამიტომაც მომაკითხა კვლავ სნეულებამ, ისევ სარეცელს ვარ მიჯაჭვული, სრულიად დაუძლურებული და ძალამინდელი და ყოველ წუთს ველოდები სიცოცხლის გარდუვალ დასასრულს. ეკლესიები თითქოს ისეთსავე ყოფაშია, როგორც სხეული ჩემი. არ ჩანს არავითარი კეთილი იმედი, საქმე განუწყვეტლივ უარესისაკენ მიექანება. ამას გარდა, ვგონებ, ნეოკესიარისა და ანკირას (იგულისხმება საეპისკოპოსო კათედრები-მთარგმ.) გარდაცვლილთა ნაცვლად ჰყავს მემკვიდრეები და დღემდე სიმშვიდე სუფევს. ჩემმა ავისმზრახველებმა აქამდე ვერაფერი ისეთი ვერ მოიმოქმედეს ჩემს მიმართ, რაც მათ რისხვასა და სიავეს დააკმაყოფილებდა; ხოლო ამის მიზეზს შენს ეკლესიებისათვის აღვლენილ ლოცვებში ვხედავ. ამისთვის ნუ შეწყვეტ ეკლესიებისათვის ღვთისადმი გულმოდგინე ლოცვასა და ვედრებას.

ღირსქმნილი ვემსახურებოდე შენს სიწმიდეს, გიძღვნი სალამს.

თარგმნა
დეკანოზმა არჩილმა (მინდიაშვილი)

ეპისკოპოსთა მიმართ

მათი უმაღლესობა და უკეთილ-მსახურესობა მეფე ირაკლი და მათი უწმიდესობა და უნეტარესობა პატრიარქი მეფის-მე ანტონი

ესრეთ განვსაზღვრებთ, ვამცნებთ, მოვასხენებთ და უბრძანებთ ყოველთა საქართველოსა მღვდელთ-მთავართა და მწყემსთა ჭეშმარიტთა, ესრეთ.

ეპისკოპოსნი მიიყვანდნენ თავისის სამწყვსოსა მღვდელთა დადგენილთა, გინა ახლად დასადგენთა, და კეთილად განიხილვიდნენ მათსა ცხოვრებასა და მეცნიერებასა. უკეთუ შემძლებელ იყვნენ სწავლად და სწავლულ იყვნენ შვიდთა ამათ საიდუმლოთა ჭეშმარიტად აღსრულებად.

შვიდნი საიდუმლონი წმიდისა აღმოსავლეთისა ეკლესიისანი ესენი არიან:

ა) ნათლვა; ბ) საღმრთო წირვა, გ) ცხება მირონისა; დ) მღვდლის კურთხევა და მიცვალებულის წესის აგება და დამარხვა; ე) აღსარების თქმევილება; ვ) პატიოსანი ქორწინება; ზ) ზეთის კურთხევა. ამითი სრულებით აღსრულება თუ შეეძლოს-კეთილ, და კურთხევით მიაბარონ ეკლესია და სამწყვსო ქრისტესი, და წარავლინონ განკრძალვით მღვდელობად ლოცვით და კურთხევით; და რომელთაცა არ შეეძლოს ამ საიდუმლოებისა აღსრულებად, უბრძანონ ან თვითონ თავის ეკლესიაში მიიყვანონ ის მღუდელი ეპისკოპოსთა, ან რომელსამე მონასტერში მიაბარონ მეცნიერთა, და ეგოდენ გულსმოდგინეთ ეცადნენ, რომ ისწაონ, და ვინემდი ისწავლიდენ, ეპისკოპოსმა იმ სამწყვსოს სხვა მღვდელი განუჩინოს. უკეთუ ისწაოს ამ საიდუმლოების აღსრულება, მერმე სამწყვსოც მიაბაროს და იმღვდელმოქმედოს; თუ არ ინებოს და ვერ ისწავლოს, სამწყვსო ჩამოართვან, თვითონ საცა უნდა წარვიდეს, სხვა მღუდელ-მოქმედებას ნურას იკადრებს თვინიერ წირვისა, სადაც ენებოს, წიროს თვინიერ სხვათა მღვდელმოქმედებათა, შენდობა აქვს მოძღვრისა თვისისა წამებითა.

რომელთაცა ეკლესიისაგანთა, სამღვდელოდ განწყვსებადთასა, საეკლესიო წიგნნი, რომელნიც დამჭირნო არიან, ყოველ ამაების უცოდნელად მღვდელობა არა ჯერარს: დავითნი, ჟამნობა სრულად, სახარება, სამოციქულო, პარაკლიტონი, კურთხევანი და კონდაკი, ესენი თუ იცოდეს კარგად — აკურთხენ; და ესენი თუ არ იცოდენ სრულად, განვაკრძალვით ეპისკოპოსთა ესე-ვითართა ნუ აკურთხებენ; და რომელნიც ეპისკოპოსნი ესე ვითართა უმეტართა აკურთხებენ, უწყოდენ მაკურთხეველიცა და კურთხეულიცა ძლიერად იმხილებიან.

ეპისკოპოსნი მღვდელთ ამცნებენ, რომელ თავთავის სამწყვსოთ, ერის კაცთა, გინა ქალთა პირჯვარის დაწერას ასწავებდნენ მართლად; და რომელთაც აღსარების თქმა



შეეძლოს, უაღსარებოდ ნუ დააყენებენ, შვიდის წელიწადისას, და ყოველს სულს „წმიდარ ღმერთოს“, თვისის მუხლებით და „მამაო ჩვენოს“, „მიწყალეს“ და „მრწამსს“ ზეპირით თქმას ასწავლიდნენ, და მართლმადიდებლობის სარწმუნოების აღმსარებლობასა ჭეშმარიტსა; და რომელთაც არ ისწაონ და უღებ იქმნენ, მღვდელი ნულარ უმღვდლოებს და ეპისკოპოსს შეასმინოს, და ეპისკოპოსმაც სიტკბოებით სწრთვნას და შიშითაცა ეცადნენ რომ ასწავლონ, თავის ნებაზედ ნურავის თავის სამწყსოს ნუ მიუშვებენ ნურც ეპისკოპოსნი და ნურც მღვდელნი.

სოფელში, რომელიც თავი და პირველი და უპატიოსნესი ეკლესია იყოს, გაწმენდილი ჰქონდეს და დაგვილი და კედელი, სარკმელი, ყურენი, გარეთ და შინათ მოწმენდილი. სიწმიდის იარაღი და წმიდა საკურთხეველი, და ტრაპეზი, უზეშთაესად პატიოსნად ტრაპეზი შემოსილი სიწმიდის სამსახურებელი — ბარძიმი, ფეშხუმი, კოვზი და ან ვერცხლისა ან კალისა სხვას ნივთისა არ იმსახურებს, პერექლები და დაფარნა ფარჩისა წმიდა და უჩირქო, ტრაპეზი შემოსილი, რაოდენ ძალედვას, უჩირქოს სამოსლითა; ოდიკი ახალი და კარგი და უჩირქო, და ამ ოდიკს სულარი ჰქონდეს უჩირქო, რომ შიგ შეხვევდეს. მღვდლის შესამოსელიც რასაც შემძლებელ იყოს, უჩირქო და დაუკერებელი, დაბეჭილი და ჩირქიანი არ იკადროს მსახურებად წმიდა წმიდათასა ზედა; ხეფისკვერი რჩეული და ზედაშე ფეროვანი წმიდა უჭანგო და უბრკო, სუნისა და გემოსი არარას მქონებელი; კრეტსაბმელი უჩირქო და გასწორებული, აგრეთვე წიგნი, დავითნი, ჟამნი და პარაკლიტონი, თორმეტის საუფლოს სადღესასწაულო, ათორმეტები დღე-სასწაულისა და ვნებისა, აღსარება-სამოციქულო, კურთხევანი და კონდაკი.

ესენი უნდა ჰქონდეს, სადაც შეეძლოს ბრწყინვალე კარს კარები შეასხან და ისე იმღვდელონ და სწირვედნენ, და სამწყსოც ამისთანას მღვდელთა და ეკლესიათ ჰქონდესთ, სხვათი არ იქნება, არც ბრძანებთ; და რაგვარადაც ეპისკოპოსთათვის გვიმცნია, ეგრეთ მღვდელთ ამცნონ და განაკრძალონ, თორემ ეპისკოპოსნიც კანონ ქვეშ იქნებიან და მღვდელითაც სამწყსოზედ ხელი აიღონ; თუ სხვა საყდარიც იყოს იმ სოფელში, ან სიახლოეს ერის სალოცავად დღესასწაული სადმე იცოდნენ და იმ ეკლესიას ეს განწყობილება და სამსახურებელი არ ჰქონდეს, რომლისაც სამწყსო იყოს იმ მღვდელმა ამ სამუდამოს ეკლესიის სამსახურებელი წარიღოს ყოვლიფერი და ამითი შეამკოს ის ეკლესია და ისე სწიროს და იქავ მოიტანოს. ჩვენ ვგონებთ, რომ ყოველთა უწყით, გარნა ამისა უმეტრება არავინ ქმნას, რომ იმ დღის მსახურებელი სიწმიდის სამსახურებელი ჭურჭელი, გინა შესამოსელი და ოდიკი, თვინიერ წიგნისა, ოლარისა და ცეცხლურის მეტი იმ დღეს მეორედ იხმაროს, სასიკვდინედ სცოდავს და განიპატიყოს დიდად ეპისკოპოსისაგან.

რომელნიც ან მისანნი, ან მწამველნი არიან, ან სიყვარულისა, გინა სიძულვილის წამლის მოქმენი, ანუ მათნი მეძიებელნი და მიმყოლნი, გინა მექერეობისა და მელობიობისა მკითხველნი და მათნი მრწმუნებელნი, — უნდა შეინანონ და დღეის იქით თუ ვინმე იკადროს, — იცოდნენ, რომელ მათთა ეპისკოპოსთა სამღვდელს მსჯავრით განპატიყონ და მღვდელს ნულარ მისცემენ, ნურც ქრისტეანეთა სახელ სდებენ; ნურც ეკლესიაში შეუშვებენ და ნურც საფლავს აღირსებენ; და მერმე მათის სიძალის მეფის სამსჯავროში მოიყვანონ და, ვგონებთ, რომ მათის კეთილ-მორწმუნეობის მსჯავრმა სიკვდილადცა დასაჯოს, რომ მათზედ არს სამართალი ესე მიპყრობილი და რომელნი მათნი მორწმუნენი და შემწყნარებელნი იქმნებიან, ისინი ხორციელად ჯარიმით განიპატიყებიან, და სულიერად მღვდელი აღარ მიეცემათ.

ეგრეთვე, რომელიც ხეთა და ძელთა, გინა სადმე ნიშთა და ძეგლთა და ადგილთა რათმე უეკლესიოთა თაყვანისცემენ, მათაც ასე ეს სასჯელი მიეცემათ, ვითარ იგი მისანთა და მწამველთა: ეპისკოპოსმა საცა ან ხე, ან ძელი, ან ნიში და ძეგლი, უეკლესიოდ ამგვარები ნახოს, ძირითურთ აღმოფხვრას და საწვაგი დაწოს და ეს საცთური დაადუმოს და გააქარვოს.

კვირას და უქმეს ვარკძალებთ ყოველთა ქრისტეანთა, ძველისა და ახალის სჯულითა და აღთქმითა: ნუმცა ვინ იკადრებს კვირის და უქმის ტეხად; კვირიაკესა სრულიად ყოველი უქმობა ჯერარს თვინიერ ლოცვისა და წირვისა და ეკლესიად მისვლისა კაცთაგან პირუტყვამდე; ეგრეთვე თორმეტთა საუფლოთი დღეთი და დღესასწაულსა ყდ წმიდისა ღთის მშობლისასა და საჩინოთა წმიდათასა, ამათი წესი და რიგი მღვდელს ეპისკოპოსისაგან განეწესოს და მღვდელთა თავის სამწყსოს განუწესონ და შეატყობინონ, რომ დღეს უქმი არისო. თუ ვინმე ურჩ ექმნას და არ უქმოს, მისი ნამოქმედი ცეცხლით დაწვან, ის კაცს ორმოცი ჯოხი დაჰკრან, თუ გლეხი იყოს; და თუ მაღალი ვინმე იყოს, მათს სიძალეს მეფეს მოახსენოს, და იმან საჯოს, ვითარ ჯერარს.

ასევე ვამცნებთ, ნუმცა ვინ იკადროს პირუტყვის ბოროტის სიტყვით შეგინება; ამცნოს მღუდელმა, და თუ არ დაიშალოს, ეპისკოპოსთ შუამდინონ, ნუდარ იტყვიან ამგვარს უშვერსა; და თუ არ დაიშალონ, ორმოცი ჯოხი დაჰკრან თუ ბიჭი იყოს, და თუ კაცი იყოს — მცირედ დაარბიონ.

ყოველთა მღუდელთა მთავართათვის გვიმცნია და მოგვიხსენებია, რომ ეკლესიის მამულს, ნურც სახელოს, ნურცა დიდსა, ნურცა მცირესა, ასე რომ, ერთის დღის მიწა იყოს, განა საბოსტნე, ანუ მცირე სახლის ალაგი. — არა ხელეწიფების მიცემად ვისდამე, გინა მისყიდვად; ნურც ერთს გლეხს, ნურც საგანძურს, და ნურც შემოსავალს, რაც თავისის კონდაკით არ იშოვოს და თვითან სახმარად არ მისცემდეს დაჭირნობისდა, მათს სიძალდეს, კეთილმსახურს მეფეს მოახსენოს და მისს უწმიდესობას პატრიარხს, და მათის ჯერჩინების თუ რიგიანი არის, ნებას დაურთვენ და მიაცემინებენ; თუ არა დღეის წადმართ რომელიც ეპისკოპოსი ამგვარებს იქს და თავისთავად გასცემს ან სახელოსა, ან მიწა-ალაგს, როგორც ვიქმნია, ან საგანძურს და შემოსავალს და ეკლესიას გაადარიბებს — ან საგანძურისაგან, ან ხატისა, ჯვარისა, შესამოსლისაგან, ან მამულისაგან — თავს არ დავანებებთ, სარწმუნო ბრძანდებოდენ არ დაუთმობთ. ვინც შემატებასა ეცდება და შემკობას, დიდად მადლობელნი ვიქმნებით.

ეკლესიის ხატთათვის ნებითა ღვთისათა მხატვრები არიან და წიგნთათვის სტამბა არის, და სხვა სახმარიც ხომ ყოველივე იშოვება ამავე ჩვენს საბრძანებელში, ფასით სასყიდელნი, რომლითამე ეპისკოპოსნიც შეეწივნენ, რომლითამე მღუდელნი თვით დაიხარჯნენ, და რომლითამე იმ ეკლესიის შემავალნი ერნი — და ისრე განაწყონ ეკლესიანი, და ნუ იმიზეზებენ უქონლობასა რათა ყოველნი ეკლესიანი ნებისაებრ ღვთისა და წმიდათა მამათა მოცემულისა კანუნისაებრ; და წმიდათა ოთხთა პატრიარხთაგან დამტკიცებულისა, და ვითარცა არს ყოველსა სამართლ-მადიდებლოსა ქუეყანასა შინა საბერძნეთისა და რუსეთისასა, ეგრეთ ჯერ არს ჩვენთაცა ეკლესიათა ყოფა, რათა შეწირულ იქმნას წინაშე ღვთისა შეცოდებანი ჩვენნი და ვიხსნნეთ ხილულთა და უხილავთა მტერთაგან. მეფენი და მთავარნიცა, და მღუდელ-მთავარნიცა და მღუდელნი და ერნიცა და ყოველნი სულნი მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენი ყოვლისა განსაცდელისაგან ერთბაშად დაცულ ვიქმნეთ უფლისა და ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ, რომელსა შვენის ყოველი დიდება და თაყვანისცემა, თანა დაუსაბამოთ მამით და ყოვლად წმიდით სულითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.



დაიბეჭდა საუფლოსა ქალაქსა ტფილისსა
პალატსა სამეფოსა: ქრისტეს აქეთ. ჩლ. 18...

„და რადგან ცოდვით დაცემულ ადამიანს შვილთა შობა უდიდეს ნუგეშად ექცა, კაცთმოყვარე ღმერთმა სასჯელის შემსუბუქებისა და სიკვდილის შიმის მოსუსტების მიზნით, კაცობრიობას ახალშობილები მოუვლინა, ხატად და იმედად მომავალი აღდგომისა“.

წმ. იოანე იქროპირი

ყოველმა ჩვენთაგანმა კარგად იცის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ადამიანისათვის აღზრდა, რადგან ბავშვობაში შექმნილი თვისებები თუ მიდრეკილებანი, უმრავლეს შემთხვევაში, ჩვენში უცვლელად რჩება. წმ. დიმიტრი როსტოველი ყრმას სახატავად გამზადებულ დაფას ადარებს, რომელზეც ფერმწერის ნებისდამიხედვით კარგი ან ცუდი, წმიდა ან უწმიდური, ეშმაკი ან ანგელოზი გამოიხატება. ბავშვის სულიც ცვილივით ღბილი და მგრძობიარეა და რასაც აღვებქდავთ მასზე, ის სამუდამოდ რჩება, თუ სიკეთეს ვასწავლით. — კეთილად აღიზრდება, ხოლო თუ არა — უკეთურად და გუნურად ჩამოყალიბდება. მაგრამ მარტო კეთილისა და გონივრულის სწავლა როდია საკმარისი; აუცილებელია სუფთა, ცნობისმოყვარეობით სავსე ბავშვი ყოველი მანკიერებისაგან დავიცვაო; აუცილებელია ეს თუ უმსგავსო მაგალითი, ცუდი გარემო თუ გამხრწნელი სანახაობა, რადგან მეცნიერული დაკვირვებებიდანაც კარგად ჩანს, რომ უკვე ორი თვის ასაკიდან ბავშვი ყველაფერს ითვისებს და იმახსოვრებს, რის გამოც თვით ძჭოჭმწოვრებთანაც კი დიდი სიფრთხილე და ყურადღება გვმართებს. განურჩევლად იმისა, ჩვენია ის თუ სხვისი.

მე-19 საუკუნის ერთ-ერთი მქადაგებელი ამბობს: „თქვენ ალბათ შეგიძინევიათ, თუ როგორი ცნობისმოყვარენი არიან ბავშვები, თუ როგორ აღიქვამენ ისინი ყველას და ყველაფერს, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ მათ გაგება სურთ და შემეცნების უნარი გააჩნიათ. და მართლაც, როგორ ახერხებენ ბავშვები ლაპარაკის სწავლას, ან როდის ასწრებენ ამდენი უცხო სიტყვისა და ინფორმაციის დამახსოვრებას? — რა თქმა უნდა, სიყმაწვილეში. და თვით მანკიერებაც რომელსაც ასაკის მომატებასთან ერთად აღმოაჩენენ ხოლმე თავის თავში, განა ბავშვობაში არა აქვთ შექმნილი?“

ხშირად ახალგაზრდას წორჩ ხეს ადარებენ, რომელიც ადვილად ემორჩილება დრეკას და საითაც გადავზრით, გავამაგრებთ, იქით გააგრძელებს ზრდას. ყმაწვილებიც ნერგებივით თვინიერნი და ადვილად დრეკადნი არიან, ამიტომ ვერაფერი გაგვამართლებს ღვთისა და ერის წინაშე, თუ ვდაუდევრობთ და სათანადო ყურადღებას არ ვიჩენთ ბავშვთა აღზრდის საქმეში, რომელსაც დიდმა მღვდელმთავარმა წმ. იოანე იქროპირმა „ხელოვნებათა ხელოვნება“ უწოდა. მაგრამ ისე როგორც ყველა ხელოვნება აუცილებელ სწავლასა და განათლებას მოითხოვს, ასევე სათანადო განსწავლა სჭირდება ყველა იმ ადამიანს, ვინც მშობლის უღელს იტვირთებს და ამ სახით შეუდგება ქრისტიანობას. რადგან „ჩვენ ხომ არა მხოლოდ ფიზიკური გამრავლებით ვხედებით მამები, ან მარტო შვილთა შობით გვემატება ღედები, არამედ კეთილი აღზრდით, სიბრძნითა და ღვთისმოშიშებით“ (ი. ო.). მაგრამ ბუნებრივად იბადება კითხვა; თუ სად შეიძლება ადამიანმა შეიძინოს ის სათანადო ცოდნა და განათლება, რომლის მეშვეობითაც ერსა და ეკლესიას ღირსეულ

თაობას გაუზრდის. ამის პასუხი, ისევე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, საჭიროა წმიდა წერილში მოვიძიოთ, რომელიც უპასუხოდ არ ტოვებს არც ერთ სულიერ თუ ხორციელ საკითხს. აი, რას ამბობს წიგნი მეორე სჯულისა: „ისმინე, ისრაელ: უფალი ღმერთი შენი უფალი ერთ არს. და შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა. და იყვნენ სიტყვანი ესე, რომელთა გამცნებ შენ დღეს დღე, გულსა შენსა და გონებასა შენსა, და ასწავნე ეგე შვილთა მათ შენთა და ეტყოდი მაგათ ჯდომასა სახლსა შინა შენსა და სლვასა გზასა შენსა და სასუენებელსა ზედა შენსა და აღდგომასა შენსა. შეაბნე ესე სასწაულად ხელსა შენსა და იყვნედ ეგე შეურყეველად წინაშე თუალთა შენთა, და დასწერე იგინი ზღურბლთა სახლისა შენისათა, წირხლთა ბჭეთა შენთასა“ (მეორე სჯულისა VII – 4,9).

ცხადია, აქ ღვთის მცნებათა სწავლებასა და მათ აღსრულებაზეა ლაპარაკი, რაც ერთადერთ სწორ გზად შეიძლება ჩაითვალოს ბავშვთა აღზრდის საქმეში, მაგრამ ხშირად გზები ამ სათნოებისა ჩვენთვის მიუწვდომელი და გაუგებარი რჩება. აი, სწორედ ამ მიზეზით, გარდა წმიდა წერილისა, მართლმადიდებელი ეკლესია მამათა სწავლებას გვთავაზობს, რომლებიც მათ პირად ცხოვრებას და გამოცდილებაზე დაყრდნობით სათანადო რჩევა-დარიგებებს გვაძლევენ. ასევე გასათვალისწინებელია ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები, სადაც მათივე ცხოვრება და მოღვაწეობა აღწერილი და ბოლოს მოძღვარი და ცოცხალი ურთიერთობა ეკლესიასთან, რომლის გარეშეც მთელი ჩვენი შრომა და ღვაწლი ამაოდ ჩაივლის. აი, რას ამბობს წმ. ტიხონ ზადონელი: „მებაღე ნერგებს მიწაზე გამაგრებულ სარზე ამაგრებს, რათა ქარმა თუ ავდარმა არ წააქციოს და არ წარწყმოდოს, ხოლო უვარვის ტოტებსა თუ ყლორტებს აცილებს განმობისაგან გადარჩენის მიზნით. ასევე მოექცით ბავშვებს, მიაბით მათი გული ღვთის შიშს, რომ არ შეარყიონ ეშმაკის მანქანებმა, და არ დაატოვებინონ კეთილმსახურება, ამოძირკვეთ მათში ჩასახული ვნებები, რადგან გაიზრდებიან და დაიმონებენ მათ და ჩაკლავენ მათში ახალ სულიერ კაცს, რომელიც ნათლისღებით იშვა. ხომ ხედავთ, თუ როგორც იზრდება ბავშვის ფიზიკურ ზრდასთან ერთად მასში ჩასახული ცოდვებიც და რომ ეს ნაბარტყი არ გაიზარდოს, არ გამყარდეს და არ დაღუპოს ახლად განბანილი, განსპეტაკებული და გამართლებული ადამიანი, აუცილებელია ხანგრძლივი წრთვნა და ხშირი შეგონება. ბავშვებიდან ხომ, მისი აღზრდისდა მიხედვით, თანაბრად შეიძლება ეშმაკი ან ანგელოზი ჩამოყალიბდეს, რადგან აღზრდის კეთილი თესლი მომავალ სიკეთეთა საწინდარია. და რომ თვით უფალი იყოს ჩვენი შემწე და წარმმართველი ამ კეთილშობილურ საქმეში, საჭიროა ხშირი და მხურვალე ლოცვა მშობლებისა, რათა აღიზარდნენ შვილნი ჩვენი „სწავლითა და მოძღვრებითა უფლისათა“ (ეფ. 6,4).

ბავშვის ქრისტიანულად აღზრდის მეთოდებისა და საშუალებების უფრო ღრმად და უკეთესად გაგების მიზნით საჭიროა მოვიგონოთ ძველი ქრისტიანები და გავიხსენოთ, თუ როგორ ზრდიდნენ ისინი ბავშვებს: პირველი საუკუნეების ქრისტიანები არა მარტო იმაზე ზრუნავდნენ, რომ თვითონ მიახლებოდნენ ცათა სასუფეველს, არამედ ყოველ ღონეს ხმარობდნენ შვილების სულის სახსნელად, რათა ისინიც სასუფეველის ძედ წოდების ღირსნი გამხდარიყვნენ. სწორედ აქეთ იყო მიმართული მთელი მათი ძალისხმევა და ქრისტიანული აღზრდა. განათლების უმთავრეს მიზანსაც სწორედ ეს შეადგენდა.

1) უპირველეს ყოვლისა, ძველი ქრისტიანები ცდილობდნენ ბავშვის გონებაში იესო ქრისტეს ცოცხალი შემეცნება აღებუჭდათ, მაცხოვრის სახელს ჩვილი დედის რძესთან ერთად ითვისებდა. ამიტომ დევნულობის ჟამს აღმსარებელთა თუ მოწამეთა რიგებს ბევრი მცირეწლოვანიც ამშვენებდა: ერთმა ქრისტიანმა ბიჭმა მტარვალის კითხვაზე, თუ საიდან გაეცნო ქრისტიანულ

მოძღვრებას ერთ ღმერთს? — ასე უპასუხა: „დედამ შემაგონა, ხოლო თვით მან უფლისაგან ისწავლა სული წმიდით, რათა ჩემთვის აკვანშივე შეეგონებინა ჭეშმარიტება; როცა ჯერ კიდევ დედის რძით ვიკვებებოდი რწმენაც მაშინ მომეცაო“. მაშ, განა კარგად ვიქცევით თანამედროვე მშობლები, როცა გაურკვეველ დრომდე ვვერდზე გადავდებთ ხოლმე რწმენის მაცხოვრებელ შეგონებას და საერთო წეს-ჩვეულებაში კი ბავშვებს თითქმის აკვნიდანვე ვწვრთნით?!

2) მაცხოვრის შემეცნებასთან ერთად ისინი ქრისტეს მაღალ მოძღვრებასაც უნერგავდნენ შვილებს; რწმენის საიდუმლოება იყო ეს თუ ღვთისათვის სათნო ცხოვრების წესი; ასე მაგალითად — სწავლებას ერთ ღმერთზე, საუკუნო ცხოვრებაზე, სიმდაბლის ძალასა თუ წმიდა სიყვარულზე-შეუცვლელი ადგილი ეჭირა. ესაუბრებოდნენ უფლის მიერ სიმდაბლეზე, ღვთის შიშსა თუ მშობლებისა და უფროსების პატივისცემაზე, მოთმინებაზე, პატიებაზე, უბოროტებაზე, მოკრძალებულობაზე, სიმშვიდეზე, მორჩილებაზე, მღუმარებაზე, ქველმოქმედებაზე, თანაგრძნობაზე, უბიწოებაზე და მრავალ სხვა სათნოებაზე;

3) მართალია, ზოგიერთი ქრისტიანი ბავშვის მთელს გონებრივ განვითარებას მხოლოდ წმიდა წერილით საზღვრავდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ახალგაზრდა ქრისტიანთა განათლების წრეში თამამად შეჰქონდა წარმართული სწავლა-მოღვრებები, ამას ეკლესიის ზოგიერთი მამის ფართო და ღრმა ცოდნა ამტკიცებდა ფილოსოფიაში, ისტორიასა და ბუნებისმეტყველებაში, რაც უდაოდ იმაზე მეტყველებს რომ არც ისინი და არც მათი მოსწავლეები არ გაუბრდნენ წარმართულ ლიტერატურას, თუმცა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მათ რწმენასა და კეთილმოქმედებას არ ვნებდა.

მრავალ ქრისტიანულ სასწავლებელსა თუ ოჯახში ბავშვებისათვის ნებადართული იყო პოეზიის, მუსიკის, ფილოსოფიისა და სხვა სამოქალაქო საგნების შესწავლა. წმ. ბასილი დიდი ახალგაზრდებს ყველა იმ პოეტისა თუ ორატორის ნაშრომების შესწავლას ურჩევდა, რომლებსაც სულისათვის სარგებლობის მოტანა შეეძლო, თუმცა კი აღსანიშნავია, რომ ყველა საერო თუ საყოფაცხოვრებო მეცნიერება მეორეხარისხოვან საგანს წარმოადგენდა, პირველი და უმთავრესი კი ყოველთვის ქრისტიანული სწავლება იყო. სხვა დანარჩენიც იმდენად მიიღებოდა, რამდენადაც ის ქრისტიანული აღზრდის მიზანს შეესაბამებოდა. ხოლო ცალკე, მხოლოდ ცნობისმოყვარების დასაკმაყოფილებლად ან წარტო ცოდნის შექმნისა თუ დიდებისა და ანგარების მიზნით, მათი შესწავლა სასტიკად აკრძალული იყო. ყოველ მსგავს შემთხვევაში ისინი ზედმეტ და ხშირად საშიშ საგნებსაც კი წარმოადგენდნენ. — კაცი რომელმაც ყველაფერი იცოდა, მაგრამ ღმერთს არ იცნობდა, უბედურად იყო მიჩნეული, ხოლო ნეტარად — ის ვინც შემოქმედს ცნობდა, თუნდაც სხვა დანარჩენში უვიცი და უმეცარი ყოფილიყო.

4) თვით სწავლის მეთოდი კი ასეთი იყო: დადგებოდა თუ არა ბავშვის სწავლა-განათლების დრო, კითხვის შესწავლას ბიბლიით იწყებდნენ, ხოლო წერის ნიმუშად მის დედნებს იყენებდნენ. თვით რწმენის დოგმატთა თუ ქრისტიანულ მოვალეობათა შესწავლაც ამ საშუალებებით ხდებოდა. ბავშვის გრძნობა თუ აზრი წმიდა წერილით ყალიბდებოდა, მისი სული ღვთისმოსაობასა და კეთილმსახურებას ეჩვეოდა და სიწმიდეს ითვისებდა, რის გამოც მაღალ ღვთაებრივ განცდებს ეზიარებოდა და ყველა საქმიანობა მისთვის მეორეხარისხოვანი ხდებოდა. ნეტარი იერონიმე მოგვითხრობს: „ერთი ქრისტიანი კაცი ბავშვობაში ისე არ მიუჯდებოდა თურმე სუფრას, ბიბლიის მონაკვეთი რომ არ წაეკითხა და არც არასოდეს იძინებდა ისე, ვინმე გარშემომყოფს ამავე ბიბლიის მონაკვეთი რომ არ წაეკითხა მისთვის. ამასვე იმეორებდა დილით; მორჩებოდა თუ არა ღოცვას — ბიბლიას კითხულობდა და მამის მითითებით ხშირად იხეპირებდა კიდევ. და სულ მალე ისე

შეუყვარდა ეს საქმიანობა, რომ კითხვას აღარ სჯერდებოდა და მშობლებს ზოგიერთი ადგილის განმარტებასაც კითხავდა.“ — ბევრი ხვა მაგალითის მოყვანა შეიძლება ძველი მწერლობიდან, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ როგორი გულმოდგინე სწავლის საგანი იყო ბიბლია ბავშვებისათვის და როგორი კეთილკრძალებით ეუფლებოდნენ მას. სწორედ ამიტომ ქრისტიანულ სასწავლებლებს ხშირად წმიდა წერილის შემსწავლელ და ღვთაებრივ მოძღვრებაში გამწვრთნელ სასწავლებლებს უწოდებდნენ, ხოლო ყველა ქრისტიანის სახლს — ეკლესიას.

„თუკი თქვენ გსურთ — ამბობდნენ ეკლესიის მამები, რომ შვილები გემორჩილებოდნენ, განსწავლეთ ისინი ღვთის სიტყვაში, სულს — რომელიც ღვთის ტაძრად არის განსაზღვრული, იმის მოსმენა და ლაპარაკი სჭირდება, რაც ღვთის შიშს აღძრავს მასში.“ წმიდა წერილის შემდეგ ქრისტიანები უპირატესობას მამათა შრომებს ანიჭებდნენ.

5) დროის უმეტეს ნაწილს ისინი ლოცვაში ატარებდნენ და ბავშვებსაც აჩვენებდნენ ამას. შეიძლება ითქვას, რომ მთელი მათი ცხოვრება განუწყვეტელი ლოცვა იყო, ანდა როგორც კლიმენტი ალექსანდრიელი ამბობს: „ზეიმი წმიდა დღესასწაულისა“ ყველა მათი დიდი თუ პატარა, მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო საქმიანობა ლოცვით იწყებოდა და მთავრდებოდა: ტანსაცმლის ჩაცმა-გახდა იყო ეს, თუ სწავლა-განათლება, დაჯდომა-ადგომა თუ შრომა-დასვენება, საზრდელის მიღება თუ ძილი, და საერთოდ ყველა სხვა მდგომარეობასა თუ მოქმედებაში პირველის გამოსახვით ლოცვას ადავლენდნენ. ამ ღვაწლს სრულწლოვნებთან ერთად ბავშვებიც იზიარებდნენ, საზოგადო ლოცვა იყო ეს თუ საოჯახო ღვთისმსახურება, რომელსაც ოჯახის სხვა ყველა წევრთან ერთად, სასლის მამამთავარი აღასრულებდა.

6) პირველი ქრისტიანები ბავშვებს ყველაფერს იმას არიდებდნენ, რასაც მათში ბიწიერი აზრისა თუ მოძრაობის აღძვრა შეეძლო. ისინი არავითარი სახით არ რთავდნენ ბავშვებს საქორწინე სუფრებზე დასწრების ნებას, არც საზოგადო სანახაობებსა თუ თამაშობებზე დაჰყავდათ ისინი, უმაღლავდნენ წარმართი პოეტების მაცდუნებელ თხზულებებს, არიდებდნენ მათ სმენას საერო თუ ვნებიან მუსიკას, ურთიერთობას სხვა სქესთან და ნაცნობობას სამარცხვინო ყოფაქცევის ადამიანებთან. სხეულთან დაკავშირებით აჩვენებდნენ თავდაჭერილობას ტანსაცმელსა და გარეგნულ სამკაულებში, ზომიერებას თავშეკავებულებასა და უბრალოებას საჭმელ-სასმელში.

7) შემოზღუდავდნენ რა ყმაწვილის გულს ყველა გარეგნული თუ შინაგანი საცდურისაგან, კეთილმსახური მშობლები ამავე დროს ყველა იმ საშუალებებს იყენებდნენ, რომლებსაც ბავშვში ქრისტიანული სათნოებებს ჩანერგვა შეეძლო; პირველი ამ საშუალებათაგანი, ზეპირი თუ წერილობითი მოძღვრების შემდეგ, ცხოვრების პირადი მაგალითი იყო, რომელსაც აღმზრდელები თავიანთ კეთილმსახურ სათანო საქციელში ავლენდნენ და ბავშვებს მისაბამად სასურველ გარემოს უქმნიდნენ. „გახსოვდეთ — წერდა ნეტარი იერონიმე მშობლებს — გახსოვდეთ, რომ უკეთესია ბავშვს პირადი მაგალითით ასწავლოთ, ვიდრე სიტყვით“. ცივი აღმზრდელი ის არის, ვინც მხოლოდ სიტყვებით ისაზღვრება, რადგან ეს მასწავლებლისა კი არა, კომედიანტისა და თვალთმაქცის თვისებაა. ამიტომაც მოციქულები ჯერ ცხოვრებით, ხოლო შემდეგ სიტყვებით ასწავლიდნენ ერს. და ძალზე ხშირად სიტყვა არც კი იყო საჭირო. ჭეშმარიტი აღმზრდელი და მასწავლებლები პირადი მაგალითით აღძრავდნენ ბავშვებს საღვთო სიტყვის კითხვაში, მაგალითითვე ასწავლიდნენ ქრისტიანული მოვალეობის შესრულებას. მამისეული სახლის ჭერქვეშ მცხოვრები ბავშვი, თვალნათლივ ხედავდა ყველა იმ სათნოებათა ცოცხალ ნიმუშს, რომელთა შესრულებაც მას მოუხდებოდა; უწყვეტი ლოცვა იყო ეს თუ სოფლის მოძღვრება, დრამა სიმდაბლე თუ ზომიერება, უბიწობა თუ ქველმოქმედება, სამათლიანობა თუ ხიფვარული.

8) ბავშვების სათნოებებში წრთენა ერთადერთი სწორი საშუალება იყო მათში ქრისტიანული კეთილდღეობის ჩვევად ჩამოყალიბებისა, ყმაწვილები ყველგან, ყველაფერში მშობლების თანამონაწილენი იყვნენ. დღისა და ღამის ნებისმიერ დროს ტაძარში თუ სახლში უფროსების გვერდით იდგნენ. ეზიარებოდნენ წმიდა ნაწილებს, სწავლობდნენ ლოცვის წესს საზოგადოა თუ პირადულს. და ყოველივე ამაში ეკლესიას შეუცვლელი ადგილი ეჭირა, სადაც ისინი არა მარტო ღვთის მიმართ ურთიერთობას, არამედ მოყვასის სიყვარულსაც სწავლობდნენ. სწორედ აქ, მორწმუნეთა საკრებულოში, ცოცხალი ურთიერთობით მრევლთან, ისინი ერსა და მრევლზე ზრუნვას ეჩვეოდნენ, ურწმუნოთა და კათაკმეველთათვის ღვთისაგან წყალობასა და შემწეობას ითხოვდნენ, რაც მათ რწმენითა და მაღლით ეძლეოდათ კიდევ.

9) მშობლები უმეტეს შემთხვევაში ბავშვის სწავლა-განათლებით პირადად იყვნენ დაკავებულნი. უპირატესად კი ამ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ოჯახის დედა იღებდა, რადგან ბავშვის მიმართ ის ბუნებით უფრო სათუთი იყო. ამის გამო სხვადასხვა გარეგნულ საქმიანობას ვერ გადაჰქონდა მისი ყურადღება ოჯახური მოვალებიდან, რაც ბავშვთა წარმატებით აღზრდას უზრუნველყოფდა. ნეტარი იერონიმე ერთ კეთილმსახურ დედას წერდა: „შენ თვით უნდა იყო შენი ქალიშვილის დამძღვრელი, შენ უნდა გბაძავდეს მისი გამოუცდელი სიყმაწვილე. არც შენში და არც მამამისში არაფერს მანკიერს არ უნდა ხედავდეს. ბავშვების აღზრდა კეთილმსახურების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს შეადგენდა. ეკლესიის მამები ოჯახის მამებს წესად უდგენდნენ ეკეთებინათ მხოლოდ ის, რითაც სათნოებაში წარმატებოდა მთელი ოჯახი, დედებს კი სახლის სულიერ დაცვას ავალებდნენ. უპირატესად კი თვალყურისდევნებას მათი ზეციური მოვალეობის პირნათლად შესრულებაზე. დედა, რომელიც გულში ქრისტიანულ ცხოვრებას ატარებდა იყო ჭეშმარიტი განმანათლებელი ბავშვებისა, ამ სიტყვის ქრისტიანული გაგებით. თუ რომი და სპარტა განთქმული იყო ზოგიერთი დედის დიდსულოვნებით, ქრისტიანობა უმეტად აღემატებოდა მათ ორიგენს დედის, ოქროპირის, გრიგოლ ნაზიანზელის, გრიგოლ ნოსელის, თეოდორიტეს, აგუსტინეს, კლიმენტი ალექსანდრიელის და ძველი საქრისტიანოს ბევრი სხვა მნათობის დედათა ოჯახური სათნოებით. მოწინავე ქრისტიანები ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ მაგალითი ღვთისმოსავი დედისა განსაკუთრებით ძლიერი იყო. ვისაც ჭეშმარიტი დედობრივი უზრუნველობა განუცდია, ვერ შესძლებს გულაჩუყების გარეშე იმ სიტყვების მოსმენას, რომლითაც ერთმა კეთილმსახურმა მოძღვარმა მარადიულ სამყოფელში გადასულ დედას მიმართა: „მაღლობელი ვარ შენი, უსაყვარლესო დედა! — მე სამუდამოდ შენს წინაშე მოვალედ ვრჩები, როცა გამჩნევი შენს გამოხედვას, შენს საჩუქრებს, შენს შრომას, შენს მაკურთხეველ ხელს თუ შენს ზემ, გამუდმებულ ლოცვას, მაშინ, ძალზე ადრეული ასაკიდან, ყოველთვის თითქოსდა ახლად აღმოცენდებოდა ჩემში — ცხოვრება სულისა. — გრძნობა სათნოებისა, და ამ გრძნობას შემდგომში ვერ ერეოდა ვერავითარი ცნება, ვერავითარი ეჭვი, ვერავითარი საცდური, ვერავითარი მანეშაგალითი, ვერავითარი ტანჯვა, ვერავითარი შევიწროება, და თვით ცოდვაც კი. თუმცა კი თითქმის ორმოც წელზე მეტმა განვლო, რაც შენ დატოვე დროებითი ცხოვრება“.

10) მშობლების შემდეგ, ძველ ქრისტიანებში, პირველი ადგილი ნათლიებს ეჭირათ, რომლებიც თავიდან იყვნენ ღვთის წინაშე ნათლულთა მოძავალი ცხოვრებისათვის, ვიდრემდე ყმაწვილები თვითშეგნების ასაკს მიაღწევდნენ და სრულ მორწმუნედ ჩამოყალიბდებოდნენ. მართლმადიდებელი ეკლესია, ამ მოვალეობას ხელდასხმულ სამღვდლოებას და კეთილმსახურებით გამორჩეულ პირებს ავალებდა. სახლის მასწავლებლად კი ძველი ქრისტიანები სრული ასაკისა და მკაცრი ცხოვრების პატრონებს ირჩევდნენ.

11) ბავშვების აღზრდისას ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას პირველ წლებს უთმობდნენ, რათა წინასწარვე შეემზადებინათ მოზარდი მოსალოდნელი განსაცდელისათვის, რომელიც მას გონების და ნების სრულ ჩამოყალიბებამდე მოელოდა. ცხოვრების კარიბჭიდანვე სწორი მიმართულების მიცემა, მანკიერებათა მოკვეთა, ბავშვში სიკეთეს აბატონებდა და სულ მალე მის თვისებად და ბუნებად აქცევდა. ზეციურ მამასაც სწორედ ეს სურდა, რომ ყველა ასაკი სათნოებაში სრულყოფილი ყოფილიყო, გამონაკლისის გარეშე. ასე რომ, თვით მცირეწლოვანებსაც კი ცოდვაზე გამარჯვება აზიმა. ადრეული აღზრდა ადრეულ ნაყოფსვე იღებდა, და სწორედ ამიტომ ძველ დროში ქრისტიან ბავშვს ის სულიერი ძალა, ვაჟკაცობა გააჩნდა, რომ მტანჯველის წინაშე თამამად წამდგარიყო, ეღიარებინა სარწმუნოება იესო ქრისტესი და მისი სახელისათვის მოწამეობრივი სიკვდილი მიეღო.

მასალა მოამზადა გონა ოდიშელიძემ
სასულიერო აკადემიის II კურსის სტუდენტი



მესმა კმისა შენისაჲ და შემეშინა, რამეთუ სულ-გრძელ იქმენ მონისა მიერ განსყიდასა...
ვეცხლი ურჩულოთაგან რაჲ მოიღო იუდა, იკადრა მიცემაჲ შენი, მაცხოვარო სოფლისაო.
სულ-გრძელეგაჲ მაცხოვრისაჲ იხილა იუდა, მიჰყიდა უსასყიდლოჲ იგი მის თანა-მონათა
მოკლვად.

გვეედრებით შენ მეოხებითა მოციქულთა შენთაჲთა ცხორებისა ჩუენისათუის მშუიღობა-ყავ,
ვითარცა ღმერთი ხარ და კაცთ მოყუარე.

სამკლესიო კალენდარი

ადამიანი იმდენად არის ქრისტიანი, რამდენადაც სწამს ქრისტე და ცდილობს თავის ცხოვრებაში მიაღწიოს ქრისტესთან ერთობას. ქრისტესმიერი ერთობის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა ქრისტიანული დღესასწაულები. ქრისტიანული დღესასწაულები არის უმნიშვნელოვანესი დღეები იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრებისა, რომლის დროსაც განცხადდა ღმერთის სიყვარული, მოწყალეობა, კაცთმოყვარეობა, სულგრძელობა, თავდაბლობა, სიმშვიდე, ძლიერება და ნათელციცკროვნება. იესო ქრისტეს უდიდესი დღესასწაულებია მისი შობის, ტაძრად მიყვანების (მირქმის), ნათლისღების, ჭერისცვალების, იერუსალიმში დიდებით შესვლის, ჯვარცმის, მკვდრეთით აღდგომის და ამაღლების დღეები. მოველით მის მეორედ მოსვლის დღესაც. ამ დღეებიდან წმიდა წერილში ზუსტად დათარიღებული არის მხოლოდ იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე. ეს დღე არის ებრაელთა პასექის მომდევნო ერთშაბათი, რომელსაც ჩვენ კვირას ვუწოდებთ (რაც ბერძნულად უფლის დღეს ნიშნავს). დანარჩენი დღესასწაულების თარიღები შეტნაკლებად პირობითად არის მიღებული, მათ შორის იესო ქრისტეს შობის დღეც, თუმცა, სახარებაში მიახლოებით მინიშნებულია მისი ეამი. წმიდა წერილი გვაუწყებს, რომ თავარანგელოზის მიერ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარება აღესრულა იოანე

ნათლისმცემლის დედის, ელისაბედის მუცლადღებიდან ექვსი თვის შემდეგ. IV ს. დასაწყისში მსოფლიო კრებაზე ერთიანი საეკლესიო კალენდრის საფუძვლად დადგენილ იქნა რომის იმპერიაში იულიუს კეისრის დროს მიღებული კალენდარი. მიუხედავად ამისა, იმპერიის სხვადასხვა კუთხე ინარჩუნებდა თავის კალენდრულ ტრადიციებს, რაც გარკვეულ გავლენას ახდენდა საეკლესიო დღესასწაულების აღნიშვნაზე. I მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაადგინა საზოგადო წესი იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის აღნიშვნისა, მისი შობის აღნიშვნის დღედ კი დააწესა 25 დეკემბერი. 343 წ. რომის ეკლესია ფაქტიურად წინ აღუდგა ნიკეის კრების მოთხოვნებს კალენდრულ საკითხში. რომმა მხოლოდ VI ს. მიიღო პასქალიის დადგენილი წესი, მთელ ქრისტიანულ სამყაროში კი დღესასწაულთა ერთსულოვანი აღნიშვნა კარლოს დიდის დროიდან დაიწყო (IX ს.). 1054 წ. საეკლესიო სამყაროში მომხდარი განხეთქილების შემდეგ, რომი აღმოსავლეთი ეკლესიებისადმი დაპირისპირების გზას დაადგა და ერთიანი ეკლესიის სწავლა-მოდერებისაგან განსხვავებული ახალი დებულებები მიიღო. V საუკუნის შემდეგ, XI ს. ეს დამოკიდებულება საეკლესიო კალენდარსაც შეეხო. პაპი გრიგოლ XIII მიერ შემოთავაზებული კალენდრული რეფორმის გამომწვევ მიზეზად დასახელებული იყო იულიუსის კალენდრის მცირე უზუსტობა,

რომელიც, სხვათა შორის, უკვე IV ს.-შიც კარგად იყო ცნობილი. კონსტანტინეპოლის ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ, რომელსაც ესწრებოდნენ ალექსანდრიისა და იერუსალიმის პატრიარქები და სხვა ეკლესიათა მღვდელმთავრები, განიხილა პაპის მიერ შემოთავაზებული რეფორმა და მიუღებლად მიიჩნია იგი I მსოფლიო კრების მიერ დადგენილი პასქალის გამოთვლის წესის დარღვევის გამო. ეს წესი გულისხმობს სახარებისეული ქრონოლოგიის დაცვის აუცილებლობას ყველა ქრისტიანისთვის და კერძოდ, იესო ქრისტეს აღდგომის აღნიშვნას ებრაელთა პასექის შემდეგ, რაც ხშირად ირღვევა გრიგორიანული კალენდრის მიხედვით.

იულიუსისა და გრიგორიანული კალენდრის ზოგადი შედარებითი განხილვისას, პირველყოვლისა შევეცადოთ გავარკვიოთ, თუ რას გულისხმობს საკუთრივ კალენდარი. კალენდრის ძირითადი დანიშნულებაა დროის მოდელის გამოსახვა, დროის რიტმის გადმოცემა. თავისი ბუნებით იგი არ შეიძლება მიეკუთვნოს მხოლოდ მეცნიერების სფეროს და განხილულ იქნეს, როგორც მექანიკური მათემატიკური გამოთვლათა სისტემა. კალენდარი თავისი უმეტესი სიღრმისეული თვალსაზრისით, ასაჩინოებს დროის რელიგიურ-ფილოსოფიურ არსს და რიცხვებით მეტყველებს მისი საიდუმლოებრივი შინაარსის შესახებ. მათემატიკა მიჩნეულია თეორიული ფილოსოფიის ერთ-ერთ სახედ. იგი არის შემეცნება იმისა, რაც თავისთავად არამატერიალურია, მაგრამ სხეულებრივი ფორმით მოიაზრება. მათემატიკა მოიცავს

ართმეტიკას, მუსიკას, გეომეტრიასა და ასტრონომიას. მას შუალედური ადგილი უჭირავს მატერიალურ და არამატერიალურ სამყაროს შორის. კალენდარი არის მათემატიკასთან დაკავშირებული სისტემა, რომელიც არითმეტიკის ენით აცხადებს დროის კატეგორიას. მისი უმთავრესი თავისებურებაა რიტმი. რიტმი არის ერთ-ერთი უმთავრესი თვისება მშვენიერებისა. იგია ნიშანი სიცოცხლისა, წესრიგისა, კოსმოსისა. ნეტარი ავგუსტინე წერს, რომ ადამიანს გააჩნია თანდაყოლილი რიტმი, ინტელექტის მუდმივი რიტმი, რომელიც უმთავრესია და რომლის გარეშეც ვერ განხორციელდება აღქმა რიტმისა და ადამიანი ვერ შექმნიდა ვერაფერს. სადაც არ არის რიტმი, იქ არ არის სიცოცხლე და წესრიგი. ამგვარად, კალენდარი დრმა ფილოსოფიურ შინაარსს მოიცავს. ფილოსოფია, როგორც სიყვარული სიბრძნისა, თავისი უმაღლესი გამოვლინებით ღვთის სიყვარულს გულისხმობს, რამდენადაც ღმერთია ჭეშმარიტი და უზენაესი სიბრძნე. კალენდარი ბიბლიურ სწავლებაში უნდა იღებდეს დასაბამს და ღვთისმსახურების, წმიდა წერილის მარადიული განხორციელების რიტმთან იყოს შეთანხმებული. მართლმადიდებელ ავტორთა სწავლებით, იულიუსის კალენდარის ციკლური ხასიათი სრულ ჰარმონიაშია საეკლესიო ღვთისმსახურების რიტმთან. თავისი ბუნებით იგი კოსმოცენტრულია, მთელი კოსმიური სივრცის მაჯისცემას გადმოცემს და მრავალ ასტრონომიულ ფაქტორს ვერდნობა; გრიგორიანული კალენდარი ამ თვალსაზრისით შეუდარებლად ღარიბია; იგი მოკლებული

რელიგიურ-ფილოსოფიური შინაარსის სიღრმისეულობას; მას არ ახასიათებს ციკლურობა; პერიოდების ხანგრძლივობის გამო იგი თითქმის სწორხაზოვნად ვითარდება. გრიგორიანული კალენდარი ნაკლებ კოსმოლოგიურ ფაქტორს ითვალისწინებს, მოკლებულია მისტიურობას და ფორმალურ ხასიათს ატარებს. ამგვარად, დროის თვისებებიდან იულიუსის კალენდარი ირჩევს მის ციკლურ ხასიათს, რამდენადაც ციკლურობა არის უმნიშვნელოვანესი თვისება ხალმრთო ისტორიისა. წმიდა წერილის სახეობრივი მეტყველება პირველსახეებით აზროვნებას ითვალისწინებს. ძველი აღთქმა წინასწარმეტყველების სახით თავის თავში მოიცავს ახალი აღთქმის ისტორიას. ხოლო ახალი აღთქმა აღსრულებას იმ წინასწარმეტყველებებისა იგი სულიერად განმარტავს ძველი აღქმის მოვლენებს. თითოეული ქრისტიანის მაცხოვრებელი გზა იესო ქრისტეს ჯვრის ტვირთვას ითვალისწინებს. ქრისტიანი უნდა იშვას იესო ქრისტეში; ჯვარს უნდა აცვას თავისი ცოდვილი ბუნება და ახალ სულიერ ადამიანად აღსდგეს, რათა ღმერთის წიაღში მარადიული ნეტარების ღირსი შეიქმნას. ამგვარად, ციკლურობა არის აუცილებელი ნიშანი სულიერი არსებობისა, ხოლო მისი უგულებელყოფა მიწიერი, პრაგმატული აზროვნების თვისებაა. იულიუსის კალენდარი წარმოადგენს დროის იკონოგრაფიულ გამოსახვას, მას უწოდებენ დროის ხატს, ხოლო გრიგორიანული კალენდარი გარკვეული რაკურსით შექმნილ პორტრეტს გვაგონებს. და ალბათ, არ არის შემთხვევითი, რომ

დასავლეთის აღორძინების წიაღში იშვება დროის გამოსახვის ასევე რენესანსული მოდელი. იულიუსის და გრიგორიანული კალენდრის არსობრივ სხვაობას ცხადად ასაჩინობს ქრისტიანული ხატისა და აღორძინების პორტრეტის შედარებითი განხილვა. ხატი, რომელიც ქრისტიანული ეკლესიის წიაღშია შექმნილი და საეკლესიო ღვთისმსახურების ნაწილია, ღვთიურ პირველსახესთან აზიარებს მხილველს, რომელიც მასთან მიმართებაში ლოცვითი დამოკიდებულებით იმსჯვალება. ხატი გამო-რიცხავს ყოველივე შემთხვევითსა და გრძნობისმიერს. ხატმწერი, რომლის სახელიც საკვებით კანონზომიერად არ არის ცნობილი, სულიერ საწყისსა და მარადიულს ეძიებს. მისი მხატვრული თავგანწირვა, პირველყოვლისა სულიერი განწმედაა და ეკლესიისადმი მორჩილება. იგი სწორედ ამ ნებაყოფლობითი მორჩილებითაა თავისუფალი და დაზღვეული შეცდომებისგან. იგია ნაწილი, წვერი ეკლესიისა. იგი არ შეიძლება იყოს ავტორი ხატისა, რამდენადაც შეუძლებელია ადამიანმა გამოსახოს ღვთაებრივი არსი. მისგან განსხვავებით, აღორძინების ავტორის ხელი ინდივიდუალურად მოქმედებს და საკუთარ შეხედულებებს ავრცელებს. იგი არის მორჩილი საკუთარი გამოცდილებისა. მის მიერ შექმნილი გამოსახულება გრძნობისმიერია, თუმცა იგი უპირატესი სიზუსტით გამოირჩევა, მაგრამ არ უნდა დაკვიფიყოთ, რომ ამ შემთხვევაში სიზუსტე მეტად ფარდობითი ცნებაა; იგი დამოკიდებულია იმაზე, თუ რას მივიჩნევთ ათვლის სისტემად, მარადიულ თუ ჟამიერ

კატეგორიებს. ცოდვით დაცემული ადამიანის შემეცნება ძლიერ დასცილდა საგანთა პირველქმნილი არსის აღქმას, მას აღარ ძალუძს თავი აარიდოს შეცდომას. ცხადია, უმეტესად პირობითია დროის გამოსახვის სიზუსტეზე საუბარი.

ლიტურგიკული დრო არ არის სწორ-ხაზოვანი, იგი წრიული ხასიათისაა. ამით, თავის მარადიულობასთან კავშირის შესახებ მიუთითებს და ადამიანის ცნობიერება გამოჰყავს მიღვევადი და გარდამავალი სუბიექტური დროის სტიქიიდან. იულიუსის კალენდარი არის საეკლესიო კალენდარი, რომელიც სინქრონულად ასახავს საღვთისმსახურო ცხოვრებას. ცოდვით დაცემის შემდგომ, როდესაც ხორციელი გაბატონდა მშვინეიერზე, ხრლო მშვინეიერი სულიერზე, ბუნებისა და ცნობიერების დარღვეული პარმონია იესო ქრისტეში იქნა აღდგენილი. მაცხოვარმა განაღმრთო ადამიანი და სიკვდილის მეუფებიდან გამოიხსნა იგი. ბიბლიური სწავლებით უძველესი დროიდან კოსმოსი აღიქმებოდა, როგორც ლიტურგიკული ორგანიზმი: „ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა და ქმნილსა ხელთა მისთასა მიუთხროს სამყარო“ (ფსალმ. 18,1). როგორც პავლე მოციქული ბრძანებს, ეკლესია არის სხეული იესო ქრისტესი. ეკლესიაში ადამიანი ხდება ნაწილი ამ სხეულისა. ტაძრული მთლიანობის განცდა არღვევს დროისა და სივრცის საზღვრებს და შესაძლებელს ხდის ადამიანის მიერ უზენაესთან ერთობის შეგრძნებას.

ახალი და ძველი კალენდარის მეცნიერული განხილვა შეუძლებელია სპეციალური ცოდნის გარეშე. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი სხვადასვა საფუძველზე დგანან და მათი უშუალო შედარება არ არის მართებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მოქმედებს ჯგუფი, რომელიც კვლავ მუშაობს ახალი კალენდრის შექმნაზე, რამდენადაც გრიგორიანული კალენდარიც ნაკლებოვანია სიზუსტის თვალსაზრისით. ზემოთ შევეცადეთ ზოგადი სახით წარმოგვედგინა ის ძირითადი ასპექტები, რომელიც კალენდრის ფილოსოფიურ მხარეს ითვალისწინებს. პრაქტიკული თვალსაზრისით იულიუსის კალენდრის კრიტიკოსები მის მთავარ ნაკლად მიიჩნევენ 150 წ. მანძილზე დაახლოებით ერთი დღით ჩამორჩენას, რის გამოც თვეების და კლიმატური პერიოდების შესატყვისობა რამდენიმე ათასი წლის შემდეგ დაკარგავს თავის პირველსახეს, კერძოდ, ზამთრის თვეები თანდათანობით გადაინაცვლებს გაზაფხულისაკენ; რამდენად აქტუალურია ეს საკითხი დღეს, როდესაც გვაქვს სამწუხარო მაგალითები საეკლესიო განხეთქილებისა კალენდრის გამო: მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ დედამიწის სამხრეთ ნახევარში ზამთრის თვეები კლიმატურად ზაფხულს შეესატყვისება, ე. ი. მთლიანობაში დედამიწისთვის ეს შესატყვისობა პირობითია. არსებობს მეორე პრობლემა, უფრო ვიწრო და მერკანტილური: იმ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლებამ მიიღო გრიგორიანული

კალენდარი, მორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანები თითქოს წინააღმდეგობაში ექცევიან საზოგადოებასთან, რამდენადაც ეკლესია იულიუსის კალენდრის საფუძველზე აღნიშნავს საეკლესიო დღესასწაულებს. უპირველეს ყოვლისა, ეკლესიის კომპეტენციის საკითხია, თუ რომელი კალენდრის მიხედვით აწესრიგებს იგი თავის შინაგან ცხოვრებას. მეორეს მხრივ, ჩვენ საკმარისი მაგალითები გვაქვს იმისა, თუ როგორ არის შესაძლებელი საზოგადოებრივი და საეკლესიო ცხოვრების შეთანხმება მაშინ, როდესაც სახელმწიფოში მიღებული კალენდარი განსხვავდება საეკლესიო კალენდრისაგან — ესენია მაჰმადიანური ქვეყნები, ისრაელი და სხვა. როგორც ვიცით, საქართველოში გრიგორიანული კალენდარი შემოღებულია ათეისტური ხელისუფლების მიერ და ამ აქტმა თავისი როლი ითამაშა ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. კალენდრის პრობლემის დაყენება ძირითადად შობის აღნიშვნის თარიღთან დაკავშირებით იწვევს წინ. არაეკლესიური ადამიანებისათვის, რომელთათვისაც არ არის ცნობილი საეკლესიო კალენდრის მნიშვნელობა, გაუგებარი რჩება, რატომ აღნიშნავს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია შობას 7 იანვარს და არა 25 დეკემბერს. როდესაც პარალელურად არსებობს ორი განსხვავებული ათვლის სისტემა, მათმა დაუფიქრებელმა პროექტირებამ ერთმანეთზე შეიძლება აბსურდამდე მიგვიყვანოს. 7 იანვარი გრიგორიანული კალენდრით ხომ მართლმადიდებლური კალენდრის მიხედვით 25 დეკემბერია. ყოვლად კურიოზულად ყდერს ის

მოსაზრება, თითქოს ეკლესიის ერთგულება ძველი კალენდრისადმი მისი ჩამორჩენილობის ნიშანია. განა უწოდებს ვინმე ჩამორჩენილს ებრაელ ერს, რომელმაც სხვადასხვა ერში და სახელმწიფოში ყოფნისას საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნა სინაგოგაში თავისი კალენდარი; თუ პირიქით, შინაგანმა სიმტკიცემ და ტრადიციებისადმი ერთგულებამ ჩამოაყალიბა მათი ეროვნული სახე? ამგვარად, ვინც აღიარებს თავს მართლმადიდებლად, მართლმადიდებლური ეკლესიის მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას უნდა გამოუცხადოს ნდობა და იყოს მისი ერთგული შვილი. დღეს, როდესაც სამყაროს მექანიზება სასტიკ სტადიაში შევიდა და ცივილიზაცია უღმობელ მანქანად იქცა, როცა ადამიანს აღარ ძალუძს შეარჩეროს მისი გამალებული სრბოლა და გამატერიალურებული კატეგორიები და გაკერპებული რაციონალიზმი ეკლესიაში შეღწევას ლამობს, განსაკუთრებული სიფიხიზლე გვმართებს. დროის კალენდრული დაყოფა თითქოს ასაჩინობს იმ გაორებას, რომელიც თითოეულ ჩვეგანში არსებობს. გაორებულია ადამიანი, გაყოფილია მისი არსება, თითქოს ქვის კედელია აღმართული მის გონებასა და გულს შორის. ახალი დროის რიტმი ნაკლებ შესაძლებლობას აძლევს მას ჩაიხედოს საკუთარ გულში, დაფიქრდეს მარადიულობის შესახებ. ხოლო ეკლესია არის ადგილი, სადაც ხორციელდება ადამიანის გათავისუფლება ცოდვის ტყვეობიდან, სადაც აღსდგება მისი არსების დარღვეული ჰარმონია და მისი ურთიერთობა ყოვლისშემოქმედთან. იგი არის ხსნის კიდობანი, ზეციური სასუფევლის

სახე ხილულ სამყაროში. ბიბლიური ისტორია გვაძლევს სასტიკ გამოცდილებას იმისა, თუ როგორია ხვედრი მისი, ვინც ჭეშმარიტებას უგულებელყოფს. ასი წლის განმავლობაში აშენებდა ნოე კიდობანს და ქადაგებდა წარღვნის შესახებ, მაგრამ არავინ ისმინა მისი. წმიდა წერილი გვასწავლის, რომ მაცხოვარმა შეიყვარა ეკლესია და წმიდაჰყო იგი. მან დააფუძნა იგი ჯოჯოხეთისაგან დაურღვეველად ქვეყნის დასასრულამდე.



უფლისაჲ ადგომამ გუახარა ჩუენ ანგელოზმან, რომელი გარდამოკდა ზეცით ხატითა ბრწყინვალითა, რომელმან თქუა: ცხოველი იგი აღდგომილ არს, რომელსა ეძიებთ ცხოველსა მას მკუდართა თანა, სძლო სიკუდილსა და ჯოჯოხეთსა, რამეთუ, რომელნი-იგი ადამისითგან მომწყუდარ იყვნეს, აწ ქრისტეჲს მიერ ცხოველ არიან ყოველნი.

მარტვილის დღესასწაულისათვის

ძველ ქართულ ლიტურგიკულ და ჰომილეტიკურ ძეგლებში მარტვილის სახელწოდებით ცნობილია მკერგასის დღესასწაული – სულიწმიდის გარდამოსვლა ქრისტეს მოციქულებზე.

როგორც „საქმე წმიდათა მოციქულთა“ მოგვითხრობს, აღდგომის შემდეგ იესო ორმოცი დღის განმავლობაში ეჩვენებოდა თავის მოწაფეებს და ამცნებდა: „იერუსალემით ნუ განუშორებით, არამედ მოელოდეთ აღთქმასა მამისასა, რომელი გესმა ჩემგან“ (1,4; შდრ. ლუკა 24, 49; იოანე 14, 16-26). სახელდობრ, მოციქულებმა მიიღეს აღთქმა, რომ „არა მრავალთა ამით დღეთა შემდგომად“ შეიმოსებოდნენ სულიწმიდის ძალით: „მოიღოთ ძალი მოსლგასა სულისა წმიდისასა თქუენ ზედა, და იყენთ ჩემდა მოწამე იერუსალემს და ყოველსა ჰურიასტანსა და სამარიასა, და ვიდრე დასასრულადმდე ქუეყანისა“ (საქმე მოც. 1,8).

ეს აღთქმა შესრულდა მკერგასე (ორმოცდამეათე) დღეს. მოციქულები ერთად იყვნენ შეკრებილნი და უეცრად მოესმათ „ზეცით ოხრა, ვითარცა მოწვევა ქარისა სასტიკისა, და აღავსო ყოველი იგი ხახლი, სადა იგი იყვნეს მსხდომარე. და ეწუნენ მათ განყოფანი ენათანი, ვითარცა ცეცხლისანი, და დაადგრა თითოეულად კაცად-

კაცადსა მათსა ზედა. და აღივსნენ ყოველნი სულითა წმიდითა და იწყეს სიტყუად უცხოთა ენათა, ვითარცა სული იგი მისცემდა მათ სიტყუად“ (საქმე მოც. 2,2-4).

ამრიგად, მკერგასე დღის ძირითადი შინაარსი ყოფილა: 1. იესუ ქრისტეს მიერ აღთქმის შესრულება სულიწმიდის მოვლინების შესახებ. 2. მოციქულების „აღვსება სულითა წმიდითა“ და „განყოფანი ენათანი“.

დღესასწაულის შინაარსს საკვებით შეესაბამება მისი სახელწოდება – სულიწმიდის გარდამოსვლა („მოსლგაჲ სულისა წმიდისაჲ“, ხალხურად – „სულთმოფენობა“), მაგრამ დღესასწაულის ასეთი დასახელება ქართულ საღმრთისმსახურო პრაქტიკაში შედარებით გვიან (X-XI სს.) იკიდებს ფეხს. უძველესი ქართული წყაროების მიხედვით მას მარტვილია (მარტკლია, მარტკრია) ჰქვია. მხოლოდ ასეთი სახელწოდებით გვხვდება იგი VII საუკუნის „იერუსალიმურ განჩინებაში“¹, უძველეს იადგარში², რომლის ჩამოყალიბებას არა უგვიანეს VII ს. შუა წლებისათვის ვარაუდობენ³, იოანე-ზოსიმეს (X ს.) „კრება“-ში⁴, გიორგი მთაწმიდელის „დიდ სენაქსარში“⁵, XI ს-ის საწელიწდო სამოციქულოში⁶, ქართული ეგზოლოგიონის იმ ნაწილში, რომელიც უძველეს ლიტურგიკულ ვითარებას ასახავს⁷, აგრეთვე ამ დღესასწაულისადმი მიძღვნილ ჰომილიებში, რომლებიც XI საუკუნემდე ითარგმნა. ასეთებია:

1 „წმიდასა კრიაკსა დღესა მარტკლიასა“... „დღესა ორშაბათსა შემდგომად მარტკლიასა“... „შემდგომად მარტკლიასა დღესა ოთხშაბათსა“... [K. Кекелидзе, Иерусалимский канонарь VII века, Тифлис, 1912, 108-110].

2 „მე-ზ-სა კურაესა მარტკლიასა“... „დასდებულნი მარტკრიასანი“... „მარტკლიითგან მე-ზ-სა კურაესა“... (უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მებრეველმა, ც. ჭანიკევა და ლ. ზევსურაძემ, თბ., 1980, 245, 255, 347; იხ. აგრეთვე: ჭოღერატის იადგარი, გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს ა. შანიძემ, ა. მარტიროსოვმა და ა. ჯიშიაშვილმა, 1977, 135).

3 უძველესი იადგარი, 688.

4 კ. აკეპლიძე, იოანე ქართველის კალენდარი, ეტიულები... V, 1957, 280. იხ. აგრეთვე იოანე ზოსიმეს მიერ შედგენილი ლიტურგიკული კრებული Sin. 34, 73r.

5 H 2211, 377r, Ath. 30 (28). იხ. ქართულ ზეღნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I, 1986, 88.

6 Sin. 10. იხ. ქართულ ზეღნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, III, 1987, 9.

7 ასეთებს უნდა მიეკუთვნოს „ერის განტყვევა ყოველთა საუფლოთა დღესასწაულთა“, რომელთა შორის დასახელებულია „ერის განტყვევა მარტკლიასა“ (A 450, 593 r. იხ. ქართულ ზეღნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის კოლექციისა, ტ. II, ელ. მებრეველის რედ., 1986, 143-144), ასევე „ყოველთა დღესასწაულთა კურეჟისნი“ და მათ შორის „კურეჟისნი მარტკლიისა || მარტკრისა (Sin. 54, 23rv, Sin. 12, 20v - 21r. იხ. ქართ. ზეღნა. აღწ., სინური კოლექცია, III, 1987, 35, 59). საგულისხმოა, რომ ევთუბე მთაწმიდელი მის მიერ თარგმნილი დიდი კურთხევანის ერთ-ერთ თავს ასეთაურებს: „თქუმელი წმიდისა ბასილისი, კესარიელ მთავარებისკაოზისა, მარტკლიისა მწუნისათვის“ [S 143, 279; იხ. K. Кекелидзе, Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Тифлис, 1908, 36].

1. საკითხავნი მარტკლიისანი: ა) თქუმული იოვანე მთავარეპისკოპოსისა, დღისა მისთვის, რომელსა მოვიღინა სული წმიდა. ბ) მეორე, თქუმული კვრილე მთავარეპისკოპოსისა იერუსალემელისა, რაჟამს იგი მოვიდა წმიდათა მოციქულთა ზედა სული წმიდაა⁸.

2. თქუმული წმიდისა სევერიანე გაბალონელ ეპისკოპოსისა მარტკლიისათვის⁹.

3. გრიგოლ ნაზიანზელის „დღისა მისთვის მეერგასისა, რომელ არს მარტკლია“¹⁰.

დღესასწაულის სახელად „მარტკლიას“ ვხვდებით „საქმე მოციქულთას“ აღწერილ ვერსიაში (20,16), პავლე მოციქულის ეპისტოლეში (I კორ. 16,8), „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდულ ხელნაწერში, იმ ადგილას, სადაც აღწერილია „აღმართებაჲ პატიოსნისა ჯუარისა მცხეთისაჲ“¹¹ და სხვა მრავალ წერილობით წყაროში.

საქართველოში მარტკლის, როგორც ტერმინის, გავრცელების კიდევ ერთ დასტურად გვესახება ქალაქი მარტვილი (ყოფილი გეგეჭკორი), რომელმაც სახელი მარტვილის სახელზე აშენებული ტაძრისაგან (VII ს.) მიიღო¹².

XI საუკუნიდან ტერმინი მარტვილია სულ უფრო იშვიათად გვხვდება, მას კონკურენციას უწევს და თანდათანობით ხმარებიდან დევნის „მეერგასე“, „მეგრე კვრიაკე“ და „მოსლვაჲ სულისა წმიდისა“.

„მარტკლის“ განდევნა ერთბაშად არ მომხდარა. ჯერ დაიწვეს ტერმინების პარალელური ხმარება; სადაც „მარტკლიას“ იტყობენ (მაგალითად, ძველი თარგმანების გადანუსხვისას), იქვე დასძენდნენ ან „მეერგასეს“, ან „მოსლვაჲ სულისა წმიდისა“-ს. მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითს:

1. 1052 წლის სინურ ტრიდონში (Sin5)¹³ წერია: „მერგესა კვრიაკესა, მარტკლიაჲ, მოსლვაჲ სულისა წმიდისაჲ“ (351v) და იქვე: „მარტკლიისა შაბათსა“... (349v), „კვრიაკესა შემდგომად მარტკლიისა“ (371 v). ამრიგად, ერთი და იგივე დღის აღსანიშნავად პარალელურად ნახმარია სამი სახელი: „მერგე კვრიაკე“, „მარტკლია“ და „მოსლვაჲ სულისა წმიდისა“. ამათგან პირველი – ტექნიკური ტერმინია (ასეთივე ტექნიკური ტერმინია „მეერგასე“), მეორესა და მესამეს კი პრეტენზია აქვთ დღესასწაულის შინაარსი გამოხატონ. „მოსლვაჲ სულისა წმიდისა“ რომ ნამდვილად გამოხატავს დღესასწაულის შინაარსს, ეს ზემოთ უკვე ვხედავთ, ხოლო რამდენად გამოხატავს ამავე შინაარსს „მარტკლია“, ამის გარკვევას ქვემოთ შევეცდებით.

2. XII-XIII ს-ის „მეტაფრასში“ (A140), სადაც შეუტანიათ იოანე ოქროპირის ერთ-ერთი „შესხმა“, ვხვდებით „მარტკლის“ ხსენებას: „მიერითგან, ვინაითგან

8 სინური მრავალთავი 864 წლისა, აკ. შანიძის რედ., 1959, 181-190. იხ. აგრეთვე: კ. კაქელიძე, ეტრუღები... V, 90; Michel van Esbroeck, Les plus anciens homéliaires Georgiens, Louvain, 1975, 92 (Ath.), 129 (S), 168 (K).

9 კლარჯული მრავალთავი (A 144, 131v-136r), გამოხატულად მოაშადა თ. მგალობლიშვილმა.

10 A1, 48v-62v. იხ. გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შეადგინა თ. ბრეგვაძემ, 1988, 64.

11 შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოხატულად მოაშადას ბ. გვირიტიშვილმა და ელ. გუნაშვილმა, 1979, 351. იხ. აგრეთვე: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. I, 1955, 122; სოლ. ყუბანიშვილი, გრიგოლ დიაკონი და მისი თხზულება, ლიტერატურული ძიებანი, II, 1945, 311-324; X ს. იაღვარში (Sin. 64) გვხვდება შენიშვნა: „შემდგომად მარტკლისა ოთხშაბათსა ქართლს ჯუარისა“... (158r). იხ. აგრეთვე Sin1, 144r.

12 რადგან „მარტვილი“ ბერძნული სიტყვაა და წამებულს ნიშნავს, ამიტომ მიჩნეული იყო, თითქოს მარტვილის ეკლესია მარტვილთა (მოწამეთა) სახელზე აუშენებიათ (ქსე, ტ. VI, 458), მაგრამ, ვფიქრობთ, ასეთი მოსაზრება დამაჯერებელი არ არის: თითოეული ტაძარი შენდებოდა კონკრეტული წმინდანის სახელზე, და არა ზოგადად, ვთქვათ, მოწამეებისა, ღირსი მამებისა და ა. შ. მაგალითად, მოწამეთა (ქუთაისთან) დავით და კონსტანტინეს სახელზე აგებული, ღობნის (თეთრიწყაროს რ-ნი) „ორმოცი მოწამის“ ეკლესია – სებასტიის ტაძარზე წამებულთა საპატივსაცემოდ და ა. შ. ქუთაისის „მოწამეთ“ და ღობნის „ორმოცი მოწამის“ ამ შემთხვევაში სრულად კონკრეტული შინაარსი აქვთ. მარტვილის ეკლესიის სახითაც რომ მსგავსი შემთხვევა გვექონოდა, მაშინ „მარტვილი“ რომელიმე მოწამის ზედწოდება უნდა ყოფილიყო (მაგ.: თეოდორე ტირანი, დემეტრე თესალონიკელი, თეოდორე სტრატელატორ, სტეფანე პირველმოწამე, ანასტასია მწამლველობათა დამხსნელი და სხვ.). მაგრამ ასეთი ზედწოდება მთელ ქართულ საეპარქიოში არც ერთ მოწამეს არ გააჩნია. ამა თუ იმ მოწამის „მარტვილობას“ გაცრით აღნიშნავს ხოლმე ზოგიერთი საეპარქიო (მაგ. იაკობ ზუცესი „შუშანიკის წამებაში“), ზედწოდება კი არ უსაკუთრებს. უფრო ნაკლებ ანგარიშგასაწევი უნდა იყოს მარტვილის ხალხური ეტიმოლოგია: „მარტვილი“ (მეგრ.) – „მე მოკვალ“. ამ ადგილას თითქოს წარმართული სამსხვერპლო მდგარა, სადაც ბავშვებს სწირავდნენ. დედან მოუყვანია თავისი შვილი და უთქვამს: მე მოკვალაო. მარტვილის სახელი მარტკლის დღესასწაულს რომ უკავშირდება, მოწმობის ანტონ I-ის ერთ-ერთი ნაშრომის ბოლოსიტყვაობა, სადაც იგი ჭყონდიდელი მიტროპოლიტის კათედრას „მარტკრიის ეკლესიად“ მოიხსენებს (იხ. მისი: „წესი გარბევისა და ხელდასხმისა მღვდელმთავრობითისა“, Q71 ხელნაწერი; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q კოლექცია, ტ. I, ილ. აბულაძის რედ., 1957 წ., გვ.87).

13 აღწერილობა (სინური კოლექცია, II, 1979, 8) ამ ხელნაწერს „მარტვანად“ იხსენიებს, მაგრამ რადგან სამარხვო საგალობლების გარდა აქ ზატისასაც (ერგასისა) ვხვდებით, ამიტომ უფრო სწორი იქნება კრებულს ეწოდოს „მარტვან-ზატისა“ ან „ტრიოლიონი“ (ეს უკანასკნელი გულისხმობს როგორც მარტვანს, ისე ზატისაც).

აღვასრულეთ წმიდა დღესასწაული მარტვილისა... (253r) და იქვე — „სულისა წმიდისა მოსლვასაც“: „...ხოლო იკითხვების დღესა კვრიაკესა პირუელ სულისა წმიდისა მოსლვისა“ (241r). შევნიშნოთ, რომ ეს მეორე საკითხავი (კირილე ალექსანდრიელის „სიტყვამ ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისათვის და წმიდათა მამათათვის ეფესოსა კრებისათა“) თარგმნილია თეოფილე ხუცეს-მონაზონის (XI-XII სს.) მიერ, პირველი კი უფრო ადრინდელი უნდა იყოს.

3. XIII ს-ის ზატიკი Sin. 72 გვაუწყებს: „დღესა მებრგასესა მოსლვამ სული(სა) ყოვლად წმიდ(ის)ა ზედა წმიდათა მოციქულთა“ (151v; სინური კოლექციის აღწ., III ტ. გვ. 91).

4. XII-XIII სს. ჰომილეტიკური კრებული Ath. 6(85): იოანე ოქროპირის „სიტყვას მისთვის ლუკაის სახარებისა... და მებრგასისათვის (90r. ათონური კოლექციის აღწ., I, 1986, 32).

5. XIII ს. შიომღვიმის ტკვიკონი H1349: „კვრიაკესა წმიდისა მებრგასისასა“ (106r), „ამავე კვრიაკესა მებრგასისასა“ (106v).

როგორც ვხედავთ, XII-XIII სს. ზოგიერთ ხელნაწერში ინერციის ძალით ისევ ფიგურირებს ტერმინი „მარტკლია“, ზოგში იგი თანაარსებობს სხვა ტერმინებთან, ზოგში კი „მარტკლიის“ კვალი სრულიად გამქრალა. მისი ადგილი დაიკავეს „მებრგასე“-მ და „მოსლვამ სულისა წმიდისა“-მ ან ერთ-ერთმა მათგანმა.¹⁴

რამ გამოიწვია მარტვილის, როგორც ტერმინის, დამრდილება და თანდათანობით გამოსვლა ხმარებიდან?

სანამ ამ კითხვაზე პასუხს გაცემდეთ, ჯერ შევეცადოთ გავარკვიოთ ტერმინის მნიშვნელობა; დავადგინოთ, რამდენად შესაბამეა იგი დღესასწაულის შინაარსს.

* * *

სულიწმიდის მოსვლის დღესასწაულს ბერძნულადაც და სომხურადაც „პენტეკოსტე“ ეწოდება (ἡ ΠΕΝΤΕΚΟΣΤΗ, ἡ ΚΥΡΙΑΚΗ ΤῆΣ ἉΓΙΑΣ ΠΕΝΤΕΚΟΣΤΗΣ, ყენთესკოსთს),

რაც ორმოცდაათს, ერგასს ნიშნავს. ეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტექნიკური ტერმინია და მიუთითებს იმაზე, რომ სულიწმიდის მოსვლის დღესასწაული აღდგომიდან 50-ე დღეს მოდის ხოლმე. „პენტეკოსტეს“ შესატყვისად ქართულ ძეგლებში ხმარებული

„მარტვილია“, როგორც ცნობილია, არ დასტურდება არც ბერძნულ, არც სომხურ ლიტურგიკულ მწერლობაში, თუმცა სიტყვა აშკარად ბერძნული წარმომავლობისაა.

ბ. კეკელიძის აზრით „მარტვილია“ უნდა მომდინარეობდეს ბერძნული სიტყვიდან — ΜΑΡΤΥΣ (ΜΑΡΤΥΡΙΟΣ), რომელიც „მოწამეს“ აღნიშნავს. „მამასადამე, — ასკენის იგი, — ამ დღეს მოდიოდა „მოწამეთა“ ან „მარტვილთა“ ხსენება, მათი პატივისცემა. მართლაც, ჯერ კიდევ უძველეს დროში გამოუმუშავებული იყო ერთი დღე წელიწადში, როდესაც ყველა ქვეყნისა და დროის მოწამეებს იხსენებდნენ ერთად (მიქელ მოდრეკელის სტიქიარში ასეთ დღედ ნაჩვენებია 22 იანვარი). იოანე ოქროპირის ერთ-ერთი „სიტყვიდან“ ჩანს, რომ ეს ხსენება მოდიოდა სული-წმიდის მოსვლის მომდევნო დღეებში; ის ამბობს: „არ გასულა ჯერ შეიდი დღე, რაც ჩვენ სულის წმიდის მოსვლა ვიდღესასწაულეთ, და ჩვენ მიგვიღო მოწამეთა გუნდმა“ (Migne, PG, t. 50, col. 706). აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იყო დრო (ჯერ კიდევ იოანე ოქროპირამდე), როდესაც მარტვილთა ხსენება დაკავშირებული იყო სულის წმიდის მოსვლის დღესასწაულთან და მასთან ერთად სრულდებოდა, რის გამოც ამ დღესასწაულს „მარტვილია“ ეწოდებოდა. შემდეგ მას განუცდია მოძრაობა და ქანობა, სანამ არ დაუკავებია ის ადგილი, რომელიც დღეს განკუთვნილია მისთვის, სახელდობრ — ყოველთა წმიდათა კვირიაკე (პირველი კვირა-დღე სულის წმიდის მოსვლის დღესასწაულიდან)¹⁵.

„მარტვილის“ ახსნის ამგვარ მოდელში ბევრი რამ იწვევს ჩვენს ეჭვს:

1. თუკი მარტვილთა ხსენება სულიწმიდის მოსვლის მომდევნო დღეებში იყო, ეს ვერ გამოდგება იმის საბუთად, რომ მარტვილთა ხსენება ოდესმე „დაკავშირებული იყო სულის წმიდის მოსვლის დღესასწაულთან და მასთან ერთად სრულდებოდა“.

2. საღმრთისმსახური პრაქტიკიდან ცნობილია, რომ საუფლო და საღმრთისმშობლო დღესასწაულებზე არავითარი საეკლესიო ხსენებების (წმიდათა მოსახსენებლების) განწესება არ ხდებოდა. შემთხვევითი როდია, რომ ქრისტეს შობის, განცხადების, მიჩენის, ფერისცვალების, ჯვრის ამაღლების, ხარების, მიძინებისა და სხვა დიდი დღესასწაულების დღეებში არცერთი წმიდის ხსენება არაა დადებული. გარეშე საკითხავებსა და საგალობლებს არ უნდა ჩამოეცილებინა მედღესასწაულეთა ყურადღება თითოეული ამ დღის ძირითადი შინაარსისაგან. მეტიც, როდესაც უძრავ

14. უფრო გვიან გაჩნდა ტერმინები: „მოფენა სულიწმიდისა“, „სულთმოფენობა“, „დღესასწაული წმიდა სამება“, „სულიწმიდის დღე“ და სხვ. იხ. ასალიძის მუხუშის ხელნაწერთა აღწერილობა, 1987, 102; საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1948, 39; 1963, 34; 1989, 54.

15. ბ. კეკელიძე, ძველი ქართული ეორტალოგიური წელიწადი, ეტიუდები... 1, 1956, 127-128.

დღეებში დაწესებული ამა თუ იმ წმინდის ხსენება დაემთხვეოდა რომელიმე მოძრავე საუფლო დღესასწაულს (ბაიაობა, აღდგომა, ამაღლება, სულიწმინდის მოსვლა), მათი განგება (აკოლუთია) მთლიანად გამოიტოვებოდა ღმრთის მსახურებაში. ამიტომ, ვფიქრობთ, გამორიცხული იყო მოწამეთა ხსენების დაწესება მაინცდამაინც სულიწმინდის მოსვლის, ამ დიდი საუფლო დღესასწაულის დღეს (წმ. სებერიანე გაბალონელის სიტყვით სულიწმინდის მოსვლის დღე არის „ერთი სამთა მათ დღესასწაულთაგანი ბრწყინვალეთა, რომელი წერილ არს ძუელსა შუელსა და ახალსა, რომელსა შინა ქრისტე იქადაგებს“. იხ. კლარჯული მრავალთავი A144, 131v). მით უფრო არაბუნებრივია მოწამეთა ხსენება იმდენად დაქრდილა სულიწმინდის მოსვლა, რომ თავისი სახელი მიეცა მისთვის („მარტვილია“). და კიდევაც რომ მომხდარიყო ასეთი რამ, ეს იქნებოდა მეტად ზანმოკლე მოვლენა. ყოველ შემთხვევაში, იოვანე ოქროპირის დროიდან მაინც, როდესაც მარტვილთა მოსახსენებელი ხუთი თუ ექვსი დღით (უფრო კი ერთი კვირით) ჩანს გადაცილებული სულიწმინდის მოსვლიდან, ამ დღესასწაულს უნდა ჩამოეცილებინა „მარტვილის“ სახელწოდება, მაგრამ, როგორც ვიცით, ქართულ წყაროებში „მარტვილის“ სახელწოდება XI ს-ის შემდეგაც შემორჩა, და როდესაც იოვანე ოქროპირის ჰომილიას თარგმნიდნენ, ოქროპირისეული „პენტეკოსტე“ ქართულად „მარტვილიად“ გადმოიტანეს: „კვრიაკესა... მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაჲ, შესხმაჲ წმიდათა მოწამეთა. მიერითგან, ვინამთგან აღვასრულეთ წმიდაჲ დღესასწაული მარტვილისაჲ, არღა აღსრულებულ იყენეს დღენი შუდ რიცხუედნი“¹⁶... ასეთი მაგალითები მრავალია.

3. მნელი დასაჯერებელია, რომ მიქაელ მოდრეკილის „სტიქირარში“ მოწამეთა მოსახსენებლად ნაჩვენები 22 იანვარი იმ „ქანაობის“ შედეგი იყოს, რაც ამ საეკლესიო „ხსენებას“ განუცდია: სულიწმინდის მოსვლიდან იგი

მთელი ოთხი-ხუთი თვითაა დაცილებული. საკითხავია, როგორ მოხდა, რომ იოვანე ოქროპირამდე მოწამეთა ხსენება სულიწმინდის მოსვლას ემთხვეოდა. ოქროპირის დროს (+ 407) ქანაობის შედეგად ერთი კვირით გადასცილებია, შემდეგ IX ს-ში იმდენად წინ გადაქანებულა, რომ 22 იანვარს დამთხვევია და ბოლოს ისევ სულიწმინდის მომდევნო კვირას დაბრუნებია, როგორც ეს ამჟამადაა. თანაც ყველაზე უცნაური ის არის, რომ მიუხედავად მოწამეთა „ხსენების“ ასეთი დიდი ამპლიტუდით ქანაობისა, ქართული წყაროები სულიწმინდის მოსვლის დღეს ჯიუტად იხსენიებენ „მარტვილიად“ (თითქოსდა, მოწამეთა დღედ) თვით X საუკუნეშიც, მიქაელ მოდრეკილის დროს, როცა იგი ოთხი-ხუთი თვით წინ იყო გადაწეული.

4. გაუგებარია, რა ნიშნით დაუკავშირეს (იოვანე ოქროპირამდე) ლიტურგიისტებმა მოწამეთა ხსენება სულიწმინდის მოსვლას. მოწამეთა ნაცვლად მოციქულთა ხსენება რომ ყოფილიყო, ეს ადვილი ასახსნელი იქნებოდა, რადგან სულიწმინდის მოსვლა სწორედ ქრისტეს მოციქულებზე მოხდა¹⁷, მოწამეებს კი ამ მოვლენასთან არავითარი კავშირი არ ჰქონიათ.

ყოველივე ამის გამო „მარტვილის“, როგორც ტერმინის კ. კეკელიძისეული ახსნა ჩვენთვის მიუღებელია. მაგრამ არის ორი ნიუანსი, რომელსაც ვერ შეგვლევით:

1. კ. კეკელიძის ნაშრომიდან ზემოთ მოტანილ ციტატაში გამოსვლით, რომ „მარტვილია“ ეწოდებოდა (ამა თუ იმ მოტივით) სულიწმინდის მოსვლის დღესასწაულს თვით საბერძნეთში (იოანე ოქროპირამდე), საბერძნეთიდან შემოსულა იგი საქართველოში და დამკვიდრებულა¹⁸, მაგრამ ოქროპირის დროს, როგორც ჩანს, ეს ტერმინი (რასაც უნდა აღნიშნავდეს), საბერძნეთში უკვე ხმარებიდან გამოხული ყოფილა (თვით ოქროპირი „სულიწმინდის მოსვლას“ ამბობს და არა „მარტვილას“), ქართულ საღმრთისმსახურო პრაქტიკას კი დაუცავს ეს ტერმინი და ეფთვმე და გიორგი

16 A 140, 253r. იხ. ქართ. ხელნაწ. აღწ. (საეკლ. მუხ. კოლექცია) 12, 1976, 171. იხ. PG, t. 50, col. 705: „Ἐξ οὗ τῆν ἑρᾶν πανήχυσιν τῆς Πεντεηκοστῆς ἔπειτελέσαμεν, οὕτω παρῆλθεν ἡμερῶν ἔπειτὰ ἀρίστων, καὶ πάλιν κατέλαβεν ἡμᾶς μαρτύρων χορός“...

სხვათა შორის, ქართული ხელნაწერი სრულიად გარკვევით მიუთითებს მოწამეთა ხსენების დღედ კვრიაკეს (აღბათ „კვრიაკესა შემდგომად მარტვილისა“). შდრ. კ. კეკელიძე, ეტიუდები... V, 79. მისივე, ეტიუდები... I, გვ. 127-128.
¹⁷ სხვათა შორის, იოვანე-ზოსიმეს ცნობით, მარტვილის მეორე დღეს აღინიშნებოდა „წმიდათა მოციქულთა გაყრამ და წარსლგამ ქადაგებად ყოველსა ქვეყანასა“. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები... V, გვ. 280.

მთავრდებულების დრომდე მტკიცედ შეუნარჩუნებია¹⁹. ამიტომ, რომ ოქრობირისეულ „სულიწმიდის მოსვლას“ ქართული მთარგმნელი „მარტვიად“ თარგმნის.

2. „მარტილიას“ ჩვენც ბერძნული წარმომავლობის სიტყვად ვთვლით, თუმცა სხვა შინაარსისად, ვიდრე ამას კ. კეკელიძე გვთავაზობს.

Ἡ μαρτυρία ითარგმნება ასე: „დამოწმება“, „ჩვენება“ (მაგ. სასამართლოს წინაშე), „დამტკიცება“; ძველი ქართულით – „წამება“. **ὁ μάρτυς, υῖος** იქნება „მოწამე“ („დამამოწმებელი“, „ჩვენების მიმცემი“, კაცი, რომელიც რაღაცას ამტკიცებს“).

როგორც ბერძნულ **μαρτυρία**-ს, ისე ძველ ქართულ „წამებას“, „დამოწმების“ გარდა „ტანჯვის მიყენების“ მნიშვნელობაც აქვს. **μάρτυς, υῖος** ისეთი კაცია, რომელიც სარწმუნოების აღიარებისათვის (დამოწმებისათვის) ტანჯვას (წამებას) დაითმენს.

რომელი მნიშვნელობით ეწოდა სულიწმიდის მოსვლის დღესასწაულს „მარტილია“?

ზემოთ ვნახეთ, რომ „ტანჯვა-წამების“ მნიშვნელობის დაშვებამ ბევრ წინააღმდეგობამდე მიგვიყვანა. ახლა ვნახოთ, რამდენად შეესაბამება სულიწმიდის მოსვლის დღესასწაულის შინაარსს ტერმინი „დამოწმება“.

ჯერ მივმართოთ საღმრთო წერილს.

სულიწმიდის მოვლინება ქრისტემ აღუთქვა თავის მოწაფეებს **ჯერ კიდევ ვნებამდე**, იოვანე მახარებლის მისუდვით იგი ეუბნება მათ: „რაჟამს მოვიდეს ნუგეშის-მცემელი იგი, რომელი მე მოგავლინო თქვენდა მამისა ჩემისა მიერ, სული ჭეშმარიტებისაჲ, რომელი მამისაგან გამოვალს, მან წამოს ჩემთვის (**ἐκεῖνος μαρτυρῆσει περὶ ἐμοῦ**), და თქვენცა მოწამე ხართ (**καὶ ὑμεῖς δὲ μαρτυρεῖτε**),

რამეთუ დასაბამითგან ჩემ თანა ხართ“ (იოვანე 15,26-27)

მამასადამე, ნუგეშის-მცემელი (სულიწმიდა) იქნება თანამოწამე (მოწმე), დამოწმებელი მოციქულებისა, როდესაც ისინი ქრისტეანობას იქადაგებენ ხალხში. სული მათ სიტყვებს დაამოწმებდა ნიშებითა და სასწაულებით, და ეს მოწმობა იქნებოდა სარწმუნო, რადგან იგი არის სული ჭეშმარიტებისა²⁰.

სხვა ადგილას ქრისტე ამბობს: „ხოლო ნუგეშის-მცემელი იგი, სულიწმიდაჲ, რომელი მოავლინოს სახელითა ჩემითა მამამან, მან გასწავოს თქვენ ყოველი და მოგაკჳნოს თქვენ ყოველი, რაოდენი გარქე თქვენ“ (იოვანე 14,26). მამასადამე, სული წმიდა არის მოციქულთა დამოწმებელიც და განმარტობელიც²¹.

როგორც ვხედავთ, მოწმობა ორმხრივია: ერთი მხრივ – განმარტობელი სულისა, მეორე მხრივ – მოციქულებისა („და თქვენცა მოწამე ხართ“...) სულიწმიდის გარეშე მოციქულები უძღურნი იქნებოდნენ დაემტკიცებინათ ხალხის წინაშე თავისი ქადაგების სიმართლე. ამიტომ უთხრა მათ ქრისტემ: „მოიღოთ ძალი მოსლგასა სულისა წმიდისასა თქვენ ზედა, და იყუნეთ ჩემდა მოწამე (**ἔσθε μὲ μοῦ μαρτυρες**)“ იერუსალემს და ყოველსა ურიასტანსა“ (საქმე მოც. 1,8).

როდესაც საკითხი დაისვა იუდას ნაცვლად მოციქულის არჩევისა, პეტრე მოციქულმა გამოთქვა აზრი, რომ უნდა აერჩიათ ისეთი ვინმე, რომელიც დასაბამიდან ბოლო დღემდე („ნათლის-ცემითგან იოანესით ვიდრე დღემდე ამაღლებისა მისისა“) უფალთან იყო და შეეძლო ყოფილიყო „მოწამედ აღდგომისა მისისა“ (**μαρτυρα τῆς ἀναστάσεως αὐτοῦ**). საქმე მოც. 1,22.

როდესაც გადმოვიდა სული წმიდა და მოციქულები აღივსნენ მისი მადლით, პეტრე მოციქულმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ისინი არიან ქრისტეს აღდგომის მოწამეები: „ესე იესუ აღადგინა ღმერთმან, რომლისა ვართ ჩვენ ყოველნი მოწამე“ (**οὐ πάντες**

18. ბერძნულში ასეთი ტერმინი რომ არ არსებულყო, გაუგებარი იქნებოდა ქართულ ღმრთისმსახურებაში მისი წარმოშობა.

19. საეკლესიო ტრადიციებისადმი ქართველ მოღვაწეთა ერთგულების სხვა ფაქტებიცა ჩვენთვის ცნობილი: ვიორგი მთაწმინდელი თავის „დიდ სუნაქსარში“ თავგამოდებით იცავს 10 ნოემბრის ვიორგობას, როდესაც აღინიშნებოდა ურმის თვალზე მისი წამება. იგი წერს: „წმიდანო მამანო, ამას დღესა დაღაცათუ ბერძენნი წმიდის ვიორგობასთვს არა დიად დღესასწაულობენ, არა რაჲ არს ყენება, რათა ჩვენ ვლდესასწაულობდეთ, რამეთუ ჩვენ პირველითგან ესრეთ გუაქუს მეუკლებად“. როგორც ჩვენ ცალკე სტატიაში ვამჩვენთ, საქართველოში შემოვიდა და დამკვიდრდა არა მარტო ურმის თვალზე წმ. ვიორგის წამების დღესასწაული, არამედ ამ დღესასწაულის აღმნიშვნელი ბერძნული ტერმინიც – არმათიონი (**ἀρμα, ατος** – ურეზი), მაშინ როდესაც ბერძნულმა ღმრთისმსახურებამ მალე დაივიწყა როგორც დღესასწაული, ისე მისი აღმნიშვნელი ტერმინი (იხ. ჩვენი „არმათიონის განმარტებისათვის“, ჟურნ. „ჯვარი ვახისა“, 1989, №3).

20. Блаженный Феофилакт, архиеп. Болгарский, Толкование на святых Евангелия, СПб., გვ. 705. PG, t. 124, col. 205.

21. ერთგან ქრისტე ამბობს, რომ ის თვითონ მოველინებს სულიწმიდას („მამისა მიერ“), მეორეგან კი – მამა მოავლინებს ჩემი სახელით. ასეთი განსხვავება, ნეტარი თეოფილაქტეს აზრით, მანვეწებულა მხოლოდ მამისა და ძის თანასწორობისა. იხ. იქვე, გვ. 705.

ἡμεῖς ἔσμεν μάρτυρες). საქმე მოც. 2, 32.

ბეტრე მოციქული "სხვთაცა მრავალითა სიტყვთა უწამებლად" (δυσμαρτυρατο). საქმე მოც. 2, 40.

ამრიგად, საღმრთო წერილის მოწმობით, სულიწმიდის მოსვლა დაკავშირებული იყო ქრისტეს აღდგომის წამებასთან (დადასტურება, დამოწმება, დამტკიცება). ამიტომ არაა მოულოდნელი, რომ სულიწმიდის მოსვლის დღესასწაულისათვის ბერძნულად **μαρτυρία** (მოწმობა) ეწოდებინათ, და ქართულშიც ასეთივე ფორმით გადმოხულიყო.

ეს რომ ნამდვილად ასე უნდა ყოფილიყო, ადასტურებენ სხვა წყაროებიც:

სინურ, ათონურ, კლარჯულ და უდაბნოს მრავალთაგანში შემონახულია კირილე იერუსალიმელის ჰომილია: „აღდგომისათვის მკურდრითი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“²². აქ განმარტებულია სოფონიას წინასწარმეტყველების ერთი ადგილი:

„არამედ ისმინე, რასა ეტყვს სოფონია მოწაფეთა პირისაგან ქრისტესისა: განემზადე, აღიმსთუე, რამეთუ განირყუნა ყოველი საყურძენი მათი (სოფონია 3, 7). ჩას, რამეთუ ჰურიათა, რომელთა თანა არა დაშთა ტევანიცა ერთი ცხოვრებისა, არამედ არცაღა რქა, რამეთუ მოიკაფოს ვენაკი მათი.

აწ ისმინე, ვითარ-იგი ეტყვს მოწაფეთა: „განემზადე, აღიმსთუე“, მსთუად მოელოდე აღდგომასა, და მერმე იტყვს: განირყუნა ყოველი საყურძენი მათი. და შემდგომად მისავე მსგავსად წერილისა ქუემორე იტყვს: ამისთვის დამითმე მე, იტყვს უფალი, დღედმდე აღდგომისა ჩემისა საწამებელად (სოფონია 3, 8)²³.

ჰხედავა, რამეთუ ადგილიცა იგი აღდგომისაა წინასწარ იხილა წინასწარმეტყველმან, რომელსა საწამებელ ჰრქვან. რომლისათვის-მე სიტყვსა არა მსგავსად სხუთა ეკლესიათა სხელი წოდებულ არს გოლგოთისა მას ადგილსა და აღდგომისასა? – არამედ საწამებელად წინასწარმეტყველისა მისგან, რომელ-იგი თქუა: „დღედმდე აღდგომისა ჩემისა საწამებელად“, ესე იგი არს მარტვიონი ეკლესია.

და ვინ(ა) არს ესე, ანუ რაა არს ესე სასწაული აღდგომისა მკურდრითი? – არამედ განცხადებულად მუნვე შემდგომად საწინასწარმეტყველოა წიგნი იტყვს,

ვითარმედ: მაშინ მივაქცინე ერთა მიმართ ენანი (სოფონია 3, 9). რამეთუ შემდგომად აღდგომისა წარავლინებდა მოციქულთა სული წმიდა; მოეცა მადლი ენათა, რაითა ჰმონებდნენ უფალსა უღელსა ქუემე ერთსა (იქვე) და სხუაიცა შეტყუება მასვე წინასწარმეტყველსა წერილ არს: მონებად უფლისა უღელსა ქუემე ერთსა: წიად მდინარეთა გამომართუან მე ძღუენი (სოფონია 3, 9-10)²⁴.

როგორც ვხედავთ, კირილე იერუსალიმელი სოფონიას III თავს განმარტავს, როგორც წინასწარმეტყველებას ქრისტეს აღდგომისა და მის მიერ სულიწმიდის მოვლინების შესახებ²⁵. ამასთან, იგი სოფონიასეულ „აღდგომის წამებას“ (3, 8) უკავშირებს აღდგომის ადგილის სახელწოდებას – „საწამებელს“ (ადგილიცა იგი აღდგომისა... რომელსა საწამებელ ჰრქვან“), ანუ ბერძულად **μαρτύριον**-ს („ესე იგი არს მარტვიონი ეკლესია“). ასეთი სახელწოდების რეალურ არსებობას ადასტურებს IV ს. მოგზაურის, კირილე იერუსალიმელის თანამედროვის სილვია აკვიტანელის აღწერილობაც²⁶.

კირილე მთავარეპისკოპოსისაგან განსხვავებით სილვია იცნობს მხოლოდ ერთ მარტირიუმის ეკლესიას – გოლგოთისას²⁷. ამასთან, იგი იძლევა ამ სახელწოდების თავისებურ ახსნას: "Зовется же она Мартириум потому, что находится на Голгофе, те есть за Крестом, где пострадал Господь, оттого и Мартирион"²⁸. როგორც ვხედავთ, სილვია აკვიტანელის განმარტება ნაკლებ კვალიფიციურია, ვიდრე კირილე მთავარეპისკოპოსისა, და ნაკლებად დამაჯერებელიც.

რატომ შეერქვა გოლგოთისა და აღდგომის ეკლესიებს „მარტვიონი“? – სვამს კითხვას კირილე იერუსალიმელი (ამასთან, იგი ხაზს უსვამს, რომ ეს სახელწოდება აღნიშნულმა ტაძრებმა მიიღეს „არა მსგავსად სხუთა ეკლესიათა“) და იქვე პასუხობს: „საწამებელად წინასწარმეტყველისა მისგან, რომელ-იგი თქუა: „დღედმდე აღდგომისა ჩემისა საწამებელად“, ესე იგი არს მარტვიონი ეკლესია“.

22. Michel van Esbroeck, Les plus anciens homéliaires Georgiens, Louvain, 1975, 86 (A), 128 (S), 150, 154 (U), 162 (K). PG 33, 825-

865.

23. **εἰς ἡμέραν ἀναστάσεως μου εἰς μαρτύριον.**

24. სინური მრავალთაგან 864 წლისა, აკ. შანიძის რედაქციით, თბ., 1959, 157-158. PG 33, 825-865.

25. სოფონიას წინასწარმეტყველების ეს ადგილი (3, 6-13) „იერუსალიმური განიხიების“ მიხედვით საკითხავად ყოფილა დაღებული აღდგომის დღეს. იხ.

К. Кекелидзе. Иер. канонарь, стр. 95.

26. Peregrinatio ad loca sancta saeculi IV exeuntis, изд. И. В. Помяловского, Православный Палестинский Сборник, Т. VII, вып. II, 1889, 147.

რით დამტკიცდება ქრისტეს აღდგომა, რა არის „სასწაული აღდგომისაჲ მკუდრეთით?“ – ისევ სვამს კითხვას წმ. კირილე და იქვე მოჰყავს წინასწარმეტყველის „განცხადებული“ სიტყვები: „მაშინ მივაქცინე ერთა მიმართ ენანი“.

მაშასადამე, აღდგომის ეკლესიის სახელწოდებას „მარტვიონს“ („საწამებელს“) კირილე იერუსალიმელი ხსნის იმით, რომ ქრისტეს აღდგომის საწამებელად (სოფონია 3,8) უფალმა მოაქცია „ერთა მიმართ ენანი“ (სოფონია 3,9) და, მაშასადამე, „შემდგომად აღდგომისა წარავლინებდა მოციქულთა სული წმიდაჲ“.

ყოველივე აქედან, ვფიქრობთ, ცხადია სულიწმიდის მოსვლისა და ქრისტეს აღდგომის წამების (მარტვიონის, დამოწმების) იგივეობა. ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კირილე იერუსალიმელის დროს (1386 წ.) სულიწმიდის მოსვლის დღესასწაულს ღმრთისმეტყველების ენაზე მარტვრია ეწოდებოდა²⁷.

ალბათ არც ისაა შემთხვევითი, რომ „იერუსალიმური განჩინებით“ სულიწმიდის მოსვლის წინა დღეს (შაბათს) საგანგებო ღმრთისმსახურება სრულდებოდა „თხემის ადგილზე“, ე. ი. გოლგოთაზე³⁰, თვით სულიწმიდის მოსვლის დღეს კი – სამ ადგილას (ზეთის ხილთა მთაზე ქრისტეს ამაღლების ადგილას, „წმიდასა ანასტასიას“, ე. ი.

აღდგომის ტამარში და სიონზე)³¹. ამავე ადგილებს ასახელებს სილვია აკვიტანელიც, დამატებით იგი აღნიშნავს მარტირიუმს, ე. ი. საწამებელს³².

ამრიგად, მარტვიონის, როგორც სულიწმიდის მოსვლის დღესასწაულის ხალხთისმეტყველო სახელის ისტორიულობის დასამტკიცებლად გვაქვს რამდენიმე საბუთი:

1. საღმრთო წერილის მოწმობა (იოვანეს სახარება, საქმე მოციქულთა).
2. ეგზეგეტიკა მოწმობა (კირილე იერუსალიმელი, თეოფილაქტე ბულგარელი).
3. ტოპონიმიკური მონაცემები (იერუსალიმის „მარტვიონი“, მარტვილი (ი)ს ტამარი საქართველოში).
4. ლიტურგიკულ-ისტორიული ცნობა მარტვიონის ეკლესიაში მეერგასის დღესასწაულის აღნიშვნის შესახებ.
5. ძველი ქართული ლიტურგიკული მწერლობის ძეგლებში (ასევე ჰომილეტიკურ ძეგლებში) მეერგასისა და მარტვილიის იგივეობის ფაქტი.

* * *

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „მეერგასე“ – დღესასწაულის აღმნიშვნელი ტექნიკური ტერმინია, „სულიწმიდის მოსვლა“ კი – მისი შინაარსის

27. კირილე იერუსალიმელის სიტყვით ასეთი სახელწოდება ორ ტამარს ექონია: „სახელი წოდებულ არს გოლგოთისა მას ადგილსა და აღდგომისასა“.
 ზღრ.: Βλέπεις, ὅτι καὶ τὸν τόπον τῆς ἀναστάσεως προεῖπεν ὁ προφήτης, Μαρτύριον ἐπικληθῆσόμενον; Τίνι γὰρ τῷ λόγῳ, μὴ κατὰ τὰς λοιπὰς Ἐκκλησίας ὁ τοῦ Γολγοθᾶ καὶ τῆς ἀναστάσεως οὗτος ὁ τόπος Ἐκκλησία καλεῖται, ἀλλὰ Μαρτύριον. Ἄλλ' ἴσως διὰ τὸν προφήτην, τὸν εἰπόντα. Εἰς ἡμέραν ἀναστάσεως μου εἰς μαρτύριον (PG. 33, col. 829).

28. Peregrinatio... p. 152..

29. თუ ეს ნამდვილად ასე იყო, ისიც უნდა ითქვას, რომ დღესასწაულის სახელად „მარტვრია“ იმ დროისათვის უკვე ნაკლებად უნდა ყოფილიყო ცნობილი მორწმუნეთა ფართო წრეებში. მეერგასის დღესასწაულის საკმაოდ ვრცელი აღწერისას (Peregrinatio... pp. 164-166) წმ. კირილეს თანამედროვე სილვია აკვიტანელი ვერ პოულობს ადგილს აღნიშნოს მარტვილიისა და სულიწმიდის მოსვლის იგივეობა, თუმცა გოლგოთის მარტირიუმის ეკლესიაზე იგი საკმაოდ ვრცლად მსჯელობს.

30. К. Кекелидзе, Иер. канонарь, стр. 107.

31. იქვე, 109, 237.

32. Peregrinatio... pp. 164-166.

გამომხატველი. ასეთივე ხასიათისაა „მარტვილიც“, მაგრამ მასში უფრო ღრმა საღმრთისმეტყველო აზრია ჩაქსოვილი, ვიდრე „სულიწმიდის მოსვლაში“. ეს უკანასკნელი მოველენის ხილულ მხარეს (მოციქულთათვის ხილულს) გამოხატავს „მარტვილი“ კი მიღებულია ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა ღმრთისმეტყველური გააზრებით.

ბერძნულ ლიტურგიკულ მწერლობაში, შესაძლოა, არ შემონახულა უფრო თვალსაჩინო, პირდაპირი მონაცემები დღესასწაულის სახელად „მარტვიის“ ხმარების ისტორიულობის შესახებ. ზემოთ განხილული საუბრები, ვფიქრობთ, მაინც საკმარისია საიმისოდ, რომ ასეთი აზრი სარწმუნოდ ჩაითვალოს.

ტერმინი „მარტვილი“, როგორც ჩანს, უძველეს ხანაში შემოვიდა საქართველოში, და, როგორც ქართული ლიტერატურული წყაროები ადასტურებენ, დიდხანსაც

შემორჩა ხმარებაში. ბერძნული ღმრთისმსახურებიდან კი იგი მალევე განუღვენია ტექნიკურ ტერმინს, „პენტეკოსტეს“. ისე, რომ მისი კვალიც კი აღარსად დაუტოვებია.

საბერძნეთიდან გადმონერგილ დღესასწაულებსა და მათ შესატყვის ტერმინებს ქართული ღმრთისმსახურების სახით საიმედო შემნახავი გამოსჩენია. ქართულმა მწერლობამ და ეთნოგრაფიულმა ყოფამ ზოგიერთი ისეთი დღესასწაულიც შემოგვინახა (ან მისი გამომხატველი ტერმინი), რომელიც ბერძნული ღმრთისმსახურების პრაქტიკამ დროთა განმავლობაში დაივიწყა. მარტვილის გარდა ასეთების რიცხვს მიეკუთვნება: ზემოთ დასახელებული „არმათიონი“, ლამპრობა (სვან. ლიმპარი), ათენგენობა, გარეგნობა (აღდგომის მეორე დღეს მიცვალებულთა მოხსენება) და სხვ.



**„შენ ხარ უფალი ღმერთი და შენ გარემოაქციე გული მრისა ამის
პართლუკუნ“**

უფლისმიერ სასწაულებს წმიდა აზრი და წმიდა მიზანი აქვთ. თუმცა სასწაული თავისთავად უდიდეს ქველ საქმეს წარმოედგენს, იგი ღვთის განგებას ემსახურება მოწმობით და მტკიცებით და ბევრად აღემატება იმ ქველმოქმედებას, ვიდრე ჩვენ ეს წარმოვიდგენია.

სასწაული შემწეა ღვთის სიტყვისა. იგი ემსახურება ადამიანის სულიერ ჭვრეტას, გვაძლავს ჭეშმარიტებაში, ნათელს ჰყენს ღვთის განცხადების სინამდვილეს.

სასწაულში, როგორც ცხად და მისაღებ მტკიცებაში, უფალი ჩვენი იესო ქრისტე ებებდა, უპირველეს ყოვლისა, „ზეციტ გარდამოხდილის“ ღვთაებრივ მოწმობას (მათ. XI, 4,5; XII, 28; ინ. V, 36; X, 25, 38; XI, 42 და ა. შ.)

მოციქულებიც ხშირად ეყრდნობოდნენ სასწაულებს თავიანთ ქადაგებებში. (2 კორ. XII, 11,12; 1 კორ. X, 1; გალ. 1,15-17; III, 1-5; საქმ. XI, 17), პავლე მოციქული ამბობს: „რამეთუ არა ვიკადრო რაისამე სიტყუად, რომელი იგი არა ჰქმნა ქრისტესმან ჩემ მიერ, დასამორჩილებლად წარმართთა, სიტყვთა და საქმითა, ძალითა და სასწაულებითა და ნიშებითა, ძალითა სულისა ღმრთისათა, რათა მე იერუსალიმითგან და გარემო, ვიდრე ილირიკიამდე, აღვასრულო სახარებაჲ იგი ქრისტესი.“ (რომ. XV, 18,19). „რამეთუ არა რა დავაკლდი ფრიად მოციქულთა მათ, დაღათუ არა რაჲ ვარ. არამედ სასწაული იგი მოციქულისავე იქმნა თქუენ შორის, ყოვლითა მოთმინებითა, სასწაულებითა და ნიშებითა და ძალითა (2 კორ. XII, 11,12).

როცა უფალმა შესთავაზა სწავლება საიდუმლოსი ხორცისა და სისხლის შესახებ, საიდუმლოსი, რომელიც წყაროა ჭეშმარიტი ცხოვრებისა: „რომელი ჭამდეს ხორცსა ჩემსა და სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრება საუკუნო“ (ინ. 6,54), მაშინ „მრავალნი მოწაფეთა მისთაგანნი უკუნ-იქცეს, და არღარა ვიდოდეს მისთანა“ (ინ. 6,66); გადაჭარბებულად აღიქვეს ღვთის ესოდენ დიდი წყალობა და სასწაულისადმი კეთილგანწყობის დაკარგვით უფალი დაკარგეს. უფალი ხედავდა ამას და მზად იყო ჯვარცმისათვის თითოეული მათგანის გადასარჩენად, მაგრამ სასწაული არ გააუქმა და არც შეცვალა.

უფალმა დაუშვა მათი წასვლა ურწმუნოების წყვდიადისაკენ, და არა მარტო მათი, თორმეტ მოციქულსაც მიმართა ამ შემთხვევის გამო: „ნუ უკუე თქუენცა გნებავს წარსვკს? (ინ. ინ,67) განაცხადა რა ამით მზადყოფნა მათ გასაშვებად, თუ არ მიიღებდნენ სასწაულს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სასწაულის არ მიღება, უფლის არ მიღებას ნიშნავს, ანუ სასწაულისაგან უკუქცევა იგივეა, რაც დაღუპვა.

უფალმა განჭვრიტა რა მოციქულთა შეძრწუნება მისი ჯვარზე ვნების გამო, უწინასწარმეტყველა მათ, როგორც ჯვარცმა თვისი, ასევე მკვდრეთით აღდგომა, რაჲა მისი სიკვდილის მხილველნი აღდგომაში არ დაეჭვებულიყვნენ. მაგრამ, რადგან მოციქულნი ჯერ კიდევ სხეულში იყვნენ და არ ესმოდათ საიდუმლოების სიტყვები, ამიტომაც მათი თანდასწრებით სასწაული მოახდინა: ბრმას თვალი აუხილა. დიახ, სასწაულით გაამყარა მათი რწმენა, ვინც ზეციურ საიდუმლოებათა სიტყვებს ვერ წვდებოდა.

ყოველივე ზემოთ თქმული გულისხმაჲ ჰყონ მათ, ვისაც თავზარი ეცემა სასწაულის გახსენებაზე, რადგან ეგეთნიც შეზღუდებიან ისეთ სასწაულს, რომელთანაც ვედარ იურჩებენ – ეს სიკვდილია, მის შემდეგ კი საშინელი სამსჯავრო.

უფლისმიერი სასწაულებით, მოვლენის ჭეშმარიტება უნდა ვიწამოთ, და უფრო მეტიც, მის ღრმა აზრს უნდა ჩავწვდეთ, რადგან მნიშვნელოვანია გულისხმისყოფა მისი ძლიერებისა და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მისტიციზმი ამ მოვლენისა.

რა არის სასწაული?


ზუსტი განმარტებისათვის მოვიტანოთ ის სახელები, რომლითაც აღინიშნება იგი წმ. წერილში. სასწაული წმ. წერილში ზოგჯერ ძალეზად იხსენიება, როგორც უდაოდ აღმნიშვნელი მასში ღვთის ძალისა, ძლიერებისა (ფს. 144,4): „ნათესავი და ნათესავი აქებდინ საქმეთა შენთა და ძალსა შენსა უთხრობდენ“. (შედ. მათ. XIV,2; მარკ. V, 30: „იესო, გულის-ხმა-ჰყო მეყუსეულად თავით თვსით, განსრული იგი ძალი მისგან.“ – სისხლმდინარე დედაკაცის განკურნება); ზოგჯერ იხსენიება – „საკვირველ საქმენ“¹ ად, როგორც გასაოცარი, განსაკუთრებული მოვლენა, რომელიც უნებლიედ ჩვენში განცვიფრებას იწვევს. (ფს. 138,14: „საკვირველ არიან საქმენი შენნი“, შედ. ფს. 117,23: „უფლისა მიერ იყო ესე, და არს საკვირველ წინაშე თუალთა ჩუნთა.“); – და ბოლოს იხსენიება – ნიშნებად, როგორც ბევრისმთქმელი მოწმობა ღვთის ძალისა და მოწყალებისა. ეს სამგვარი დასახელება რამდენჯერმე გვხვდება წმ. წერილში (მაგ. საქმე. მოც. 11,22; 2 კორ. XIV,2 და ებრ 11,3,4: „ვითარმედ ჩუნ განვერნეთ, უკეთუ ესოდენი ესე უდებვოთ ცხოვრებაჲ, რომელმან იგი დასაბამი მიიღო სიტყუად უფლისა მიერ, მსმენელთა მათგან ჩუნდა მომართ დაამტკიცნა, თანა-მოწამებითა ღმრთისათა სასწაულებითა და ნიშებითა და ფერად-ფერადითა ძალითა.“)


ყოველივე ზემოთ თქმულის შეჯერებით, შეიძლება სასწაულის განმარტება: იგი არის გარეგანი, გასაოცარი მოვლენა, რომლის ჭეშმარიტი მიზეზი ამის ზებუნებრივ, ღვთის ყოვლისშემძლე ძალებსა და კანონებშია და თავისი დანიშნულებით ემსახურება ადამიანთა რელიგიურ-ზნეობრივ მსოფლმხედველობის განმტკიცებას.¹

„ზოგიერთი იკითხავს, რატომ აშჟამად არ ხდება სასწაულები? რატომ ალაპარაკდა მაშინ ნათლობის შემდეგ ყველა სხვადასხვა ენებზე? რატომ წაერთვა ადამიანს სასწაულთმოქმედების ძალე? რა თქმა უნდა არა იმიტომ, რომ უფალმა მოინდომა აყრა ამ პატივისა, ამბობს იოანე ოქროპირი, არამედ პირიქით, უფალმა კეთილინება უფრო დიდი პატივი. როგორ? იმ დროს ადამიანები კერპებისაგან ახალმოქცეულნი იყვნენ. მათი გონება ისე უხეში და უგერძნობი იყო, რომ სრულიად მიჯაჭვულნი იყვნენ მიწიერ საგნებს, და ვერც კი წარმოედგინათ არსებობა.

სულიერი საზრდოსი, ძაღლისა, რომელიც ადამიანზე მხოლოდ რწმენით გადმოდის, ნიშანს ურწმუნო ითხოვს, მე კი არ ვსაჭიროებ, რადგან მის გარეშეც მწამს უფალი. დაიხ, არ ვლაპარაკობ ენებზე, მაგრამ ვიცი რომ განვიწმიდე ცოდვებისაგან. ურწმუნოს კი ნიშანი მიეცა, რათა მორწმუნე გახდეს. ამიტომ ამბობს პავლე მოციქული: „ამისათვისა ენანი საწაულ არიან არა მორწმუნეთათვის, არამედ ურწმუნოთათვის“ (1 კორ. XIV, 28).

1 განსხვავება ჭეშმარიტ სასწაულსა და ზრიკს შორის შემდეგია: ა) ჭეშმარიტი სასწაულის აღსრულების საშუალებების დადგენა შეუძლებელია, მაშინ როცა ზრიკის ახსნა ყოველთვის შეიძლება, შეიძლება დადგინდეს თუ რა ბუნებრივი ან ზელოვნური საშუალებებით არის იგი მიღწეული, ასეთ მოქმედებას არ შეიძლება ჭეშმარიტებაზე აქონდეს პრეტენზია; ბ) სასწაული განუყოფლად შერწყმულია ჭეშმარიტ სწავლებასთან, რომლის დასამკიცებლადაც იგი სრულდება, მაშინ როცა ზრიკი შეიძლება იყოს სიცრუის იარაღი. წმ. წერილი პირდაპირ გვაფრთხილებს, რათა არ მივიღოთ და არ გავერთოთ მსგავსი ცრუ სასწაულებით „უკეთუ აღ-ვიწმე-დგეს შენ შორის წინასწარმეტყუელი და აჩუნოს რაიმე სასწაული საცთურებისა“ თქვენ შორის და თქუას: მოკვდიოთ! და მივიღეთ ჩუნ ღმერთთა უცხოთა, რომელი იგი თქვენ არა იცოდეთ, და თქუას: ვმსახურებდეთ მათ. ნუ იხმენთ სიტყუათა მის წინასწარმეტყუელისათა“ (მეორე სჯული, თავი XIII, 2) ჭეშმარიტ სასწაულს ზნეობრივ-კეთილმოქმედი მიზნები აქვს, მაშინ როცა ზრიკს არა აქვს ეს მიზანი. სასწაული ემზარება ადამიანს, რათა ამოღდეს და დაუბრუნდეს თავის ჭეშმარიტ დანიშნულებას.













არის კი ახლა სასწაულები? ჭეშმარიტი ქრისტიანი სხვაგვს კითხვას არ დასვამს და არც შემოთავაზებას გაბედავს. და თუ მაინც გვეხმის — მხოლოდ ურწმუნოს ან მცირედ მორწმუნის ბაგეებიდან. სასწაული კაცთათვის შეუძლებელი და ღვთისათვის შესაძლებელია. იგი ქრისტიანული სარწმუნოების გარვცელებასა და განმტკიცებას ემსახურება. განა ყველგანაა გავრცელებული? არა, რა თქმა უნდა. მილიონობით ადამიანმა არ იცის ჭეშმარიტი ღმერთი. დიდმა ნაწილმა თუმცა იცის ჭეშმარიტი ღმერთი, მაგრამ არ ცნობს ჭეშმარიტ ეკლესიას. ასე რომ, სასწაულები ჩვენს დროშიც უნდა ხდებოდეს და ხდება კიდევც.

სასწაულს სხვა მიზანიც აქვს. რატომ აღადგინა უფალმა ნაინელი ქვრივის შვილი? იმიტომ რომ შეებრალა საწყალი ქალი. (ლუკ. VII, 13) რატომ მოხდა, რომ გრიგოლ ნეოკესარიელი სასწაულთმოქმედის სიტყვით მთამ ადგილი იცვალა? იმიტომ რომ იგი ქრისტიანებს ხელს უშლიდა ტაძრის აგებაში. [ЧЕТ-МИН. 17 НОЯБРЬ] რატომ განიპო მთა მართალი ელისაბედის ლოცვით? იმიტომ, რომ მთის წიაღში დამალულიყო ჰეროდე მეფისაგან დევნილი დედა ყრმა იოანესთან ერთად [ЧЕТ-ИМЯ. 24 ИЮНЬ] მაშასადამე, სასწაული ადამიანთა კეთილდღეობასა და გადარჩენასაც ემსახურება და მომდინარეობს ყოვლისშემძლე ღვთისაგან, რათა ადამის მოდგმა მწუხარებასა და გაჭირვებისაგან იხსნას, მათი რწმენის და ლოცვის შესაბამისად. ე. ი. წყალობა ღვთისა კიდევ არსებობს, — და როდის შეწყვეტს არსებობას? სანამ ადამიანთა გაჭირვება არ შეწყდება. — და როდის შეწყდება? სანამ დედამიწაზე რწმენა და ლოცვა იარსებებს, იარსებებს სასწაული.

